ვახტანგ გოგუაძე

ორი მხეცი
(ლენინი და სტალინი)

თბილისი
25 დეკემბერი, 2002 წელი
საქართველო-რუსეთის მეგობრობის კავშირი
მეორე შევსებული გამოცემა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ორი მხეცი (ლენინი და სტალინი)
შესავალი 2
პირველი მხეცი - ანტიქრისტე - - - - - - - 4
ორმოცდაორი თვე - - - 4
არც ისე საშიშია ეშმაკი, როგორც მას ხატავენ - - - 7
პირველი მხეცი და პირველი მხეცის ხატი 9
ფული? 11
ნამგალი და ურო 12
მეორე მხეცი 13
«გენიალური გენიალურთაგან»
«ვინ არის ამ მხეცისთანა» - - - - 15
კომენტართა კომენტარი - 16
ლენინი და სტალინი თანამოაზრეები არინ,
მაგრამ არა ერთსულოვანნი 18
როგორ კაცობრიობას სჯის ქრისტე? - 19
ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც - - 21
«ყველაფერს ვიყიდი-თქვა ოქრომ,
ყველაფერს ავიღებ-თქვა ხმალმა» 21
სოდომიზმი - - 22
დასჯის ფორმები და საშუალებები 24
«ცის ვარსკვლავები მიწაზე ჩამოცვივდნენ» 24
კალია 27
ანტიქრისტეთა სახეობანი 29
ბაბილონი მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრია 34
ბაბილონი მსოფლიოს ფინანსური
და სავაჭრო ცენტრია 35
ბაბილონი მსოფლიოს
იდეოლოგიური ცენტრია 37

ქრისტეს ღიმილი 38
და მაინც «როდის მოხდება ეს...?» 40
უკანასკნელი ჟამის წინ გაბრწყინდება 42
ბიბლიური ორი უდაბნო 43
ორი ეკლესია 45
მეძავის («თავისუფლების») ინსტიტუტი 46
ღვინო სიკეთისა, ღვინო – სიძვისა 48
ტელევიზია (მასმედია), ეკლესია, აპოკალიფსი 50
ბედი ეკლესიისა აპოკალიფსში 52
ქრისტეს და სტალინის ასკეტიზმი 55
«ცრემლნი მაგდალინელისანი» 58
ქრისტეს კვართი და სტალინის შინელი 61
«ამხანაგ სტალინის პირადი ქონების აღწერა 64
სამოსელი ადამისა და ევასი 67
რა არ იწინასწარმეტყველების 68
წინასწარმეტყველი და დიაგნოსტიკოსი 70
რატომ კლავდნენ წინასწარმეტყველთ? 71
იუდა ისკარიოტელი და ანტიქრისტე 73
ღია წერილი 78
ხომ არ დადგა კრწანისის გაკვეთილის დრო?! 84
რა მოხდება ხვალ?
«მე მწამს პუტინის რწმენისა!» 85
«რუსეთი ღმერთს ელოდება» 87
ოცდაჩვიდმეტი წელი – წელი დიდი რეპრესიებისა! 87
ხომ არ შეცდა პუტინი? 89
უისტორიო ისტორიოგრაფია თუ
უისტორიოგრაფიო ისტორია? 91
პრეზიდენტ პუტინისადმი მიმართვის ნაცვლად 92

ვახტანგ გოგუაძე,

«საქართველო-რუსეთის კავშირის თავმჯდომარე“, საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერი (1992-1995 წწ.), ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

«როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს «საშინელი სამსჯავრო», საღმრთო სასამართლო ეს არის უზენაესი სამართლიანობა და არა კაცობრიობის განუკითხავი განადგურება. მოახლოებული სამსჯავროს წინ უფალი ნიშნებს იძლევა – გვანიშნებს – მოინანიეთო. რა თქმა უნდა, მოწოდებებით იშვიათად რომ ვინმე შეაშფოთო, ყველაზე დიდი ესაა – შეაშინებ საკუთარ თავს. მაგრამ მრავალნი, ახლანდელი კაცობრიობის მორალურ უდაბნოში, ხელაპყრობილნი ეკედრებიან ღმერთს – შეიბრალოს ეს ცოდვილი ქვეყანა – მისცეს კაცობრიობას მონანიების უნარი...

დგება 2003 წელი. მისამართით თუ უმისამართოდ ახალ წელს ყველას ვუსურვებ, ვისაც სიკეთის ქმნის სურვილი აქვს. ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ, 2103 წლის დასაწყისში, დეე, ჩემმა შვილიშვილებმა, იმათმა შვილიშვილებმა ღიმილით გაიხსენონ, – ერთი სიტყვითო, ამაოდ ატეხა განგაში ჩვენმა ბაბუამ, – ჯერ რა დროს აპოკალიფსიაო.»

შესავალი

მთელს ბიბლიაში ვერ ნახავთ ისეთ მკაცრ გაფრთხილებებს, როგორც ეს «გამოცხადების» (აპოკალიპსის) ბოლოშია ნათქვამი. თვით მცირემორწმუნე კაციც კი შეკრთება – არ წამოსცდეს ზედმეტი, არც რა დააკლოს აპოკალიპსში ნათქვამს:

«...თუ ვინმე რამეს დაუმატებს ამას, ღმერთი გაუმრავლებს მას ამ წიგნში ჩაწერილ წყლულებს.

თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი წაართმევს მას წილს სიცოცხლის ხიდან, წმინდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია ჩაწერილი» (XXII, 18-19).

ამ სიტყვების შემდეგ ვინ გაბედავს უპასუხისმგებლოდ შეეხოს აპოკალიპსის ყველაზე ფაქიზ წიგნს? ამ შემთხვევაში ჩემი ნარკვევის მყვირალა, არაორდინალური სათაური, უთუოდ, ზოგიერთებში გარკვეულ გაღიზიანებას გამოიწვევს. მაგრამ, მერწმუნეთ, პატივცემულო მკითხველნო, რომ მე მრავალი წელია ვმუშაობ ამ უწმინდესს საკითხზე. როგორ შემეძლო შიშის გარეშე, უკონტროლოდ შევხებოდი მას?! ამ ინტერესთაგან გულგრილი უკუდგომაც არ იქნება, იგი ჩემზე არ არის დამოკიდებული.

შეგახსენებთ ფრაგმენტს «გამოცხადების» (აპოკალიპსის) შესავლიდან:

«ნეტარია წამკითხველი და მომსმენი ამ საწინასწარმეტყველო სიტყვისა და მასში დაწერილის დამცველი, რადგან ახლოა ჟამი.» (I,3)

თეოლოგები ჯერ კიდევ მეორე საუკუნიდან ეძებდნენ ბიბლიური ანტიქრისტეს ისტორიულ პროტოტიპს, რომელიც საკმარისად აღჭურვილი იქნებოდა კონკრეტული ნიშნებით. არაფერს მიულებელს ამაში არავინ ხედავდა.

ისტორიულ-აპოკალიპსური ანტიქრისტეს ძიება დღემდე

არ წყდება: ნერონი, დიოკლეტიანე, ნაპოლეონი, პატრიარქი ნიკონი და სხვები. მაგრამ არავის უცდია გაეხსნა ეს შიფრი ლენინისა და სტალინის მიმართ. ამ თემაზე მასალა პირველად ქართულად გამოვაქვეყნე გაზეთ «თბილისში» სათაურით «ანტიქრისტე» (28.XI.1989წ.). ამ თემის მეორე ვარიანტი გამოქვეყნებული მაქვს რუსულ ენაზე ჟურნალში «ლიტერატურნაია გრუზია» (იხ. «ანტიქრისტე», 1991 წლის ნოემბერი)

ახლანდელი ვარიანტი წინანდლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შეესებული და დახვეწილია, თუმცა «ორი მხეცის» საკითხის დასმის თვალსაზრისით არსებითად არ შეცვლილა.

«გამოცხადებაში» (აპოკალიპსში) ძირითადად სამი მხეცის სიმბოლოა:

1. ზღვიდან ამომავალი მხეცი, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა;

2. მიწიდან ამომავალი მხეცი «კრავის» (ქრისტეს) მსგავსი ორი რქით;

3. უფსკრულის მხეცი.

თითქმის ყველამ იცის, რომ კრავი ქრისტეს ერთ-ერთი სახელია. რქა-ძალაა, სიმძლავრე, პატიოსნება. კრავს (ქრისტეს) შვიდი რქა აქვს. მეორე მხეცს ძალა-სიმძლავრე ნაკლები აქვს, ვიდრე ქრისტეს.

«მხეცის თავი მიუთითებს მეფეზე, სახელმწიფოს მეთაურზე. პირველი მხეცი, სახელმწიფოს მეთაური, რომელიც შეცვლის მეფეს, ხდება ულმერთო ქვეყნის «მეფე». «ზღვიდან» – აღნიშნავს მრავალი აღელვებულ-აბობოქრებული ხალხების, ღვთის საუფლოს მიმართ მტრულად განწყობილი ხალხების «მრავალ მეფეს» (იხ.ფს. XCIII, 3.გამ.VIII, 7,8).

მაშასადამე, მხეცის სიმბოლო, რომელიც ზღვიდან ამოდის, არის ის არსება, რომელიც მოდის წარწყმედილ, ღვთის-მგმობელ ადამიანთა სამყაროდან»

ლოპუხინისა და მის მემკვიდრეთა კომენტარები გამოქვეყნებულია ოქტომბრის რევოლუციამდე (1913

წლამდე). იმ დროისათვის კი ლენინი და სტალინი პირველი და მეორე მხეცის როლებში, ცხადია, ჯერ კიდევ ჰორიზონტზე არ გამოჩენილან. შემაძრწუნებელია მომავალი, მოახლოებული რევოლუციის სურათის წარმოდგენა. აქ მხოლოდ სახელწოდება, ტერმინი «რევოლუცია» აკლია.

ამგვარად, ქრისტიანულ ქვეყანაში მოდის რევოლუციური ენებებით აბობოქრებული მასები მრავალენოვანი, მრავალტომოვანი ხალხებისა. ისინი ჩამოაგდებენ მეფეს და სახელმწიფოს მეთაური ხდება ანტიქრისტე შვიდი თავითა და ათი რქით – უზარმაზარი სამეფოს მეფეთა მეფე. არა მგონია ვამეტებდე ან ვაკლებდე რაიმეს. სხვა ანალოგი, უბრალოდ, არც არის.

პირველი მხეცი – ანტიქრისტე

პატივცემულო მკითხველო, ქვემოთ ჩვენ ხშირად მოგვიხდება გავიმეოროთ აპოკალიპსიდან ერთი და იგივე გამონათქვამები. მაშასადამე, პირველი მხეცი ამოდის ზღვიდან – **«რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა, რქებზე ათი ჯიღა და თავებზე ღვთისმგმობელი სახელები»** (XIII,1).

მეფე-ღვთისმგმობელი, ისტორიულად ქრისტიანულ ქვეყანაში ანტიქრისტიანული სახელმწიფოს მეთაური დაუნდობელ ბრძოლას ეწევა ქრისტესა და ქრისტიანთა წინააღმდეგ. მაგრამ იგი მალე სასიკვდილოდ დაიჭრება, მხეცი თითქმის სასიკვდილოდ იყო განგმირული, **«მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა»** (XIII,3).

დაჭრილი თავის სიმბოლო «უნდა ავხსნათ არა როგორც ერთი რომელიმე თავის ჭრილობა, არამედ მთელი მხეცის მიმართ» (Толк.Библия,კომენტ.)

«ორმოცდაორი თვე»

ორმოცდაორი თვე არის 3,5 წელი, ე.ი. ნახევარია 7-ისა. ე.ი. 1260 დღე. ეს ანტიქრისტეს გაფურჩქვნის კლასიკური პერიოდია, წყვდიადი უწყვდიადესი.

ღვთისმეტყველებმა კარგად უწყიან, რომ ბიბლიის, აპოკალიპსის დროის გამომხატველი ციფრები პირობითია: «ათასი წელი ვითარცა გუშინდელი დღე» (ფს.89, ფს.89,5).

«ათასი» ხშირად ნიშნავს სიმრავლეს. ბევრი უტრიალეს თეოლოგებმა «ორმოცდაორ თვეს». ჯერჯერობით მხოლოდ იმდენს მიუხვდნენ, რომ იგი ხანმოკლეობას უნდა ნიშნავდეს. ეს ის პერიოდია, როცა დედამიწაზე ქრისტე და ქრისტიანები დამარცხებულნი არიან – ჭეშმარიტი ქრისტიანები დევნილნი. ანტიქრისტეს ბატონობის ეს პერიოდი ქრისტეს მეორედ მოსვლის წინაპერიოდია. ე.ი. ანტიქრისტე უფსკრულში დაბრუნდება და აღსრულდება ნება უფლისა – «საშინელი სამსჯავრო». მაგრამ ეს სხვაგვარი ანტიქრისტეს შემდეგ. ამის შესახებ ქვემოთ.

პირველ მხეცს – «მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკნა და დაეგმო ღმერთი. მიეცა მას ხელმწიფება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ» (XIII,5).

ათეისტური საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის მანძილზე ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდი, ლენინის დიქტატურის პერიოდი, იყო ყველაზე სასტიკი: შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკები, ხორციელდებოდა დახვრეტები, მძვინვარებდა «ტროიკები». განსაკუთრებით გამძაფრდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. ამ მხრივ ლენინი ჭეშმარიტად შეუდარებელი ანტიქრისტეა იმ იმპერატორთა შორის, ქრისტიანებს რომ ანადგურებდნენ.

«ფართოდ გავრცელებული ინტერპრეტაციით, სასიკვდილო ჭრილობა, რომელიც ერთ თავს შეეხო, სინამდვილეში მიყენებულია იმპერატორისადმი» (Александр

Мень). შესაძლოა ეს სიმბოლო ამგვარადაც წარმოვიდგინოთ: ლენინი 1918 წლის 30 აგვისტოს დაჭრეს, 1922 წელს იგი მძიმედ ავადმყოფობს. როგორც ამბობენ, მან იმ წელს მხოლოდ ორი თვე იმუშავა. ცნობილია, რომ მისი ბოლო გამოსვლა იყო 1922 წლის 20 ნოემბერს მოსსაბჭოს ბოლო პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა. ლენინი სახელმწიფოს პირველი პირი გახლდათ 1917 წლიდან 1922 წლამდე. მისი პრაქტიკული მმართველობის პერიოდი 42 თვეს უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, სხვაობა უმნიშვნელო იქნება. მაგრამ ამ ხნის მანძილზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი გამოირჩეოდა თავისი მედიდური მგმობელობით: «მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკნა და დაეგმო ღმერთი. მიეცა მას ხელმწიფება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ» (XIII,5).

გულახდილად გითხრათ, ლენინის მიმართ ჩემი გამოთვლით ეს «ორმოცდაორი თვე» უფრო შემთხვევითი დამთხვევა მგონია.

აპოკალიპსური დროის განზომილება, როგორც ითქვა, პირობითია. იგი მიუთითებს ანტიქრისტეს ბატონობის ხანმოკლეობაზე, თუმცა, ეს აპოკალიპსური ხანმოკლეობა შეიძლება საუკუნეს უდრიდეს.

ლენინური ბატონობის პერიოდი უსაშინლესია ქრისტიანობის დევნის ისტორიაში. ცნობილი მწერლის ვლადიმირ სოლოუხინის ცნობებით, ამ რეპრესიების დროს დაიღუპა 15-17 მილიონი ადამიანი. მათ შორის 320 ათასი მღვდელმსახურნი.

«ათასობით სასულიერო პირი განადგურებული იქნა ფიზიკურად, მათ შორის მონაზონი ქალები. ვის სინდისზეა ყოველივე ეს? პასუხისმგებლობა ეკისრება ლენინს, სვერდლოვს, ტროცკის და მათ უახლოეს დამქაშებს. მსგავს საშინელებებთან სტალინს დამოკიდებულება არ ჰქონდა.» (Успенский, Тайный советник вождя, III ч. стр.496).

ის გარემოება, რომ მრავალეროვანი და მრავალენოვანი სახელმწიფოს ბელადი (ლენინი) განსაკუთრებული გულმოდგინებით ანადგურებდა ქრისტიანებს, დავას არ იწვევს.

«ნება მიეცა მას, რომ ეომა წმინდანებთან და გაემარჯვა მათზე. მიეცა მას ხელმწიფობა ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე» (XIII, 7).

ლენინი: «მე აუცილებელ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენ ახლა უნდა გამოვაცხადოთ ყველაზე გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმელ სამღვდელოებასთან, და მათი წინააღმდეგობა ჩავახშოთ ისეთი სისასტიკით, რომ ეს მათ არ დაავიწყდეთ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში... არა სხვაგვარად, თუ არა ყველაზე გავლენიანი და საშიშ შავრაზმელთა დიდი რაოდენობის დახვრეტით, ქ. შუიში, და შესაძლებლობის მიხედვით არამარტო ამ ქალაქის, არამედ მოსკოველებისაც» (ლენინის «საიდუმლო წერილი» მოლოტოვს პოლიტბიუროში).

არც ისე საშიშია ეშმაკი, როგორც მას ხატავენ

მიუხედავად დიდი ლენინის მიერ ჩადენილი დიდი ბოროტებისა, მისი პიროვნება არ უნდა წარმოვიდგინოთ ისტორიისათვის უმნიშვნელო პიროვნების დონეზე. ლენინი უაღრესად ძლიერი პიროვნებაა, რომელიც ფლობდა დემონურ ძალას. ლენინი გახლდათ ერუდირებული, განსწავლული მტერი ღმერთისა.

საბჭოთა კავშირის საძირკვლის ჩაყრა ლენინის გარეშე არ მომხდარა! მას დიდი დამსახურება აქვს მუშათა კლასის, მშრომელთა წინაშე. იმ დემონსტრანტებს, წითელი დროშებით, ლენინისა და სტალინის პორტრეტებით, რომ გამო-

დიოდნენ, მე დიდ პატივსა ვცემ. საბჭოთა სახელმწიფოს მადლი არ უნდა დააკნინო. საბჭოთა კავშირში დაბადებული და გაზრდილი ე. წ. დემოკრატები საბჭოთა სინამდვილეს მხოლოდ ბოროტებად თვლიან. ასეთ შემთხვევაში თვითონ ისინი სხვა არაფერი არიან, თუ არა ბოროტებაში ქმნილი ბოროტნი. სახარებიდან მოპარულმა სოციალური სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის იდეამ, უბრალო ადამიანების საკეთილდღეოდ იმუშავა. ისტორიულად არსებულ ყველა სახელმწიფოთა შორის, თუ ვიხელმძღვანელებთ პლატონის პრინციპით, საბჭოთა კავშირი უმცირესი ბოროტებაა. ქვეყნიერება ბოროტებაშია ჩაფლული, სახელმწიფო ძალა და ძალმომრეობაა. არა არს სამოთხის სახელმწიფო და არცა სამოთხისეული ისტორია. ლენინს მრავალი მიწიერი ღირსება ჰქონდა. ღმერთის მეტოქეობის ფუნქცია ყველას როდი ეკისრება. ჰიტლერი ან ტროცკი გაცილებით საშინელი ბოროტება გახლდათ, ვიდრე ლენინი, მაგრამ მათ «შვიდი თავი და ათი რქა» არ არგუნათ ღმერთმა. ქრისტე გაცილებით მრისხანებს ცრუწინასწარმეტყველთა მიმართ, ვიდრე მისი პირდაპირი მტრის მიმართ: **«ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო! და მრავალს შეაცდენენ»** (მათე, 24,5).

ტერმინი «ანტიქრისტე» მხოლოდ იოანეს წერილში გვხვდება: **«ყმაწვილნო! უკანასკნელი ჟამია და როგორც მოისმინეთ, მოდის ანტიქრისტე, და ახლაც მრავლად არიან ანტიქრისტეები. ამით ვიცით, რომ უკანასკნელი ჟამია»** (I ი. 2,18).

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ღვთისუარმყოფი და ღვთისმიმბაძველი სატანა (ცრუწინასწარმეტყველნი). ეს უკანასკნელი გაცილებით საზიზღარია.

რაც შეეხება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს (ლენინს) მას ისტორიიდან ვერ ამოშლით. იგი გინდათ თუ

არ გინდათ, ისტორიული პიროვნებაა. მის შესახებ სხვა საზომით უნდა ვიმსჯელოთ: კარგად დასცინის ჰეგელი სკოლის მასწავლებელს, რომელიც ისტორიულ გმირებს საქციელს უწუნებს და მათ თავისი არშინით ზომავს:

«რომელი სკოლის მასწავლებელი არ ამტკიცებდა, რომ ალექსანდრე მაკედონელი და იულიუს კეისარი ხელმძღვანელობდნენ თავისი ვნებებით და ამიტომ უზნეო ადამიანები იყვნენ. ამით ის ამტკიცებს, რომ თვითონ ასეთ უზნეობას ხომ არ ჩაიდენს, არ დაიპყრობს აზიას, არ დაამარცხებს დარიოსსა და პიროსს...» (Гегель, Философия истории, 1935 г.,стр. 31).

ღმერთის მგმობელს ერთი უცნაური ბედი სჭირს. იგი არა თავისი ნებით (როგორც სჩანს, უფლის ნებით), ფორმალური ნიშნებით უნდა ჰგავდეს ქრისტეს. ე.ი. კიდევაც ჰგავს და ამავე დროს მისი ყველაზე დიდი მტერიცაა: ანტიქრისტე კოპირებას აკეთებს, იმიტირებას ახდენს ქრისტეს რიგი ფორმალური მონაცემებისა.

ქრისტე მოჰკლეს, ჯვარს აცვეს, მაგრამ იგი აღსდგა. ლენინი სასიკვდილოდ დაჭრეს, მაგრამ იგი როგორღაც «აღსდგა» იმის გამო, რომ სასწაულით განიკურნა. არ კარგავს რა თავის სახელს (იესო), ქრისტე-ღმერთს მრავალეპითეტიანი სახელებიც აქვს: მესია, კრავი ღვთისა, უფალი, დავითი, ძე ღვთისა, სიტყვა უფლისა.

ვლადიმერ ილიას ძემ შეინარჩუნა რა თავისი სახელი, იცვლის თავის გვარს; ჯუღაშვილი ხდება სტალინი. ისიც სარგებლობდა ფსევდონიმებით: სოსელო, კობა, ივანოვი.

ანტიქრისტეს დედაც იუდეველი უნდა იყოს. ქრისტეს დედა მარიამია, ლენინის დედაც მარიამია (ბლანკი).

პირველი მხეცი და
პირველი მხეცის ხატი

პირველი მხეცი და პირველი მხეცის ხატი ერთი და იგივე ცნება როდია. პირველი მხეცი ანტიქრისტე – ლენინი – სახელმწიფოს მოქმედი მეთაურია. მისი ხატი გულისხმობს მის მოძღვრებას, ლენინიზმს. აპოკალიპსის («გამოცხადების») მეცამეტე თავის პირველ ნაწილში ძირითადად ლაპარაკია მხეცის შესახებ, შემდეგ კი ძირითადად მხეცის ხატის შესახებ. მეორე მხეცი არამარტო მხეცის წინაშე, მხეცის ხატის (მოძღვრება-სახელის) წინაშე დააჩოქებს ადამიანებს.

«მიეცა უფლება მხეცის ხატებისათვის სულის ჩასაბერად, რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, რომ მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას» (XIII,15).

«მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა...» – ამ ფრაზის შინაარსი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ღვთისმეტყველთა შორის. თანამედროვე მოვლენათა რეალობიდან გამომდინარე თვით დიდი ანდრია კესარიელის ინტერპრეტაციაც მოძველებული ჩანს: «გვიამბობენ, რომ ავი სულები ჯადოქრობის მეშვეობით არაიშვიათად ლაპარაკობდნენ გამოსახულებების, ქანდაკებების, ხეებისა და წყლების მეშვეობით. შესაძლოა გარდაცვლილთა გვამებითაც, როგორც ამას სჩადიოდა სიმონ მოგვი რომაელთა წინაშე პეტრე მოციქულის თანდასწრებით, რომელმაც ამხილა ჯადოქრის თვალთმაქცობა... ამიტომ არაფერი უცნაური არაა იმაში, რომ ანტიქრისტეს წინმავალი და საჭურველთა მტვირთველი დემონების მეშვეობით მოატყუებს, მოაჩვენებს მათ მოლაპარაკედ, უბრძანებს ყველას დარბევას, ვინც თაყვანს არ სცემს მხეცს» (Ан.Кес. 13.14).

ის, რაც მეორე მხეცმა (სტალინმა) გააკეთა პირველი მხეცისათვის, გაცილებით ადეკვატურია და შეესაბამება სიმბოლოს, ვიდრე სიმონ გრძნეულის ჯადოქრული ფოკუსები.

ლაპარაკია მხეცის მოლაპარაკე ხატის შესახებ-ლენინი ლაპარაკობდა და დღესაც ლაპარაკობს კინოში, თეატრში, ტელეეკრანებიდან. მისი გამოწვდილი ხელი ჯერ კიდევ ჰოგვიწოდებს კომუნიზმისაკენ. სტალინი – მისი «მეგზური და საჭურველთმტვირთველი» – ქმნიდა ლენინის უკვდავების ილუზიას არა ქრისტიანულად, არამედ ხალხური ცნობიერებით კერპის შექმნის გზით: «ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს!» – ამ სიტყვებში ჩაქსოვილია ხალხის არაჩვეულებრივი წყურვილი – ბელადთან არგანშორებისა. წითელ მოედანზე მავზოლეუმის აგება სტალინის იდეა გახლდათ. სტალინმა ღრმად შეიგრძნო დიადი, სრულიად სახალხო სურვილი – ხალხის საყვარელი ბელადის გაღმერთება – და ამით თვითონაც გახდა ხალხის საყვარელი ბელადი. სტალინი აერცელებდა ლენინურ «ბეჭედს ყველგან და ყიდვა-გაყიდვაზეც». ლენინი უდიდესი ათეისტი, ანტიქრისტე – ვერ ეღირსა ქრისტიანულ საფლავს. მორწმუნეს თვალში კი ეს ჯოჯოხეთური წამებაა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ მისი ხატის კულტი აქტიური ზემოქმედების ძალას იღებს. ქვეყანა მისმა ქანდაკებებმა, სურათებმა, გამოსახულებებმა წალეკა. ახალგაზრდობა და მოზარდობა ატარებს კომკავშირულ, პიონერულ და ოქტომბრელის ლენინისთავიან გამოსახულ სამკერდე ნიშნებს. მოქალაქენი შიშით და თრთოლვით წარმოთქვამენ მის დიად სახელს. ვინც არ ეთაყვანებოდა «მოკლული-იყო ყოველი». მავზოლეუმში მოწიწებით გარს უვლიან «ცოცხალი» ლენინის სხეულს. თეატრი და კინო აცოცხლებენ მას... «რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, რომ მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას» (XIII, 15).

ლენინის გამოსახულება მიღებულია როგორც მარადიული დამლა «ნიშანი», როგორც სიმბოლო გაცოცხლებული ძალისა. მთელი დოკუმენტაციები, ორდენები თუ მედლები, ყოველგვარი პოლიტიკური, საზოგადოებრივი ნიშნები იქმნებოდა ანტიქრისტეს ნიშნით.

ფული?

ფულზე პირველი მხეცის გამოსახულებაა. მეორე მხეცმა, სტალინმა «...აიძულა ყველა-პატარები და დიდები, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები-მიეღოთ ნიშანი მარჯვენა ხელზე ან შუბლზე... რომ არავის შეძლებოდა ყიდვა-გაყიდვა, იმათ გარდა, ვისაც ექნებოდა ნიშანი-მხეცის სახელი ან სახელის რიცხვი» (XIII, 16-17).

ერთადერთი ძვირფასი ნივთი, რომელსაც ზოგჯერ აღშფოთებითა და ამავდროულად დიდი სურვილით დახედავდნენ ხოლმე და რომელზედაც გამოსახული გახლდათ პირველი მხეცი-ლენინი, ეს ფულია. «იუდეველები აღშფოთებით დახედავდნენ მონეტებს, რომელზეც გამოსახული იყო იმპერატორის პორტრეტი, მას თვლიდნენ მკრეხელობად, მაგრამ რა უნდა ექნათ. მის გარეშე ვერაფერს იყიდიდნენ. კეისრის დინარი იყო მოქმედი მონეტა... ვერაფერს გაყიდი, თუ ხელში არ აიღე ეს საზიზღრობა» (отец Александр Мень, коммент. к XIII,16-17).

ნამგალი და ურო

ისე, როგორც ანტიქრისტე კავშირშია ქრისტესთან უარყოფითი მნიშვნელობით, ასევე ანტიქრისტიანული სახელმწიფოს ზოგიერთი საკულტო საგანი ხშირად დაკავშირებულია აპოკალიფსურ-ქრისტიანულ სიმბოლოებთან. ასეთია ნამგალი და ურო. ნამგალი გამოხატავს გლეხურ შრომას, ურო კი –მუშათა კლასს. მაგრამ ნამგალი არაუბრალო სიმბოლოა აპოკალიფსიდან: «ნამგალი (მახვილი) მიუთითებს ქვეყნის აღსასრულს, რომელსაც უფალი უწოდებს მკას». (Ан. Кес.). ნამგალი მრისხანე სიმბოლოა, თუმცა ნათელი შინაარსით. საინტერესოა აგრეთვე სიმბოლო-ნამგალი ქრისტეს ხელში. მტერი, რომელმაც ყანა დათესა, არის

ეშმაკი. «მკა კი არის წუთისოფლის აღსასრული, ხოლო მომკალნი ანგელოზები არიან». (მათე, XIII, 39).

მკა ნამგლით ხდება ანტიქრისტეს შემდეგ, ეს თვით სამსჯავროს პროცესია. ნამგალი იარაღია სამართლიანობისა, რისხვა ცოდვილთადმი და მათგან კეთილთა გამორჩევა. აპოკალიპსური მკა არამარტო ბოროტთა შემუსვრაა, არამედ კეთილთა შეკრებაცაა.

მეორე მხეცი

მეორე მხეცი ყველაზე საოცარი სიმბოლოა. აბა წარმოიდგინეთ: ის ძალაუფლებას აძლევს პირველ მხეცს – ანტიქრისტეს, თვითონ კი ქრისტეს ჰგავს. ქრისტეს (კრავს) «შვიდი რქა და შვიდი თვალი», ხოლო მეორე მხეცს მხოლოდ ორი რქა აქვს, «მსგავსი კრავისა», ე.ი. მსგავსი ქრისტესი. ეს არაა მხოლოდ ფორმალური მსგავსება. თუ ჩვენი ვარაუდი პროტოტიპის (სტალინის) შესახებ გამართლდება, მაშინ, ბუნებრივია, ისტორიული პროტოტიპის ცხრამეტსაუკუნოვანი უნაყოფო ძიება ამჯერად გასაგები გახდება. მაშინ ლენინი-ანტიქრისტე და სტალინი ჯერ არ იყვნენ, თეოლოგები კი მათ უმეტესად წარსულში ეძებდნენ.

უცნაური წინააღმდეგობრიობა მეორე მხეცისა (ჩემი რწმენით, სტალინისა) ისაა, რომ იგი ერთგულად ემსახურება ანტიქრისტესაც და ქრისტესაც (საიდუმლოდ) ეს პარადოქსულ შეუთავსებლობად გამოიხატება, მაგრამ არის სხვაგვარი განზომილება, რამდენადმე რომ ჰგავს «უფალს უფლისა, კეისარს კეისრისა». მეორე მხეცის «კრავის მსგავსი ორი რქა» აშკარად ქრისტესთან მსგავსებაზე მიუთითებს. ეს მსგავსება ქრისტესებურობაზე, მასთან შინაარსობლივ ნათესაობაზე მიუთითებს და არა იმგვარ ფორმალურ მსგავსებაზე, იმიტირებაზე, ანტიქრისტესაც რომ გააჩნია ქრისტესთან მსგავსების ნიშნები. ე.ი. მსგავსება შეიძლება იყოს მოსისხლე მტრებს შორის და მონათესავე არსებათა შორი-

საც. მეორე მხეცი რომ ქრისტეს ნათესაურობაზე მიუთითებს, ამაზე არც თეოლოგები კამათობენ. სირთულე აქ შემდეგშია: მეორე მხეცი შედარებულია გველეშაპთან, ცრუწინასწარმეტყველთან პირველ მხეცთან მიმართებაში. მაგრამ მეორე მხეცმა (სტალინმა) ამავე დროს გააკეთა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე კეთილშობილი საქმე – მან გადაარჩინა მართლმადიდებელი ეკლესია. ეს შეეძლო მხოლოდ ქრისტეს მიახლოებულ კაცს. სტალინი ღმერთზე ნაკლებია და კაცზე მეტია. ამჟამად პირწავარდნილი ანტისტალინისტებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ დიდ სამამულო ომში მას მხარი დაუჭირა რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ.

განადიდებს რა პირველ მხეცს (ლენინს), ამით მეორე მხეცი (სტალინი) განადიდებს თავის თავს, მოქმედებს რა «...პირველი მხეცის მთელი ხელმწიფობით» (XIII, 12). «...ახდენდა დიდ სასწაულებს, ცეცხლიც კი ჩამოიტანა ციდან დედამიწაზე ადამიანთა წინაშე» (XIII, 13).

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ განადგურებულ-გაღატაკებული დიდი რუსეთი უკიდურეს მდგომარეობაშია. და აი, ამ რუსეთიდან, კავის რუსეთიდან, სტალინმა ატომური ბომბის მფლობელი რუსეთი მისცა მსოფლიოს. აი ეს ატომური ცეცხლი სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა ის, რომ ის «ახდენდა სასწაულებს, ცეცხლიც კი ჩამოიტანა ციდან დედამიწაზე ადამიანთა წინაშე». ატომური ცეცხლის ხილვით პრომეთეც კი შედრკებოდა!

ძვირფასო მკითხველო, მინდა მივმართო იმ თაობას, რომელიც გაწამებული იყო სკკპ ისტორიის გამოცდების ჩაბარებით. ამ თაობამ კარგად იცის ლენინისა და სტალინის ურთიერთობა. თუმცა, საიდუმლო, ცხადია, ბოლომდე გახსნილი არ არის.

შევადაროთ სტალინის მოქმედება ლენინის წინაშე აპოკალიპსთან, გამოცხადებასთან:

გამოცხადება: «აცდუნებდა დედამიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომლებიც მიეცა მას მხეცის წინაშე მოსა-

ხდენად, და ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინა მხეცის ხატება, რომელსაც აქვს ჭრილობა მახვილისგან და რომელიც გაცოცხლდა» (XIII, 14).

ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში სტალინი ცდილობდა უკვდავეყო ავადმყოფი ბელადი. ცოცხალი სახელმწიფო მეთაურისაგან სტალინი შემდგომში ლენინიზმს ქმნის.

ვიმეორებ: გამოცხ.: «მიეცა უფლება მხეცის ხატებისათვის სულის ჩასაბერად, რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას» (XIII, 15).

საკმარისია გავიხსენოთ ერთი ირონიული ანეკდოტი ლენინზე – «ან დახვრეტა ან ციმბირი!». ესეც ხომ მწარე სიმართლეა! 1917 წლიდან მეორე მხეცმა-გველეშაპმა, ცრუწინასწარმეტყველმა სტალინმა «ხელმწიფება მისცა მხეცს» (XIII, 4). ლენინმა, როგორც სახელმწიფოს მოქმედმა მეთაურმა, თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო წესიერად ჩაეყარა ქვეყნისათვის საჭირო საძირკველი, მან მხოლოდ პირველი თხრილი გაიყვანა...

«გენიალური გენიალურთა შორის» «ვინ არის ამ მხეცისთანა»

მოდით შევადაროთ, თუ როგორ ახასიათებს და განადიდებს მეორე მხეცი პირველ მხეცს, როგორ ახასიათებს და განადიდებს სტალინი ლენინს:

გამოცხ.: «განცვიფრდა მთელი დედამიწა, და უკან გაედევნა მხეცს; და თაყვანი სცეს გველეშაპს, რომელმაც ხელმწიფება მისცა მხეცს» (XIII, 3).

სტალინი ლენინის შესახებ: «აი, რატომ მან, პროლეტარიატის გენიალურ ბელადთა შორის ყველაზე გენიალურმა, საფუძველი ჩაუყარა ინტერნაციონალს...».

გამოცხ.: «...თაყვანს სცემდნენ მხეცს და ამბობდნენ:

ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან შებრძოლება?» (XIII, 4).

«როცა მისი ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ისვრის, მაშინ ჩვენ ლენინის სახით გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი.»

«ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეეძლო აენთო მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულები თავისუფლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში.»

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალს: «გამოცხადების» XIII თავის პირველ ნაწილში ძირითადად ლაპარაკია პირველ მხეცზე როგორც მოქმედ ფენომენზე, ხოლო შემდეგ მეორე მხეცის სასწაულების მეშვეობით მას თითქმის ცვლის მხეცის ხატი. მაშასადამე, პირველი მხეცი და პირველი მხეცის ხატი მთლად ერთი და იგივე ცნება როდია. ეს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: «გენსეკი» ლენინი და ლენინიზმი. მხეცი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, მიდის ამ ქვეყნიდან და მოდის ლენინიზმი. სტალინის მიერ შექმნილი ლენინიზმი არანაკლებ ძლიერია მოქმედ მხეც-ანტიქრისტეზე. სტალინმა ლენინი მის სიცოცხლეშივე უკვდავყო, უფრო მეტიც, ეს უკვდავყოფა მან განამტკიცა ლენინის სიკვდილის შემდეგ.

კომენტართა კომენტარი

ლოპუხინისა და მის მიმდევართა მიერ შესანიშნავად გამოცემული «Толковая Библия» აღჭურვილია საუკუნის წინანდელი თეოლოგიური მიღწევებით, ე.ი. ამ ღვთიური წიგნის შესანიშნავი კომენტარებით. ამ წიგნის ახალი ოფსეტური გამოცემა იმეორებს 1913 წლის გამოცემას. ამ კომენტატორებისათვის, ცხადია, პოლიტიკურ ჰორიზონტზე ვერ მოიაზრებოდა მომავალი ანტიქრისტე. კომენტატორების მზერა კი მიჯაჭვულია წარსულზე, მიუხედავად იმისა, რომ

აპოკალიპსი მომავალის სამსჯავროს ნიშნავს. მაგრამ აქ მეორე მხეცის გამოსაცნობად დასმულია ძალიან საინტერესო კითხვის ნიშანი (იხ. Коммент. по XIII главе).

«როგორც პირველი მხეცი ზღვიდან არის პიროვნება ანტიქრისტესი, ცოდვის კაცისა, ბოლო ჟამის მეფისა, მეორე მხეციც მიწიდან ზუსტად ისევე არის პიროვნება, თუმცა განსხვავებული ანტიქრისტესგან, მაგრამ დაკავშირებულია მასთან როგორც ცრუწინასწარმეტყველი ამ სიტყვის ფართო გაგებით, სახელდობრ, წინასწარმაუწყებელი ანტიქრისტეს ნებისა, რომელიც მოდის ეშმაკის ნებითა და მოქმედებით.

მეორე მხეცის მსგავსება კრავთან საჭიროა შემოიფარგლოს მხოლოდ რქების მსგავსების სახით. დახასიათების ძალა იმაშია, რომ მხეცი რქების მიხედვით არც მთლად ისეთია, როგორც კრავი, მხოლოდ ჰგავს მას. მხეცს მიწიდან აქვს მხოლოდ ორი რქა (კრავს-შვიდი რქა), რაც ნიშნავს მის ნაკლებ ძალას, რაც მას განასხვავებს როგორც კრავს, ასევე გველეშაპისა და მხეცისაგან.»

მაშასადამე, მეორე მხეცი ნაკლებია ღმერთზე (კრავზე) და მეტია კაცზე. კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: მეორე მხეცი აიძულებს ადამიანებს თაყვანი სცენ, დაიჩოქონ პირველი მხეცის წინაშე. მაგრამ თვითონ არ იჩოქებს. თვითონ მეორე მხეცს, გველეშაპს თვითონ თაყვანსა სცემენ იმიტომ, რომ «ხელმწიფობა მისცა მხეცს». ხელმწიფობის მიმცემი ძალა რა ძალაა? აბა ერთი წარმოიდგინეთ, სტალინს რომ არ აეშენებინა გიგანტური სახელმწიფო, ვის ეხსომებოდა ლენინი? ლენინი როგორც დიდი ძალა, სტალინის შექმნილმა სახელმწიფომ შექმნა.

გველეშაპს, მეორე მხეცს სტალინს – «თაყვანი სცეს გველეშაპს, რადგან ხელმწიფობა მისცა მხეცს» (XIII,4). ე.ი. ძალისმომცემი ძალმიცემულზე მეტია. ამიტომ ფრაზა- «მეორე მხეცის მსგავსება კრავთან უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ რქათა მსგავსებით» სწორი აღარაა. ვინაიდან

მეორე მხეცი (სტალინი) გადაარჩენს ქრისტიანობის ბურჯს, მართლმადიდებელ ეკლესიას, იგი ფორმალურად კი არა, შინაარსობლივად ჰგავს ქრისტეს. მისი წილი ქრისტიანობის ხსნაში მხოლოდ და მხოლოდ უდიდესია. დიდი ანტიქრისტე სავლე, რომელიც ხოცავდა პირველ მოწამე ქრისტიანებს, უცბად ხდება დიდი, უმაღლესი მოციქული პავლე, რომელმაც გადაარჩინა ეკლესია. ასე რომ, მეორე მხეცი, გველეშაპი, ცრუწინასწარმეტყველი (სტალინი) გახდა დიდი საიდუმლო ბურჯი ქრისტიანობისა.

ლენინი და სტალინი თანამოაზრეები არიან, მაგრამ არა ერთსულოვანნი

სტალინი არასოდეს ეკამათებოდა ლენინს. ისინი ერთნაირად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ფიქრობდნენ ურთიერთსაწინააღმდეგოდ. ლენინი ქრისტეს პირწავარდნილი მტერია, სტალინი კი ქრისტეს საიდუმლო დამცველი. ღვთის შეწევნით სტალინმა იხსნა მართლმადიდებელი ეკლესია.

აბსოლუტურად არაგულწრფელია სტალინის სიტყვები ლენინისა და პეტრე პირველის შეპირისპირებისას. მან ძალიან კარგად იცოდა პეტრე დიდის სიდიადე, არა ისე როგორც გერმანელ მწერალთან ემილ ლუდვიგთან საუბრისას თქვა: «რაც შეეხება ლენინისა და პეტრე დიდის შედარებას, ეს უკანასკნელი იყო ზღვაში წვეთი, ხოლო ლენინი-მთელი ოკეანეა» (1932 წელი).

სტალინი ამბობდა უწინარეს იმას, რაც იმ დროს ხალხს სჭირდებოდა, იმ ვითარებაში, მაგრამ ფიქრობდა და აკეთებდა ისე, როგორც ღმერთი კარნახობდა, საბოლოოდ ხალხის საკეთილდღეოდ.

ლენინი სრულიად რეალიზებულია თავის ნაშრომშთა 55 ტომში, სტალინი კი პირიქით, მოქმედებდა საიდუმლო იდეით. ის, რაზედაც ის ლაპარაკობდა, თქმულია უბრალო

ხალხისთვის და უბრალო ენით. ამბობენ, რომ ლენინის ფილოსოფიური ჰორიზონტი უფრო ფართეა, რადგან ის ხშირად იხილავს ჰეგელის, მახის, ავენარიუსის და სხვათა ნაშრომებს. ლენინმა საშინლად დაასახიჩრა ფილოსოფია, მიუსადაგა იგი «პროკრუსტეს სარეცელს», ყველაფერი დაჰყავდა მიწაზე, უფრო ზუსტად, ამატერიალისტურებდა იდეას, იდეალისტურს. მაგრამ თეოლოგია ბევრად მაღლა დგას ფილოსოფიაზე. ლენინს სძულს თეოლოგია, შავ-ბნელ აზროვნებად თვლის მას. სტალინმა არამარტო იცის, რწმენით გრძნობს ამ ცოდნის შინაარსს. ეს თვისება მას მხოლოდ სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში არ მიულია. თუმცა, «ძველი აღთქმის», «ახალი აღთქმის», «საღვთო სჯულის» საგნებში სულ ფრიადები ჰყავდა. იგი დედის რძესთან ერთად ეხიარა ქრისტეს მოძღვრებას. ეს უზენაესი ცოდნა უმაღლესი ღირებულებებისა მასთან გასაიდუმლოებულია. იგი მას მოქმედების დიად მიზნად იყენებს.

როგორ კაცობრიობას სჯის ქრისტე?

«...უკანასკნელ დღეებში საზარელი ჟამი დადგება;

ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმიდურნი;

მოძულენი, შეურიგებელნი, მოღალატენი, სასტიკნი, კეთილის მოძულენი;

გამცემნი, თავხედნი, გაბღენძილნი, უფრო სიამეთა მოყვარენი, ვიდრე ღვთისა» (II ტიმოთე, I 1-4).

ეს არ არის სრული ნუსხა იმ სინამდვილისა, რაც კაცობრიობას ახასიათებს. დამეთანხმეთ, ამისთანა კაცობრიობა არსებობის ღირსი აღარ არის. როცა სახარების ამ სიტყვებს ვკითხულობთ, უმეტესწილად ვირეკლავთ, თითქოს იგი სხვას შეეხება. ნაკლებად ვეკითხებით ჩვენს თავს, ამ უზნეობათაგან რომელი შემეხება მე? თუ მოხდება დიდი

საკაცობრიო პანიკა და შიში მონანიებისა, შეიძლება «საშინელი სამკვარო» ან გადაიწიოს, ან მოგვეცეს ძალა, რათა ღირსეულად შევხვდეთ მას.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი უზნეობანი განა ახალია, იგი მიწიერი ცხოვრების თანამდევია. მაგრამ, როცა იგი ისე აბიბინდება, რომ ახრჩობს სიკეთეს, ირღვევა სიკეთისა და ბოროტებას შორის ყოველგვარი თანაფარდობა, აი მაშინ მობრძანდება დიდი მოსამართლე.

არამარტო სიკეთეს, ბოროტებასაც დიდი ნაირსახეობები აქვს. მაგრამ თვით ბოროტებამ კარგად იცოდა, რომ სიკეთე სჯობს ბოროტებას და ამიტომ ბოროტებას სიკეთის გარეგნობებში ცდილობდა დაემალა თავი. ბოროტებას ეშინოდა სირცხვილისა და სიკეთეს იჩემებდა. ახლა ბოროტება ლეგალიზებულია. ბოროტებამ ამაყად ასწია თავი და აცხადებს: დიახ, მე ვარო ძალა, რაც გინდათ, ის დამიძახეთო. როცა ბოროტება, ანტიქრისტე გაბატონდება. აი მაშინ უნდა ველოდოთ ქრისტეს მრისხანე მეორედ მოსვლას. ანტიქრისტეს საშინელი ჟამი ნიშნავს დედამიწაზე ქრისტეს და ქრისტიანთა დამარცხებას. მე ამ ჟამს ქრისტეს მეორე ჯვარცმას ვუწოდებ. ახლა მართლა ახლოა ჟამი ბოროტების შესამუსრავად. დღეს კი , ჯერ-ჯერობით ასეა: **«და ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთის მოსაობით, დევნილი იქნება»** (II ტიმოთე, 3,12).

დღეს ჭეშმარიტი ქრისტიანი დევნილია. იგი დევნილია ცხოვრების მთელი რეალობისაგან. ხოლო აპოკალიპსის მიხედვით ვინ არის ჭეშმარიტი ქრისტიანი, ეს შემდგომ!

რაც შეეხება ბოროტებას, დიალექტიკურად მას აქვს არამარტო უფლება არსებობისა, არამედ იგი სიკეთესთან თანაარსებობის აუცილებელი ელემენტია. რომ არ იყოს ბოროტება, არ იქნება სიკეთე. მაგრამ როცა თანაფარდობა ირღვევა და ბოროტება გაბატონდება, აი მაშინ მოდის რისხვა უფლისა. კაცობრიობას უახლეს ხანში ემუქრება დიდი რისხვა. ვევედროთ ღმერთს, – გვიხსენ უფალო, შეგვიწყალე ღმერთო!

«ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც»

ქრისტე, ცხადია, არ უარყოფდა ფულის საჭიროების აუცილებლობას. საკითხი ეხება ანგარება-უანგარობას. როცა ფული კი არ ემსახურება ადამიანს, არამედ ადამიანი ხდება ფულის მონა, მაშინ იგი ღმერთის მტერია.

კაცი, რომელსაც ჭკუასა და სინდისზე მეტი ფული აქვს, დაღუპულია იმის საქმე, წარწყმედილია მისი სული. ქრისტეს ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ დიდმა მათემ გვაუწყა: **«არავის ძალუძს ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს ან მეორე უყვარდეს;. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც»** (მათე, 7,24).

თუ რომაელი იმპერატორი პართალი იყო- «ფულს სუნი არ აქვსო», დღეს მან საზიზღარი სუნი დააყენა, მოწამლა სული კაცობრიული. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ფულს არ ჰქონდა ისეთი დამპყრობლური შესაძლებლობები, როგორიც ეს ახლანდელი გლობალიზაციის დროს ხდება. აქ საქმე გვაქვს უკიდურესობასთან. დღეს უფულობა არის სიკვდილი ყველაზე დამამცირებელი სახით. ფული არასდროს მაღლდებოდა ღვთაებრივ ღირებულებებზე.

«ყველაფერს ვიყიდი – თქვა ოქრომ, ყველაფერს ავიღებ – თქვა ხმალმა»

პუშკინმა გამოხატა ოქროს სასწაულებრივად დიდი ძალა, ძალა, რომელსაც სძულს ძალა უფლისა. ამიტომ ფულის თავხედობა ძვირად უჯღება მის პატრონს-თავის წაკვეთითა თუ ათასგვარი უბედურებით. პუშკინმა კარგად იცოდა, რომ მახვილი უფლისა უფრო ძლიერია ვიდრე ფული.

ფულმა შეიძინა ჩვენს დროში უსაზღვრო ძალაუფლება, ადამიანთა დამონების საოცარი ფუნქცია. ის არის ადამიანის

მონად გადაქცევის იარაღი. ადამიანს წაართვა რა ყველაფერი, მან დაიყვანა იგი პირუტყვის მდგომარეობამდე. ფულით იძენენ სიმდიდრეს, მაგრამ უფულობით სპობენ ადამიანს. ეს არის აპოკალიპსის ნიშანი. გეშინოდეთ უფლის რისხვისა! ახლანდელი მონათმფლობელობა გაცილებით დაბალი კატეგორიის მონობას გულისხმობს, ვიდრე ეგვიპტისა თუ რომის ტიტველი მონები (როგორადაც მას ფილმებში გვიჩვენებენ).

მსოფლიო ფულის ბატონობის, ანტიქრისტეს ბატონობის უკანასკნელი სტადიაა. ფულის მეშვეობით შექმნეს უფულობით გამანადგურებული სისტემა, რომელიც უფრო საშინელია, ვიდრე ხიროსიმას ტრაგედია, ამით კიდევ ერთხელ ჩანს, რომ კაცობრიობა მეორედ მოსვლის ზღურბლთანაა.

მე ღრმად მწამს, რომ დღეს ჩვენ ანტიქრისტეს საშინელ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელსაც მოჰყვება «საშინელი სამჯავრო». მსოფლიო სულიერ წყვდიადშია, რომელსაც სინათლე უნდა მოჰყვეს.

სოდომიზმი

ყველაზე ანტიღვთაებრივი მოქმედება ადამიანისა, რის გამოც უფლის სასჯელი გარდაუვალია-ესაა სოდომიზმი. როგორც სჩანს, ღმერთს ნამეტანი სძულს სოდომელები. (ალბათ, დროა მათ ჩამოვართვათ მათ მიერვე მიტაცებული სახელი «ცისფერები». ეს თვითონ მათ დაირქვეს და დააჭუჭყიანეს ფერი, რომელსაც პოეტური ძეგლი აუგო ნიკოლოზ ბარათაშვილმა. ამიტომ, ძალიან გთხოვთ სოდომური ცოდვით წარწყმენდილთ აღარ დაუძახოთ «ცისფერები».) ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ სძულს ღმერთს ჰომოსექსუალისტები, სოდომელები? ეს იმიტომ, რომ ღმერთმა ბუნების ქმნილებათა შორის ადამიანს უბოძა ყველაზე ლამაზი სახე - მისი სახის მსგავსი სახე. ე.ი. ღმერთმა იმსგავსა ადამიანი და აღარ უთმენს მას მსგავს უმსგავსობას-რომ წარყვნას სახე ლამაზ უფლისა. ბიბლიაში შემთხვევით არაფერია თქმული:

«შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად» (დაბ.I, 27).

ამ გარყვნილებას ღმერთი თავის შეურაცხყოფად იღებს:

«თქვა უფალმა: გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე. მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები» (დაბ. 18,20).

სოდომში, ცხადია, ფიზიოლოგიურად ყველა ვერ იქნებოდა მამათმაყალი. მაგრამ ყველანი, გარდა ერთისა, ლოტის ოჯახისა, იმ სულისა და გარყვნილებისანი იყვნენ. ამიტომაც ეს გარყვნილი ქალაქები სოდომი და გომორი ღმერთმა მრისხანედ ააფეთქა:

«აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისაგან» (დაბ. 19,24).

ჰომოსექსუალიზმი, როგორც ბიბლიიდანაც ჩანს, არ ახალი სენია. მაგრამ, როცა ის ანომალია კი აღარაა, არამედ მასობრივ ხასიათს იღებს, როდესაც ეს დაუფარავი, უტიფარი იდეოლოგია ღმერთის წინაშე თავხედობს, მაშინ ასეთი საზოგადოება უნდა ელოდოს არა გოგირდის აბანოს, არამედ გოგირდის ცეცხლოვან კუპრს. ღვთის რისხვა გარდუვალია.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა სახით ააფეთქა ღმერთმა რამდენიმე ათასი წლის წინ გარყვნილთა ქალაქი?

ერთი საუკუნის წინ გოგირდი და ცეცხლი ციდან აღიქმებოდა როგორც რაღაც სტიქიური მოვლენა, რაღაც უცნობი ფიზიკური პროცესი. მაგრამ დღეს უნდა წარმოვიდგინოთ იმად, რის ადეკვატურ მსგავსებასაც ეხედავთ ტელეეკრანის მეშვეობით-როგორ ცვივა ციდან ატომური ცეცხლი...

დასჯის ფორმები და საშუალებები

როცა გარყვნილი კაცობრიობა ამორალურობის ყველა ზღვარს სცილდება, იგი ამით უპირისპირდება ღმერთს, მიუხედავად მალიმალ პირჯვრის წერისა. მაშინ ხდება დამნაშავე კაცობრიობის დასჯა. დასჯის ფორმები და

საშუალებები არის ბუნებრივ-სტიქიური, ადრე ჯერ აუხსნელი პროცესებით, მაგრამ არის ტექნიკური ცივილიზაციის მონაპოვართა შედეგები. ამ მხრივ თეოლოგები შედარებით თავშეკავებულნი არიან. ჩვენის აზრით, იგი ასე შეიძლება საღმრთო-სასჯელი 1. ბუნებრივ-სტიქიური. 2. ტექნიკური ცივილიზაციის შედეგები:

«1. ბეჭედი, ომი;
2. საერთაშორისო განხეთქილებები;
3. შიმშილი;
4. შავი ჭირის წყლული (სიკვდილი, ჯოჯოხეთი);
5. დევნა;
6. მიწისძვრები, მზის ვარდნა, ვარსკვლავთა სისხლიანობა, ადამიანები, რომლებიც იხეწებიან-მათ დაეცეს კლდეები, ციურ სხეულთა რყევები, ოთხი დამლუპველი ქარი» (იხ. Прот. Сергей Булгаков, Апокалипсис Иоанна, М., 1991. გვ. 60).

«ცის ვარსკვლავები მიწაზე ჩამოცვივდნენ»

სახარებასა და «გამოცხადებაში» (აპოკალიპსში) ძრავალგზის ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ცვივა დედემიწაზე ცეცხლოვანი ვარსკვლავები. ოცი საუკუნის წინ მოაზროვნეებმა ძალიან კარგად უწყოდნენ, რომ ცაზე ვარსკვლავები სიდიდით თუ არ აღემატებიან, არ ჩამორჩებიან დედამიწას, თუ ვარსკვლავი (არათუ ვარსკვლავები) ჩამოვარდება დედამიწაზე, წარმოიქმნება კოსმიური მტვერი. აქ იდუმალ მხილველს ეძლევა მომავალ მოვლენათა ხილვა. წინასაუკუნეთა თეოლოგებისათვის ეს იყო ისეთი სიმბოლო, რომლის საგნობრიობა მიმსგავსებული იყო ვარსკვლავებთან, მაგრამ ეს ხომ რეალური ვარსკვლავების ცვენა არ შეიძლება იყოს. აი როგორ კომენტარს უკეთებენ მას ლოპუხინის მემკვიდრე კომენტატორები: «...აქ ჩვენ უნდა დავინახოთ არა

მხედველობითი ცთომილება, არამედ მართლა ვარსკვლავთცვენა ასტეროიდების, მეტეორებისა და სხვა სახით.»

ამ სტრიქონების ავტორები საუკუნის წინ მოკლებულნი იყვნენ იმ უპირატესობას, რაც დღეს ჩვენ გაგვაჩნია-ეხილათ ეკრანებზე, თუ როგორ ცვივა «ცეცხლოვანი ვარსკვლავი», ატომური ცეცხლი, ბირთვული იარაღის გამოცდის სურათები. რომ ეხილათ, ისინი უსათუოდ უპირატესობას მიანიჭებდნენ ამ უკანასკნელთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არც ასტეროიდებისაგან ვართ დაზღვეულნი, მაგრამ ადამიანის ხელით შექმნილ ასტეროიდებს უფრო ჰგავს იდუმალმხილველის ხილვა. ასე რომ, ხშირ შემთხვევაში, დიდ თეოლოგ-კომენტატორებზე უკეთ აპოკალიპსურ სიმბოლოს უკეთ გაშიფრავს დრო, მისი საგნობრივი რეალობა. ის არც არსებობდა, წარმოიდგინა იდუმალთმხილველმა, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა კომენტატორი. კომენტატორი მხოლოდ არსებულის ფარგლებში გაშიფრავს მოვლენებს. ისე კი ბიბლიური წინასწარმეტყველება არასდროს არ აკონკრეტებს მოვლენებს ნატურალური სიზუსტით, მოვლენების კონკრეტული სახელწოდებებით. ის გვაძლევს მომავალ მოვლენათა არსებულად წარმოდგენის საოცრებას. ეს ღმერთის ნების ნაწილობრივი გამხელაა. ყველაზე დიდი წინასწარმეტყველნი «წინასწარმეტყველებდნენ მხოლოდ ნაწილობრივ». ხორციელ არსებაში მოვლენილ ღვთის რჩეულს არ ეძლევა აბსოლუტური ჭეშმარიტება.

ძვირფასო მკითხველო, აპოკალიპსის ავტორი ამაოდ როდი აფრთხილებს მკაცრად ყველას, ვინც ამ საკითხებს შეეხება-არ მოაკლოს რაიმე, არ დაამატოს რაიმე. არავის აქვს უფლება ფუჭი იმედი მისცეს ვინმეს თავისი სურვილის მიხედვით, პედაგოგიური თუ სხვა მოსაზრებით შეაფერადოს რაიმე. აქ იდუმალთმხილველი გვეუბნება, რომ არავის არაფრის დამალვის უფლება არ აქვს. თუ ვაცნობთ ვინმეს ამ საკითხებს, უნდა ვუთხრათ საკუთარ თავს, ადამიანებს, რომ მეორედ მოსვლა, მრისხანე სასამართლო სასჯელია

ჩვენი ცოდვებისათვის. აქაოდა ადამიანები არ შეაშინოთო, არც ამის უფლება გვაქვს. მაგრამ თუ რა და როგორია გადარჩენის გზა, ეს ცალკე საკითხია, უმთავრესი საკითხია, მაგრამ არც ისე ადვილად შვების მომნიჭებელი. მაშ ასე, რა სახეობების იარაღს იყენებს ღმერთი კაცობრიობის ფიზიკურად დასჯისათვის, ჩვენ ჩამოვთვალეთ არასრულად. აქ მთავარი იარაღი თვით ადამიანის ხელით შექმნილი საშინელებაა. ეს საშინელება საშინელმა ყაჩაღებმა კი არა, დიდმა მეცნიერებმა შექმნეს. ახლა გადავხედოთ აპოკალიპსის VI-IX თავებს და, მკითხველო, ნუ შეგეშინდებათ შევადაროთ იგი თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის მოვლენებს:

«ცის ვარსკვლავები მიწაზე ჩამოცვივდნენ, როგორც ძლიერი ქარით შერხეულ ლეღვის ხეს გასცვივა მკვახე ლეღვი.» (VI, 13).

« ...წარმოიშვა სისხლნარევი სეტყვა და ცეცხლი და გადმოგდებულ იქნა დედამიწაზე. მიწის მესამედი დაიწვა, ხეების მესამედი დაიწვა და მწვანე ბალახი მთლიანად გადაიბუგა.» (VIII, 7).

«ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით იწვოდა და ჩავარდა მდინარეთა მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე.

ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა. წყლების მესამედი ნაწილი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისაგან, ვინაიდან დამწარდნენ ისინი.» (VIII, 10-11)

«აბზინდა» ნიშნავს «ჩერნობილს» (ამ საკითხზე სტატია სათაურით «ჩერნობილი აპოკალიპსში» პირველად გამოვაქვეყნე გაზ. «თბილისში» 8.VII, 1989წ. იხ. წიგნში «მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია», 1993 წ.).

კალია

ნუ ეხუმრებით კალიას. იგი უბედური სიმრავლეა. კალია უძველესი დროიდან შიშის ზარს სცემდა კაცობრიობას. იგი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის აპოკალიფსიდან არის ცნობილი, როგორც ნიშანი ქვეყნის განკითხვისა. თავისთავად მოსავლის შთანთქვა-განადგურებას, უბედურება-დაღუპვას ნიშნავდა. მაგრამ იგი არ იყო აღქმული ვითარცა ლოკალური უბედურება. ეს იყო ქვეყნიერების აღსასრულის ნიშანი. ასეა ეს გადმოცემული წინასწარმეტყველ იოილის წიგნში (VIII ს. ქრისტემდე). მაგრამ იოილის წინასწამეტყველებას სხვა გააზრებაც მიეცა. ეს არაა კალიების შემოსევის ნატურალური ფაქტის კონსტატირება. იგი არის «მუსულმანთა შემოსევის წინასწარმეტყველება ისრაელის დასარბევადო» (იხ. Апокалипсис, сборник статей, издательская группа Свято-Троице-Серафимо-Дивеевского монастыря, «СКИТ», 1993 г., стр. 124).

მაგრამ აპოკალიპსური კალია ჩვენ სულ სხვა კუთხით გვაინტერესებს. სახელდობრ, როგორია ეს სიმბოლო დღევანდელი ტექნიკური ასოციაციების მიხედვით. მართალია, დღეს ტელევიზიით ნაჩვენები მსოფლიო ლაშქარი კალიებისა შიშის ზარს სცემს ქვეყანას, ადამიანი კიდევ ერთხელ გრძნობს თავის უმწეობას.ფანტასტიკური ტექნიკის ავტორ კაცობრიობას, გონების უძლეველობის შეგრძნებით გაამაყებულს, ცივი წყალი გადაესხმება ხოლმე. რა უმწეოა მთელი კაცობრიობა სტიქიის წინაშე. ამიტომ უნდა გვახსოვდეს ღმერთი! დიადი მხოლოდ ღმერთია! ახლა უფრო კონკრეტულად კალიას იმგვარი გააზრების შესახებ, რაც ჩვენ გვაინტერესებს. მოდით დავაკვირდეთ, რანაირი კალიაა ეს? ბუნებრივ კალიასთან აპოკალიპსის (და არა იოილის წიგნის კალია) კალიას არაფერი საერთო არა აქვს. ესაა თანამედროვე ბომბდამშენის ვარიანტი, მისი ადეკვატური

სურათი იმდენადაა მიახლოებული, რომ ეს უკვე სიმბოლოც აღარაა, უფრო ზუსტად ეს უკვე გაშიფრული სიმბოლოა:

«კვამლიდან გამოვიდნენ კალიები დედამიწაზე და მიეცა მათ ძალა, როგორც აქვთ ძალა მიწის მორიელთ.» (IX, 3)

«ჰქონდათ ჯავშანი, როგორც რკინისა, ხოლო მათი ფრთების ხმა, როგორც გრიალი მრავალი ეტლისა და ცხენისა, საომრად რომ მიიჩქარიან,» (IX, 9)

ეს ისეთივე კალიებია, როგორი ცხენებიცაა შემდეგი სიტყვები აპოკალიპსისა:

«ასეთ ჩვენებაში ვიხილე ცხენები და მხედრები, რომელთაც ჰქონდათ ცეცხლოვანი, ცისფერი და გოგირდოვანი ჯავშნები, და ცხენის თავები, როგორც ლომთა თავები და მათ პირთაგან გამოდიოდა ცეცხლი, კვამლი და გოგირდი» (X, 17)

აი ტექნიკა, ნაყოფი გონიერებისა, ხდება არსებობის გაუგუნურების წყარო! ტექნიკური ცივილიზაცია სპობს კულტურას, სულიერობას და ქვეყნის ფიზიკური არსებობის საკითხს დღეს უკვე აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. ადამიანთა პოლიტიკურ გარჯილობას ის პათოსი აქვს, რომ თუ ხელისუფალნი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, გამოიჩენენ კეთილ ნებას, ქვეყანა გადარჩება. რომ თითქოს მსოფლიო შეიძლება იმართოს კეთილგონიერებით. ეს არის ამაო ამაოებათა.

ირი წელია, რაც რუსეთის პრეზიდენტი ეხვეწება აშშ-ს პრეზიდენტს-მოდი ეს სიკვდილის მთესველი ბირთვული იარაღი შევამციროთო. არ გვინდაო ბირთვული ომი, აშშ-ს პრეზიდენტიც ამას ამბობს, მაგრამ ბირთვულ შეიარაღებას ადიდებს. ცხადია, ვერც რუსეთი განაიარაღდება. რისთვის კეთდება თოფი? იმისთვის, რომ გაისროლოს.

«ო, ადამიანებო! გვარო ბედშავო, ღირსო ცრემლისა და დაცინვისა!» (პუშკინი)

ანტიქრისტეთა სახეობანი

ძირითადი ყურადღება ანტიქრისტეს ისტორიული პირის, მეფე ანტიქრისტეს ძიებას ეთმობოდა. მაგრამ აპოკალიპსში ანტიქრისტეს მარტო ეს სახეობა როდია. ანტიქრისტე ჰქვია აგრეთვე უკანასკნელ ანტიქრისტიანულ სამეფოს, რომელიც ბატონობს მთელ დედამიწაზე. ანტიქრისტე ჰქვია ამ სამეფოს დედაქალაქს (პირობითად) ბაბილონს. ასევე იხმარება აგრეთვე კოლექტიური ანტიქრისტე, ხალხი ანტიქრისტე. აქ მთავარია ის, თუ რომელი ანტიქრისტეს დაცემის შემდეგ მოდის «საშინელი სამსჯავრო»? თუ ვთქვათ, პირველი მხეცი – ლენინი ან მისი ხატი (ლენინიზმი) არის ყველაზე მორგებული პროტოტიპი აპოკალიპსის ანტიქრისტეს, მაშინ აქამდე უნდა დამთავრებულიყო «საშინელი სამსჯავრო,» რადგან ლენინიც და ლენინიზმიც ჩაბარდა წარსულს. მაგრამ მეორე მოსვლის მრისხანე მოლოდინი გრძელდება.

მთავარი ანტიქრისტე, რომლის დაცემით მოდის განკითხვა, არის მსოფლიოზე გაბატონებული ბაბილონის სამეფო, თვით დედაქალაქ ბაბილონით. ეს არის ფორმალურად ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც პირველი მხეცისაგან განსხვავებით კი არ აგინებს ქრისტეს, პირიქით, ქრისტიანობას იჩემებს, მაგრამ ის არის ქრისტეს შენიღბული მტერი, მაცდუნებელი. თესავს რა ცრუმოძღვრებას, ლამაზი და წმინდა სიტყვების ქვეშ იგი რყვნის და ათახსირებს ყოველ სიწმინდეს. ამიტომაც არის, რომ გამრყვნელი ქალაქის, დედამიწაზე გაბატონებული ცენტრალური დედაქალაქის დაცემით იწყება ქვეყნის განკითხვა.

«Толковая Библия»-ს კომენტატორები თითქმის საუკუნის წინ ასე ვარაუდობდნენ და ასე ახასიათებდნენ მომავალ ანტიქრისტეს სამეფოს: «**მეძაობის ქვეშ უნდა გავიგოთ უზნეო ჩვეულებათა და ღვთის სიძულვილის გავრცელება, თვალთმაქცური პოლიტიკისა და რელიგიური გარყვნის**

და საზოგადოდ გარყვნილების კულტის გავრცელება: მაგრამ ასეთი სურათი გარყვნილებისა, რელიგიის საერთო დაცემისა და ღვთისმტრობის გავრცელებას შეიძლება ველოდოთ მხოლოდ უკანასკნელი ანტიქრისტიანულ სამეფოსა და მისი ქალაქისგან»

იქვე: «დიდი მეძავია, ეს არის უეჭველად მომავალი დროის ქალაქი, ანტიქრისტიანული სამეფოს ქალაქი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ბაბილონი ან რომი, კულტურათა მსგავსებით თუ ღვთის მგმობელი გარყვნილების საერთო გავლენით სხვა ხალხებზე,»

ბაბილონი აპოკალიპსის მიხედვით არის სამეფოთა უფროსი. აქ დედამიწის მეფეები ჩადიან და ნებივრობენ. ეს არის ყველაზე დიდი გაბატონებული ქალაქი დედამიწაზე და ყველაზე მდიდარი. ამიტომ მწარედ შეჰყურებენ მისადმი ღვთის რისხვას:

«იტირებენ და იგლოვებენ მას დედამიწის მეფეები, რომლებიც—მეძავეობდნენ და ნებივრობდნენ მასთან, როცა დაინახავენ მისი ხანძრის კვამლს.

მისი ტანჯვის შიშის გამო შორს მდგომარენი იტყვიან: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო ბაბილონო, ძლიერო ქალაქო, რადგან ერთ საათში მოვიდა შენი განკითხვა» (XVIII, 9-10).

«რომ დაინახეს მისი ხანძრის კვამლი, შეჰყვირეს და თქვეს: რომელი ქალაქი ჰგავსო ამ დიდ ქალაქს?»

დაიყარეს მტვერი თავზე და გაჰკიოდნენ ტირილით და მოთქმით: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, რომლის ძვირფასეულობით გამდიდრდა ყველა, ვისაც ხომალდი ჰქონდა ზღვაზე! რადგან ერთ საათში გაპარტახდა.

«გაიხარეთ მასზე, ცაო და წმინდაო, მოციქულნო და წინასწარმეტყველნო, რადგან თქვენი სამართალი მოჰკითხა მათ ღმერთმა» (XVIII, 18-20).

ბაბილონის დამხობით ხარობს ზეცა: «რადგან ჭეშმარიტი და სამართლიანია მისი განკითხვანი, რადგან მან განიკითხა დიდი მეძავი, რომელმაც წარყვნა დედამიწა

თავისი მეძავეობით, და იძია თავისი მონების სისხლი მისი ხელიდან» (XIX, 2).

ბაბილონი არის ყველაზე დიდი ანტიქრისტე, რომლის განადგურების შემდეგ ანგელოზები ზეიმობენ. ამიტომაც არსებობს ბოროტების გლობალური განადგურების საფუძველზე გამოთქმა «აპოკალიპსური სიხარული». ჭეშმარიტად მორწმუნენი მიესალმებიან მსოფლიო ბოროტების განადგურებას, ცოდვათა განწმენდის დიდ ღვთაებრივი სამართლიანობის აღდგინების უდიდეს პროცესს. «იყავ ნება შენი!» დაე მოვიდეს ნება უფლისა, განკითხვა და არა განუკითხაობა, რაც დღესა გვაქვს.

«გამოცხადების» (აპოკალიპსის) მეტისმეტი კონკრეტიკა ისტორიასთან ან ცხოვრების მიმდინარე მოვლენებთან შეფარდებით შეუძლებელია. ეს შემთხვევით არ არის სიმბოლური სახით წარმოდგენილი, ვერც ერთი თეოლოგი ვერ დაიტრაბახებს, გავხსენი, ვთქვათ, 666 (ვისი სახელია?) არის სხვა პირობითობანი. თეოლოგიაში მიღებული ჭეშმარიტებაა: «წინასწარმეტყველი წინასწამეტყველებს მხოლოდ ნაწილობრივ,» პირველ, მეორე მხეცის მოღვაწეობის ტანდემი მართლაც ძალიან ახლოს მივიდა ლენინისა და სტალინის მოღვაწეობის რეალიებთან. მაგრამ აქ რომ არ გადავამეტო, მინდა ისიც ვთქვა, რომ არის აქ ჯერ გაუხსნელი, პასუხგაუცემელი კითხვები. კერძოდ, თუ მეორე მხეცი აპოკალიპსის პირველ ნაწილში გარკვეულად გამიჯნულია პირველისაგან იმით, რომ მას აქვს ორი რქა, ჰგავს ქრისტეს, მაგრამ შემდეგ აპოკალიპსის მეორე ნაწილში ნაკლები ყურადღება ეთმობა პირველ და მეორე მხეცს. აქ ვრცლად და თითქმის კონკრეტული ნიშნებით დახასიათებულია ანტიქრისტეს უკანასკნელი სამეფო, განსაკუთრებით მისი სიმბოლური დედაქალაქი ბაბილონი. რაც შეეხება პირველ-მეორე მხეცის აქ გაელვებით გამოჩენას, ეს ხდება თითქოს გადავიწყებულთა გახსენება. აქ მათ მოღვაწეობაზე აღარაა ლაპარაკი. აქ მხოლოდ ანტიქრისტეს ჟამის დასასრულია

და ამიტომ მათი სასჯელია ნაჩვენები. აქ უკვე მეორე მხეცი აღარ ჰგავს პირველ ნაწილში მოღვაწეს, რომელზედაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ მისი ორი რქა ჰგავს ქრისტეს შვიდ რქას. შესაძლოა აქ მას აღარც აქვს ის დატვირთვა, ის უკვე საერთო ცრუწინასწარმეტყველის სიმბოლოა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი პრობლემურია.

«შეპყრობილ იქნა მხეცი და მასთან ერთად ცრუწინასწარმეტყველი, რომელიც სასწაულებს ახდენდა მის წინაშე, რომლითაც აცდუნა მხეცის ნიშნის მიმღებნი და მის ხატის მოთაყვანენი, და ორივენი ცოცხლად იყვნენ ჩაყრილნი ცეცხლის ტბაში, რომელიც გოგირდით იწვოდა» (XIX, 20).

ან: **«ხოლო ეშმაკი, რომელმაც აცდუნა ისინი, ჩაგდებულ იქნა ცეცხლსა და გოგირდის ტბაში, სადაც მხეცი და ცრუწინასწამეტყველი იმყოფებოდა, და დაიტანჯებიან დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე»** (XX,10).

აპოკალიპსის სიმბოლოები ხშირად ანტინომიურია-წინააღმდეგობრივი პრინციპით ან-ან! აქ ჯერჯერობით, მხოლოდ ნაწილობრივი მინიშნებები შეიძლება ამოვიცნოთ. სრულად კი იგი თვით იმ ჟამის ჟამს გაცხადდება.

ბაბილონი მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრია

აპოკალიფსის მიხედვით, ბაბილონის იმპერია ერთადერთი გაბატონებული «სამეფოა» მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს პოლიტიკური მმართველობა ერთპოლარულია. არავითარი წინააღმდეგობის გამწევი სახელმწიფო აქ არ ჩანს. ბაბილონს ემორჩილება ორი კატეგორიის ქვეყნები:

1. ეს არის ბაბილონის მოკავშირე ქვეყნები: **«რომელთაგანაც მეძაობდნენ დედამიწის მეფეები და მისი სიძვის ღვინით თვრებოდნენ დედამიწის მკვიდრნი»** (17,2).

2. ბაბილონს დამორჩილებული ჰყავს «ათი რქის» «სამეფოს» ხალხები, რომლებიც განკითხვის წინ:

«...შეიძულებენ მეძავს, დაარბევენ მას და გააშიშვლებენ, მის ხორცს შეჭამენ და მას ცეცხლში დაწვავენ» (17,16).

დაჟინებით აქ არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს აჯანყებული ქვეყნები მოგვაგონებს «დსთ»-ს ქვეყნებს, როგორც «მეფენი ერთი საათით», და მათთან ერთად — «იზგოის» ანტიბაბილონური ქვეყნებიც.

«ათი რქის ქვეყნები», ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც ჯერ არ დაუმკვიდრებით თავიანთი სამეფოები, მაგრამ მიიღებენ მხეცთან ერთად როგორც დროებით სამეფოებს. «ათი რქის» ქვეყნები პირველი მხეცის (ჩვენი კონცეფციით ლენინის) ყოფილი ქვეყნებია.

«...ეს წყლები (ხალხები — ვ. გ.), **რომლებიც შენ იხილე, სადაც მეძავი ზის, არის ხალხები და ბრბოლები, და ერები და ენები»** (17,15).

ბაბილონი მსოფლიოს ფინანსური და სავაჭრო ცენტრია

ბაბილონის დაცემით აპოკალიფსში («გამოცხადებაში») ნაჩვენებია, თუ როგორ იღუპება დიადი სიმდიდრე, ღმერთი ვაჭრებისა. ეს ტირილი, გოდება ვაჭრებისა საოცარი ასოციაციით გაჟღერდა 2001 წლის 11 სექტემბერს, როცა ცეცხლში გაეხვია ნიუ-იორკის ცათამბჯენები, მსოფლიოს ფინანსური ბურჯი. ღმერთმა ნუ ჰქნას — განმეორდეს ეს აპოკალიფსური ქარაგმა. იგი კარგს არაფერს უქადის მთელს მსოფლიოს. ცათამბჯენები რომ აღიზიანებს მაღალ ღმერთს, ამის შესახებ მანამდე გაზეთ «ზარია ვოსტოკაში» დავსტამბე სტატია «ბაბილონის გოდოლი და ამერიკული «პრო» (2001 წლის 13-16,I 2001 სტატია ჩართულია ჩემს წიგნში «Глас из Грузии» В. Г. 2001 წლის მარტი).

სიტყვა «ბაბილონი» აპოკალიფსში ხშირად იცვლება სიტყვა «მეძავით».

«დედამიწის ვაჭრები იტირებენ და იგლოვებენ მას, ვინაიდან აღარავინ იყიდის მათ საქონელს (...ოქროსა და ვერცხლის საქონელს, პატიოსან თვლებსა და მარგალიტებს» (18,11.12).

ცეცხლმოდებული ბაბილონის ხილვისას ვაჭრების ტირილი ქვას აატირებს, ისეთი სიცხადითაა იგი აღწერილი აპოკალიფსში:

«ყოველივე ამით მოვაჭრენი, რომლებიც მისგან გამდიდრდნენ, შორს დადგებიან მისი ტანჯვის შიშით, იტირებენ და იგლოვებენ.

იტყვიან: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბისონით, პორფირით, ძოწეულით შემოსილო, ოქროთი, პატიოსანი თვლებითა და მარგალიტით შემკულო.

...რადგან ერთ საათში დაიღუპა ესოდენ დიდი სიმდიდრე... რომ დაინახეს მისი ხანძრის კვამლი, შეჰყვირეს და თქვეს: რომელი ქალაქი ჰგავსო ამ დიდ ქალაქს?» (18,15-18).

ვაჭრებისთვის არ არსებობს უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე ფულისა და მატერიალური განძეულობის დაკარგვა. მათთვის ნივთია უწმიდესი, უნეტარესი, სულზე უტკბესი, უდიადესი. მკითხველო, ლამის თქვენც ატირდებით აპოკალიფსიდან თუ ამ ადგილს გავიხსენებთ:

«დაიყარეს მტვერი თავზე და გაჰკიოდნენ ტირილით და მოთქმით: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, რომლის ძვირფასეულობებით გამდიდრდა ყველა, ვისაც ხომალდი ჰქონდა ზღვაზე! რადგან ერთ საათში გაპარტახდა.

გაიხარეთ მასზე, ცაო და წმიდანო, მოციქულნო და წინასწარმეტყველნო, რადგან თქვენი სამართალი მოჰკითხა მათ ღმერთმა!» (18,18-20).

ის, რომ მამონა (სიმდიდრისა და ფულის ღმერთი) განწირულია სულთან ბრძოლაში, ამას არაერთგზის გვიჩვენებს მსოფლიო

ისტორია. ეს ლოგიკური გარდაუვალობაა. მაგრამ ყველაზე სასტიკ განაჩენს მამონა მეორედ მოსვლის ჟამს მიიღებს. გოგირდის ცეცხლოვან ტბაში ბანაობა სულ არ ჰგავს თბილისის გოგირდის აბანოებში ბანაობას. პუშკინი რომ აღფრთოვანებით იგონებდა.

ბაბილონი მსოფლიოს იდეოლოგიური ცენტრია

ბაბილონში ელიტარული დიდებულება არ გახლავთ არისტოკრატია ან ფეოდალური ყაიდის ტირანი მეცენატები, რომლებმაც კულტურის ყადრი იცოდნენ. ბაბილონის დიდკაცობა ვაჭრებია. აქ ყველაფერი ვაჭრუკანული სულისკვეთებისაა. მილიარდელები წარმართავენ იდეოლოგიას. ფულის მეშვეობით, ჯადოქრობით ატყუებენ, რყვნიან ხალხებს:

«... შენი ვაჭრები იყვნენ დედამიწის დიდებულები და შენი გრძნეულება აცდუნებდა ხალხს» (18,23).

ყველაზე დიდ ფულს ვაჭრები სდებენ სიტყვის დასაპურობად. რომ სიტყვა ემსახუროს არა ღმერთს, არამედ ეშმაკს, რათა აცდუნებდეს, აბრიყვებდეს ხალხებს:

«თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან...» (იოანე,1,1)

პირველად კაცობრიობის ისტორიაში სიტყვა, ანტიქრისტეს ეპოქაში, არ არის ღმერთთან. იგი მიიტაცა სატანამ. აპოკალიფსური ვარიაციებიდან ყველაზე ცუდ ვარიანტს უნდა ველოდოთ.

გარდუვალი აუცილებლობის გამო ევროპა და რუსეთი მალე აიჩეჩავენ მხრებს და დაიწყებენ ბოდიშების თავიანთი პრინციპების წინაშე — იმის გამო, რომ უნდა აღადგინონ სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯის კანონის ამოქმედება, ცხადია, ვერ აღმოფხვრის მკვლელობას, ტერორიზმს, დივერსიებს, მაგრამ უდაოა, რომ იგი აუცილებელია დიდ მასშტაბური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად.

ღვთაებრივ განკითხვა-განსამართლებას სხვა სახელი არ ჰქვია, თუ არა «საშინელი სამსჯავრო». იგი სხვა არა არის

რა, თუ არა კაცობრიობის დიდი ნაწილის სიკვდილით დასჯა იმ უზნეობისა და გათახსირების გამო, რასაც კაცობრიობა სჩადის ღმერთის წინაშე. ქრისტეს «მეორედ მოსვლის» განაჩენი სიკვდილით დასჯა არ არის? ქრისტე გულმოწყალეა უმწეოთა და სუსტების მიმართ, მაგრამ სასტიკია თავხედთა მიმართ. სიკვდილით დასჯა თვით ღმერთის მიერაა დაკანონებული. რაღაც სფინქსურ-გამოუცნობ ღიმილს იწვევს სიკვილით დასჯის ის ფორმა, ქრისტე ღმერთმა რომ შემოგვთავაზა:

«...ვინც ერთს ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ» (მათე, 18,6).

აი, ასეთ შეფასებას აძლევს ქრისტე ღმერთი ე. წ. თავისუფლების (მეძაობის) ინსტიტუტის მოღვაწეობას. რაც შეეხება განაჩენის სისრულეში მოყვანის პროექტს — რომ «წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ»-ო, მე მგონი სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილით დასჯა.

«ვაი წუთისოფელს ცდუნებებისაგან, ვინაიდან ცდუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება» (მათე, 18,7).

ქრისტე ღმერთი კი არ იწონებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ მის მიერ ეს არმოსაწონი ნაბიჯი ქრისტეს მიხეედვით აუცილებელია.

ქრისტეს ღიმილი

იესო არც იცინოდა, არც ტიროდა (კინაღამ ცრემლი შენიშნეს ლაზარეს გარდაცვალების გამო). სახარებიდან მისი ღიმილიც ვერ დავიჭირეთ. იესო ყოველთვის მშვიდია და ასხივებდა ზეადამიანურ, ჭეშმარიტად ღვთაებრივ სიმშვიდეს. მაგრამ მის მოძღვრებაში არც თუ იშვიათია ორაზროვანი, ღვთაებრივი გონებამახვილობანი, რომლებიც იწვევენ ამაღლებულ მშვიდ ღიმილს. ხანდახან არის მასთან ირონია ადამია-

ნურ სისუსტეებზე, მაგრამ სიძულვილის გარეშე. რაიმე მწარე სარკაზმებზე არ არის ლაპარაკი.

მთლად ვერ გავიზიარებ «Толковая Библия»-ს კომენტატორების კომენტარს. კერძოდ:

«ზოგიერთები თვლიან, რომ ქრისტეს სიტყვები «თქვენ ისევ გძინავთ და ისვენებთ» არისო ირონია, გაკიცხვა და სარკაზმი. ამას ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ გამორიცხულია, მაცხოვარს თავისი ტანჯვისა და მწუხარე-საზეიმო წუთებში გამოეხატა ირონია ან სარკაზმი» (Т. Б. к. 45).

რათქმაუნდა, ქრისტესთან ჩვენ გვაქვს ადამიანური ვნებების გამოხატვის სხვაგვარი სურათი. მასთან მხოლოდ ამაღლებული, მშვიდი, რამდენადმე შესამჩნევი ნაღვლიანი ირონია ჩანს თვით ყველაზე მძიმე სიტუაციაში. როგორი საშეა, ღმერთკაცი შეიპყრეს, მის მოწაფეებს ზოგს ეძინება, ზოგი მამლის ყივილამდე სამგზის იუარებს, რომ მისი, იესოს, მოწაფეა. ამიტომ მასთან გამოსჭვივის ირონია თვით მიწიერი ადამიანური სისუსტეებისადმი. ხოლო საკუთარი ტანჯვა მისთვის საგანია ირონიისა — ის ხომ ყველა მიწიერ წადილთა დამთმობია.

ქრისტესთან გვაქვს ბუნების მოვლენათა ულამაზესი შედარებები, რომელიც მშვიდ ღიმილს, სიყვარულით სავსე ღიმილს იწვევს.

«შეხედეთ ცის ფრინველებს: ისინი არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებში აგროვებენ...» (მათე 6,26).

ასეთი უარყოფის გზით მოწოდებული შედარება ფსიქოლოგიურად აუცილებლად გადატრიალდება წარმოდგენაში. გინდა თუ არ გინდა წარმოიდგენ საწინააღმდეგოს: ფრინველს, რომ თესავდეს, მკის პროცესში ან ადამიანის მაგვარი შრომით, ბეღელში რომ მოსავალს ინახავდეს...

«სამოსელზე რაღას ზრუნავთ? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან; არც შრომობენ, არც ართავენ.

მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელს თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი მათგანი» (მათე, 6,28-29).

მთელი ამ პროცესის აღქმა, შედარება, როგორ იცვამდა სოლომონ ბრძენი და როგორ იცვამენ შროშანები, ცხადია, უნაზეს ღიმილს აღძრავს მკითხველში. აქ, ცხადია, სიცილ-ხარხარზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. საუბარია ღვთაებრივი ღიმილის უმშვენიერეს წყაროზე. ამიტომაცაა იუმორის დახვეწილობა, არისტოკრატიულობა სწორედ ამ თავშეკავებულ ღიმილს გულისხმობს; უფრო შინაგან ღიმილს, ვიდრე სახის ნაკვთების ხშირ-ხშირად კეცვას.

და მაინც «როდის მოხდება ეს...?»

ადამიანი იწვის სურვილით — ერთდროულად იცოდეს და არც იცოდეს, როდის აღევლინება მისი სული ზესთასოფელში. მადლობა ღმერთს, რომ ღმერთმა ეს საიდუმლო მას არ უბოძა. ასევე დიდია თვით კაცობრიობის ინტერესი, როდის დამთავრდება ეს კაცობრიობა. თუ სახარება გვეუბნება, რომ **«იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის. არც ზეციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ»** (მათე, 24,36). მაშინ რატომღა ვსვამთ საკითხს, როდის, მოვა ჟამი განკითხვასა? მაშინ ხომ ეს მკრეხელობაა? არა, ამ კითხვის უფლება ყველას აქვს, მათ შორის პირველად ეს კითხვა ამგვარად ზეთისხილის მთაზე მჯდომ იესოს მისცეს მოწაფეებმა:

«გვითხარი, როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის ნიშანი?» (24,3).

იესოს მოწაფეთა ამ ძლიერ ცნობისწადილზე ხელი არ აუკრავს და ნაწილობრივ უპასუხა კიდეც. ცხადია, დროის ციფრობრივ სიზუსტეზე არაა საუბარი, მაგრამ მან დაასახელა მოსვლის წინარე ნიშნები, რაც ნიშნავს, — მე მოვალ «მაშინ», როცა იქნება ასეთი მოვლენებიო. ეს ნაწილობრივი პასუხიცაა, რომელიც კიდეც უნდა ვიცოდეთ. რათა ვიფხიზლოთ. მეორედ მოსვლის, განკითხვის, დასჯის შიში უნდა ჰქონდეს მორწმუნეს.

«ამიტომ ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი» (24,42).

საკითხი ეხება გაჩენის აღსრულებას, თორემ როდის და როგორ კაცობრიობას უახლოვდება უფალი, ამის ნიშნებს საკმაოდ მიახლოებით გვეუბნება. როცა წარხდება კაცობრიობა, მაშინ მოჰკითხავს უფალი პასუხს.

აქ თავს იჩენს ერთი ურთულესი პრობლემა: მართალია, მაცხოვარი ჩამოთვლის ნიშნებს, მეორედ მოსვლის წინ. მაგრამ ამ ნიშნებს ოცი საუკუნის მანძილზე, პერიოდულად ხშირად ჩაუგდია ქვეყანა პანიკაში. ახლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნიშნებს კვლავაც გადალახავს კაცობრიობა და დღეს მსოფლიოში გავრცელებული შფოთი, ალბათ, ჩაცხრებაო. მაგრამ თუ დღევანდელ მსოფლიოზე, როგორც ბევრი მიიჩნევს, ბატონობს ანტიქრისტე, მაშინ, აპოკალიფსის მიხედვით, 1260 დღის შემდეგ უნდა მოვიდეს რისხვა უფლისა. ვთქვათ, ანტიქრისტეს ბატონობის შუაპერიოდში ვართ და გასულია 1260 დღის ნახევარი, 630 დღე. მაშინ დარჩენილი 630 დღის შემდეგ უნდა ველოდოთ «საშინელ საშსჯავროს»? ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. საზოგადოდ «გამოცხადება» (აპოკალიფსი) არის საღმრთო, სულიერი სცენარი, მაგრამ არა მეტისმეტი ნატურალურ-ციფრობრივი კონკრეტიკით. მასში მოვლენები და პროცესებია განჭვრეტილი და არა დეტალები. თუმცა ნათქვამია: «ეშმაკი დეტალებში ზისო». მაგრამ ჩვენ ეშმაკი არ გვაინტერესებს. ეშმაკი დალახვროს ღმერთმა! რაც შეეხება ციფრთა მიერ დროის განზომილებას, როგორც არაერთგზის შევეხეთ, იგი ბიბლიური პირობითობისაა. ისე, დაახლოებით, როგორც ფსალმუნშია: «...ათასი წელი შენ თვალში, ვითარცა გუშინდელი დღე» (89,5). ე. ი. ღმერთის ერთი დღე კაცობრიობის ათასწლეულს უდრისო. ამის გადამმოწმებლად ჩვენ ვერ გამოვდგებით. მაგრამ აქ ისაა ნათქვამი, რომ ღვთაებრივი და ადამიანური დრომზომი, ბიბლიურად განსხვავდებიან.

ამიტომაც ჩვენ სქემატურად არ ვიზღუდებით. ჩვენი თვალსაზრისით, XX საუკუნის დასაწყისიდან იწყება აპოკალიპტური ეპოქა. ანტიქრისტე-პიროვნების გამოჩენა მთელი პროცესებით. მოვლენების თვისობრიობით. ანტიქრისტე-ბაბილონი კი

წინაა. შეიძლება იგი დიდხანს გაგრძელდეს. ყოველ შემთხვევაში სექტანტების მკრეხელობა — მეორედ მოსვლა შედგება ამა და ამ დღესო — ანტიღვთაებრივია. მაგრამ არასოდეს კაცობრიობას არ ჰქონია ისეთი მკვეთრი ნიშნები, რაც დღესა აქვს. კაცობრიობის ისტორია ბრძოლის, უბედურებების ისტორიაა, სიკეთე და ბოროტება რომ ებრძოდნენ ერთმანეთს. არასოდეს სიკეთე ასე დაბეჩავებული, დათრგუნული არ ყოფილა. ქრისტიანულმა ზნეობრივმა ღირებულებებმა თითქოს მოქმედება შეწყვიტა. მისი ადგილი ფულადმა ღირებულებებმა დაიპყრო და ზნეობა თითქმის დაანრჩო. აი ამ უკიდურესობას მოჰყვება საწინააღმდეგო უკიდურესობა. ეს გარდუვალი წესია, რომელიც მარტო ცაში არ წერია. ბუნების აუცილებლობაცაა. გარდა ამისა, კაცობრიობა პირველად იმყოფება თავისი გონებრივი ნაღვაწის პოტენციური მსხვერპლის მდგომარეობაში. კაცობრიობას არასოდეს შეეძლო მოესპო კაცობრიობა. დღეს კი საამისო თეორიული საშუალება მას უხვად მოეპოვება. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცს კაცისგან განაწირსა. ეს რწმენით, ხვეწნით, ვედრებით. დედამიწაზე ბავშვები დადიან, ბავშვები თუ უშველის ამ ცოდვილ ქვეყანას. ღმერთო, შეიწყალე მთელი ქვეყნის ბავშვები!

უკანასკნელი ჟამის წინ გაბრწყინდება

რუსი წმიდანები წინასწარმეტყველებდნენ მართლმადიდელობის მომავალ გაბრწყინებაზე. მაგრამ არაუბრალოდ! ისინი წინასწარმეტყველებდნენ ჯერ რუსეთის დიდ განსაცდელზე — ტანჯვა, წამება, ომები, სისხლი, შიმშილი, — როგორც განსაცდელი განსაწმენდელი. ისინი რუსეთის მომავალს შეჰყურებდნენ როგორც მესიანურ მისიას არა იმპერიულად, არამედ რელიგიურად. რუსეთი უნდა გახდესო მსოფლიო ეკლესიის საყრდენი. მსოფლიოს მორალური გაჯანსაღების გზით.

როდესაც მსოფლიო რუკას დაჰყურებ, წარმოიდგენ მის მიწა-წყალს, წარმოიდგენ მიმდინარე და მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფებს, ამ ფონზე რუსეთი მოსჩანს, როგორც მაცოცხლებელი წყარო და იმედი ამ ქვეყენაზე. როდესაც

იწვის ტყეები ავსტრალიასა თუ კალიფორნიაში, ეს უკვე ჩვენ გვეწვის როგორც ტკივილი საერთო ქვეყნის. ჩვენ ხომ ერთ ჟანგბადს ვსუნთქავთ... მაგრამ რუსეთის მხსნელ მისიას მის მართლმადიდებლური სულის ზეაღვლენაში ხედავენ — სიკეთე ყველა ხალხებისადმი. როგორც დოსტოევსკი ამბობდა — რუსეთს არა აქვსო ნაციონალური ეგოიზმი. რუსეთში სახელმწიფო რელიგიებად დაკანონებულია (1999 წლიდან): **მართლმადიდებლობა, ისლამი, იუდაიზმი, ბუდიზმი.** მსოფლიოში არსად იმ დონეზე არ თანამშრომლობენ, თანამოაზრეობენ მსოფლიოს ეს წამყვანი კონფესიები, როგორც რუსეთში. რუსეთის აღორძინება მარტო რუსეთისთვის კი არა მსოფლიოსათვისაა აუცილებელი, რომ არაფერი ვთქვათ, მის ისეთ ნათესავ-მეზობელ ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა.

ბიბლიური ორი უდაბნო

უდაბნოს ცნება ქრისტეს პირველი და მეორედ მოსვლის ჟამს სრულიად სხვადასხვანაირია. იოანე ნათლისმცემლისა და ქრისტეს დროინდელი უდაბნო იყო ბუნებრივ-ისტორიულად არსებული უდაბნო... აპოკალიფსურ უდაბნოს კი არაფერი აქვს საერთო ბუნებასთან. ეს არის მორალურად გაუდაბურებული საზოგადოებრივი გარემოცვა. ჭეშმარიტი ქრისტიანების, ჭეშმარიტი ეკლესიის ირგვლივ აღარ არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი.

«... **რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული**» (მათე, 24,12).

ირგვლივ აღარ არს სიყვარული, თანაგრძნობა, თანატანჯვა — როგორც უდაბნოში. ხელს ვერვინ გამოგიწვდის გადასარჩენად, დასახმარებლად. **მრავალნი შიმშილით იხოცებიან მდიდარი ახლობლის თვალწინ.** ანტიქრისტეს ჟამს ადამიანი ვეღარ არის მორალურ-საზოგადოებრივი სუბიექტი. როგორც ამბობენ, ადამიანები ხდებიან მხოლოდ ადამიანის მსგავსი არსებები. სადღა არს სული! თვით ეკლესიას, მორწმუნეთაც უჩნდებათ თავისი მძიმე პრობლემები.

თუმცა კიდევ არიან მეუდაბნოენი პირველქრისტიანობის დარად, არიან ბერნი და მონაზონნი მონასტრებში, მაგრამ...

«...მოვა დრო, ჩემო საყვარელო შვილებო, როდესაც მონაზვნები მიატოვებენ უდაბნოს, დაიძვრებიან ისინი მდიდარ ქალაქებში, სადაც უდაბნო-გამოქვაბულების ვიწრო სენაკების ნაცვლად აღმართავენ ამაყ შენობებს, მეფეთ სასახლეებს რომ გაუწევენ მეტოქეობას. სიღატაკის ნაცვლად გაიზრდება სიყვარული სიმდიდრის მომხვეჭელობისა, ღვთისმოსავობა შეიცვლება ამპარტავნობით... გაცივდება სიყვარული, მოთმინება-თავშეკავება შეიცვლება მუცელ-ხარბობით, ბევრი მათგანი აჰყვება ფუფუნებით გემოთ მოყვარეობას არანაკლებ ერისკაცებისა, რომელთაგან მონაზონნი არაფრით აღარ განირჩევიან გარდა სამოსელისა და თავსაბურავისა, და მიუხედავად იმისა, რომ ისინი იცხოვრებენ ამა ქვეყნად, საზოგადოებაში, თავს მიიჩნევენ განმარტოებულებად. (მონაზონი ხომ განმარტოებულს ნიშნავს» (Святой Антоний Великий (IV в.). «Россия перед Вторым Пришествием». М., 1993 г. ст. 349)

ანტიქრისტეს ეპოქაში ჭეშმარიტი ეკლესია არის დევნილი, იმალება უდაბნოში. აქ, რა თქმა უნდა, ფიზიკურ უდაბნოზე არ არის ლაპარაკი. საკითხი გულისხმობს, რომ ეკლესია იზოლირებულია ეკლესიური, ქრისტიანული წესის სულისკვეთების საზოგადოებისაგან. გარემომცველი საზოგადოება ცხოვრობს ფულის სულით, ფულის შოვნის სულისკვეთებით, არავითარი მაღალქრისტიანული მორალი მოქმედებაში არაა. ცხოვრება მიდის ანტიქრისტიანული, ანტიეროვნული გზით, გაფურჩქვნილია გარყვნილება, ხოლო ეკლესიის წმიდა ქადაგებანი რჩება ეკლესიის კედლებში. წირვა-ლოცვა საზოგადოებისათვის არის რიტუალი. რაც შეეხება ფიზიკურ მეუდაბნოებსა და უდაბნოებს, აქ კიდევ ერთი საგულისხმო გარემოებაცაა. უდაბნოებში განმარტოების საშუალებაც აღარ არის, უდაბნოებიც დაკავებულია ატომური ელექტროსადგურებით,

ქიმიური ქარხნებით, რომ არაფერი ვთქვათ წუთისოფელთან სატელევიზიო თუ სატელეფონო კავშირზე. ექვსმილიარდიანი მოსახლეობით დედამიწა მთვრალივით ბარბაცებს. მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ აპოკალიფსური უდაბნო ნიშნავს მორალურ უდაბნოს, მორალურ გაუდაბურებას — კაცი კაცს არ ჰგავს, ქალი — ქალს — ვერავინ ვერვის ექომაგება გასაჭირის ჟამს. წესიერნი მოწამენი და მორწმუნენი განმარტოებით, დაქსაქსულნი, ცალ-ცალკე ეხვეწებიან ღმერთს — გვიშველე დაგვიცავი, გაერთიანებული ეშმაკეული ძალისაგანო. ეკლესია კი, როგორც ზეცის წარმომადგენელი, როგორღაც ცოცხლობს ამ ქვეყანაზე. **«იგი ცოცხლობს როგორღაც უდაბნოში» «Она живет как бы в пустыне»** (Т. Б. Коммент. ст. 12,6)

ორი ეკლესია

წმიდა წერილი განასხვავებს ორ ეკლესიას: ზეციურ და მიწიერ ეკლესიას. ცაში რანაირად იქნება ეკლესია-ტაძარი, ამის შესახებ შემდგომ. მაგრამ არის კიდევ სხვაგვარი ორნაირობა ეკლესიისა აპოკალიფსში: კერძოდ, ეს არის ჭეშმარიტი და ყალბი ეკლესია. ყალბი ეკლესია, ცხადია, შენიღბული მტერია, ანტიეკლესიაა ეშმაკის იარაღია და უარესი ბოროტებაა ვიდრე ღია მტერი, ვიდრე ბოლშევიკური ათეიზმი. ეს ცრუ-ქრისტიანობა ქრისტესმიერი სახელწოდებებით მოდის და არა პირიქით. მისი დიდი ხნის გეგმა განხორციელდა. გარეგანი მტრობით, ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტით ქრისტიანობა კიდევ უფრო გამოიწრთო. მაგრამ გარყვნა-ღალატი კი სენი არის უკურნებელი. ის ფაქტიურად ამარცხებს ჭეშმარიტ ქრისტიანობას. ჭეშმარიტი ქრისტიანი დევნილია. ანტიქრისტეს ჟამს ქრისტიანულად აღარ ცხოვრობს ერი და... სატანისტებმა შეაღწიეს წმიდა ტაძრებშიც. ფულით გამოხრეს სიწმიდის. გული. დამშეულ მრევლს პური ელანდება და არა ღმერთი.

დღეს მართლმადიდებელ ეკლესიას დაცვა სჭირდება და არა კრიტიკა. მორწმუნე კაცს ღვთისმსახურის კრიტიკის უფლება არა აქვს. თუ ვიღაც მღვდელმა რაღაც შესცოდა, იმას არ ნიშნავს, ტაძარს ვესროლოთ ქვები. მათ ცოდვას უფალი განიკითხავს. ოფიციალური მღვდელმთავრობა ღვთისგან არს. იგი უნდა გვწამდეს.

მეძავის («თავისუფლების») ინსტიტუტი

ბაბილონი, როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, არის უკანასკნელი იმპერიის, ანტიქრისტეს «სამეფოს» ცენტრი. ეს «სამეფო» ფორმალურად ქრისტიანული ქვეყანაა, რომელიც რეალურად სპობს მართლმადიდებლობას და სხვა კლასიკურ, ისტორიულ მსოფლიო რელიგიებს, ყველა იმ რელიგიას, რომელიც წესიერებას ქადაგებს. ხოლო ბაბილონი ავითარებს და ამკვიდრებს უწესობასა და გარყვნილებას. მას მხოლოდ ერთადერთი წესი აწუხებს. ძალაუფლების შენარჩუნება, მდიდართა ქონების დაცვა. ფსევდოქრიტიანობა ბაბილონის ხელით ანადგურებს ჭეშმარიტ ქრისტიანობას. აბა მოვუსმინოთ მრისხანე ანგელოზს, რას იუწყება იგი:

«დიდი ბაბილონი გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფრად, და ყოველი არაწმიდა და ბილწი ფრინველის თავშესაფრად.

ვინაიდან მისი გარყვნილების მძვინვარე ღვინისაგან სხვა ყველა ერმა. დედამიწის მეფეები მეძაობდნენ მასთან და დედამიწის ვაჭრები მისი ფუფუნების ძალისაგან გამდიდრდნენ» (18,2-3).

როგორც ჩანს, დიდი უწესობის დამკვიდრებასაც თავისი «წესი» აქვს. ბაბილონი მსოფლიოს ხალხების დამორჩილება-გარყვნაზე დიდ ფულს ხარჯავს. ამას ის სპეციალური ინსტიტუტებით ახდენს, რომლებიც დაიქირავებენ ყველას, ვისი გადაბირებაც შეიძლება. მთავარია ერი მოსწყვიტოს თავის

ფესვებს, სიმყარის საფუძველი მოურყიოს. უზნეო და გარყვნილ ადამიანს, ცხადია, სამშობლოს გაყიდვის სევდა-ყოყმანი არ გააჩნია. ეს მათთვის სასიამოვნო «ბიზნესია». დაუსვით კითხვა თავისუფლების ინსტიტუტს — რა სახის გარყვნილებას ეწინააღმდეგება? გარყვნილების თითქმის ყველა პათოლოგიურ სიმახინჯეს მხარს უჭერს იგი «ცივილურის» კეკლუცობით. ეს პირუტყვული თავისუფლების ცივილური ფორმა კარგა ხანია ჭკვიანმა ევროპელებმა (თომას მანი და სხვ.) «ცხოველური ესთეტიზმი», «ცივილეზებული ველურობა» და სხვა ეპითეტებით შემოსეს. თავისუფლების ინსტიტუტი საქართველოს ისტორიაში გაცილებით ცუდად შევა, ვიდრე ის ბოლშევიკები, ტაძარს რომ ჯვარი მოსტეხეს. იმის შესახებ შეიძლებოდა ეთქვა მღვდელს — შეუნდე, უფალო, რამეთუ არა უწყიანო. მაგრამ სატანის ამ მსახურთა შესახებ ჭეშმარიტი მღვდელი იტყვის — განვედ სატანა! თავისუფლების ინსტიტუტი სატანური ცინიზმის განსახიერებაა. იცავენ სექტებს, რომლებიც სპობენ მართლმადიდებლობას, ეროვნულობას, იცავენ და ექომაგებიან ნებისმიერ გადამთიელს, ქართველთა მაოხრებლებს. ღმერთმა ჭკუა-გონებაზე მოიყვანოს — ეს ქრისტეს ფეხის მკვნეტელები. ეს ქრისტე ღმერთს შეუძლია — მეორედ მოსვლის ჟამს, მაგრამ იქნება მანამდეც უმკურნალოს ამ საკუთარი დედის საკუთარი პირით ავტომაგინებლებს. **თუ ქრისტე ღმერთი ადამიანს სულიერობაში ათავისუფლებს, ანტიქრისტეს მრევლი ადამიანს ათავისუფლებს პირუტყვულ თავისუფლებაში.** თუმცა, ჰეგელის თქმით, პირუტყვი თავის ეთიკას არ არღვევს უზნეობას არ ჩადის. უზნეოა ის, ვინც იცის, — რა არ შეიძლება, რა არ ეკადრება ადამიანს — ადამიდან და ევადან მოყოლებული და მაინც სჩადის ამ უგვანობას. ეს ინსტიტუტი «საშინელი სამსჯავროს» პირველივე ტურში მიიღებს ანტიქრისტეს დიპლომს.

ვინ დაანგრია საქართველო? აი, ამ იდეოლოგიის წარმომადგენლებმა და მისმა სახელისუფლო შემსრულებლებმა. აი, ამათ დაამშიეს, ამათ დაანგრიეს აყვავებული საქართველო,

დააბნელეს და გახრწნეს ყოველივე. პროფესორი ნაგავში ეძებს პურის ნამცეცებს «კონცლაგერებშიც» არ იყო ასე. ბევრი მათგანი, დამონებული, თავის დამმონებლებს ტუფლებზე ჰკოცნის. მონა მონათმფლობელზე უარესია. საქართველოს ისტორიას ახსოვს ჯალალედინი თუ თემურ-ლენგი, სისხლის ღვარი რომ სდიოდა საქართველოს, მაგრამ კაცობა, ზნეობა მაინც არ მოშლილა. დღეს თუ ასე გაგრძელდა და ღმერთს სულ დავავიწყდით, მაშინ გაქრება ჩვენი ერი თავლაფდასხმული, რჯულდაკარგული.

«მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოელოს, მაშინ ვინღამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყო»

(ბარათაშვილი)

მაგრამ მწამს, არც ბოროტებაა უსასრულო. მოვიდა ჟამი ავის და კარგის გარჩევისა! განკითხვაც მანამ დაიწყება, ვიდრე ახ ის განაჩენი აღსრულდება ქრისტეს მოსვლისა.

ღვინო სიკეთისა, ღვინო — სიძვისა

საკვირველია ღვინის ორმაგბუნებოვნება. ღვინო არის ყველაზე წმინდა სასმელი, ვით წმიდა სისხლი მაცხოვრისა, ვით საიდუმლო ზიარების წმიდა ელემენტი. «სუთ ღვინო» დალიეთ ღვინო — მაგრამ დათრობა იმას ნიშნავს, გონება ეშმაკს ჩააბარო. დათრობა ნიშნავს გონიერების გზიდან გადადგომას, უგნურება — უზნეობასა:

«...მისი გარყვნილების მძვინვარე ღვინისაგან სვა ყველა ერმა» (18,2)

სატანამ კარგად იცის ქართული მამა-პაპათა წესის საიდუმლო. ვაზის ამოძირკვის ცდით იწყებდნენ ქართველთა ამოძირკვის მოსურნენი. თვით ისეთი მძვინვარე მაოხრებელი საქართველოსი, როგორიც შაჰ-აბასი იყო, ვაზს ისე ებრძოდა, როგორც ქართველ მეომრებს. ვერ აისრულა წადილი. ხალხიც მოშენდა, ვაზიც მოშენდა, ერი არ გადაშენდა. დაუნდობელი

შაჰი საქართველოს მტერი იყო, მაგრამ არა ისეთი და იმდენად ულირსი, დღეს რომ ჩვენი უხილავი, შემოპარული მტერია, რომელსაც არანაირი ვაჟკაცური მინარევი არ გააჩნია. ქართული ტრადიციები — ქელეხი, ორმოცი, წლისთავი, ქორწილი, ნათლობა... ეს საერო ეკლესიაა, ეკლესიურად დაწმენდილი ხალხური წესია, მადულებელი გვარ-ჯილაგისა. რა თქმა უნდა, ურჯულოებს ნერვებს უშლის სუფრის წესი და ზრდილობა. ნერვებს უშლის, რომ ქართველები ღვინით გულგამთბარნი სიყვარულსა და ძმობას ეფიცებიან ერთმანეთს. ნერვებს უშლის ის პოეტურობა და ერთობის სიმკვრივე, რაიც შემორჩა ჩვენს ხალხს. მათ უხარიათ თუ გამტყვრალნი მემთვრალენი უმსგავსობას ჩადიან. ჩვენი ცუდი ახარებს მტერს და არა ღვინით დალოცვილი წესი ქართული ტრადიციებისა, კულტურის უბრწყინვალესი ფენომენისა, რომლის ფასს, ცხადია, ვერც გაიგებენ უკულტურო ცივილიზაციის, ცივილიზებული ველურობის წარმომადგენლები. «ცივილიზაცია სპობს კულტურას» (შპენგლერი). დეე დაილოცოს ქრისტეს მიერ ნაკურთხი ღვინო — ჩვენს ხალხს რომ ყველა ხალხისადმი სიკეთით განაწყობს. მაგრამ ხდება დიდი ბოროტება. ქართული ღვინის ფალსიფიცირება, ანუ გაცივილურება. ეს დიდ საფრთხეს უქმნის არა მარტო მის პრესტიჟს, საფრთხეს უქმნის ერის საკრალურ წყაროს. მაგრამ მაცხოვარო, «შენ ხარ ვენახი...» მარად აყვავებული. დიდება ვენახის ქვეყნის შვილებს. «ვაზო, შვილივით ნაზარდო», არ მიატოვო ფუძე შენი.

ტელევიზია (მასმედია), ეკლესია, აპოკალიფსი

აპოკალიფსში კარგად დალანდავთ თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის იმ საგნებსა და მოვლენებს, რაიც მაშინ ბუნებაში არ არსებობდა. ის მხოლოდ ხილვის საგნები იყვნენ. აქ განჭვრეტთ, გაიგონებთ თანამედროვე ბომბდამშენების ბრუხუნს, ვერტმფრენებს, ბირთვული იარაღის მოქმედების სურათებს.

ტელესასწაულებზე სიმბოლოებს აქ ნაკლებად ვხედებით. მაგრამ ახლანდელი ტელესასწაულებით შეიძლება აპოკალიფსური სიმბოლოს გაშიფვრა. ჩვენ აპოკალიფსის წინასწარმეტყველებით ვკითხულობთ არსებულ სინამდვილეს, და ახლანდელი სინამდვილით ვკითხულობთ აპოკალიფსურ სიმბოლოებს. «გამოცხადებაში» და მათეს სახარებაშიც ვკითხულობთ, რომ უკანასკნელი ჟამის წინ სამყაროს ეუწყება სახარება. იგი იქადაგება მთელი მსოფლიოსათვის:

«ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ზეცის შუა დაფრინავდა. მას ჰქონდა მარადიული სახარება, დედამიწის მკვიდრთათვის ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად» (14,6)

«ექადაგება ეს სახარება სასუფეველზე მთელს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დასამოწმებლად. აი მაშინ დადგება აღსასრული» (მათე, 24,14).

პატივცემულო მკითხველო, თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ აქ ლაპარაკია სახარების არა რელიგიურ გავრცელებაზე, არამედ მას გაიგონებს მთელი მსოფლიო. ეს სრულადაც არ ნიშნავს, რომ მოხდება მსოფლიოს გაქრისტიანება. ეს არც ისე კარგის ნიშანია. ეს არის ნიშანი, რომ «მაშინ დადგება აღსასრული». ეს ხდება კაცობრიობის, ქრისტიანობის იმ კრიზისის ჟამს, რომელსაც ჰქვია ანტიქრისტეს ჟამი, რომლის შემდეგ მოდის ქრისტეს რისხვა. კაცობრიობა გაბრწყინდება სამართლიანობის განაჩენით. მაგრამ ეს იმ პერიოდზე ლაპარაკი, როცა მაცხოვარი რწმენის დაცემის გამო მოდის.

«მაშინ თუმცა ქრისტიანობის სახელი ისმის ყველგან, ჩანს მისი ტაძრები და საეკლესიო მაღალჩინოსანნი, მაგრამ ეს ყოველივე სახილველად, შიგნით კი განდგომილებაა ნამდვილი» (Святитель Феофан Затворник, «Россия Перед Вторым Пришествием» М., 1993. გვ. 353)

ფასადურ-ესთეტიკური გატაცება ქრისტიანობისა აღარიბებს რწმენას, იგი კარგავს ჭეშმარიტ ღვთაებრივ შინაარსს (внутри же отступление истиннос)

ახლა უფრო თანამედროვე საშუალებებით გავშიფროთ, აპოკალიფსის ჟამს სახარების მსოფლიო პოპულარობა, ტაძრების აღმშენებლობები, სასულიერო ჩინოსანთა მოდაში შემოსვლა და ყველაფერი ეს მომხიბვლელი რიტუალია, შიგნით კი ფუღურო, რომელშიც აღარ არისო რწმენა ნამდვილი. აი «მაშინ დადგება აღსასრული».

ხან მიწიდან წავიკითხოთ ზეცა, ხან კი ზეცით გადმოვხედოთ მიწას. ...უზარმაზარ მოედანზე, ერთმილიონიანი აუდიტორიის წინაშე გამოდის რომის პაპი, მესას ატარებს. ლიტურგია გადაიცემა მსოფლიოს უდიდეს ტელეარხებზე, მილარდიანი ტელემაყურებლის წინაშე. კათოლიკურ წირვას უყურებს, უსმენს მსოფლიო, მაგრამ ამ სანახაობის შემდეგ არავინ კათოლიკდება (იშვიათი და საგანგებო შემთხვევების გარდა) მაგრამ სახარება ეუწყა «დედამიწის მკვიდრთათვის. ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად». ეს «ეუწყა» სრულადაც არ ნიშნავს, რომ კაცობრიობა მორჯულდა და აღარ არის საჭირო მისი განკითხვა. **კაცობრიობამ მოისმინა იგი, მაგრამ გულში არ შეუშვა.** ე. ი. ჩვენ ვუყურეთ და ვუსმინეთ ამ ლიტურგიკას, ჩვენ, როგორც მაყურებელმა, მივიღეთ მასში მონაწილეობა. მაგრამ ეს არ იყო რელიგიური მონაწილეობა. ვთქვათ მართლმადიდებელი მორწმუნე კაცი ტელევიზიით უყურებს სახლში საშობაო ან სააღდგომო წირვას. რაც არ უნდა მოინდომო, ტელევიზიის მეშვეობით შენ ამ წირვაში რელიგიურ მონაწილეობას ვერ მიიღებ. შეგიძლია დატკბე ლოცვა-გალობით, მაგრამ სულიერი ჩართვა, ვით ტაძრის მლოცველისა არ შედგება. ვიმეორებთ: **ჩვენ ამ პროცედურაში ვმონაწილეობთ არა რელიგიურად, არამედ ესთეტიკურად.** ტელევიზია უბედურებაა სარწმუნოებისათვის. იგი შეიძლება ბევრ სიწმიდეს გიჩვენებდეს. მაგრამ ვერ ნერგავს ვერანაირ სიწმიდეს. სამაგიეროდ ძალზე ეფექტურად აღვივებს მტრობას, ეთნოკონფლიქტებს, პორნოგრაფიას, უგემოვნებას, უსრდელობას, ზერელეობას. თუმცა რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ფაქტობრივი ვითარების გამო, ცხადია, ვერ მოვუწოდებ

ვერავის, წირვა-ლოცვა არ გადაიცეს ტელევიზიით. ასე თუ ისე ამ დიდსულიერების შესახებ ინფორმაციას მაინც მიიღებს მსმენელი. შექმნილი ტექნიკის უარყოფა ჩვენ არ ძალგვიძს, ამიტომ უნდა ვეცადოთ მის წარმართვას სიკეთისაკენ.

ბედი ეკლესიისა აპოკალიფსში

რა იქნებოდა დედამიწა ტაძრების გარეშე? — ერთი დიდი შემოუღობავი ზოოოპარკი! ეკლესია ის სახლია, სადაც ზეცა და მიწა ერწყმიან ერთმანეთს. მიწაზე ქმნილი სახლი ღვთისა, არის ზეციერი ეკლესიის ასლი. ეს ისევე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც **«წმიდა ქალაქი იერუსალიმი, რომელიც ციდან ეშვებოდა ღვთისგან»** (21,10). ჩვენ არ ვიცით, რამდენად ხანგრძლივია ეკლესია მიწაზე, მისი ტაძრებით, მარადიულია, ეკლესია ზეცად და არა მისი ასლი. ქვა, მარმარილო, ოქრო, ბრინჯაო, სპილოს ძვალი... მყარი მატერიალური საგნები ჩამოჰგვანან მარადისობას, მაგრამ ვაი, რომ ესეც სწრაფწარმავალია მარადისობასთან შედარებით. მაგრამ როგორც კი «სამსჯავროს» მოახლოებას იგრძნობენ, ხალხი მიაწყდება ტაძრებს — ღმერთო, გვიშველეო, და რამდენად უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს — ადამიანები ამ დიდი განსაცდელის ჟამს ღმერთს დაუწყებენ ლანძღვას, როგორც წერია წმიდა წერილში, აპოკალიფსში.

ანტიქრისტეს ეპოქაში ეკლესია დევნილია. მაგრამ ეკლესიის გაქცევა აქ. ცხადია, არ ნიშნავს «გაქცევას ეგვიპტეში». იგი თვითონაც ემიჯნება, გარიყულია ურწმენოდ ქცეულ ხალხისაგან. ეკლესია დაემალება უკვე არსებულ მამონას საშინელ რეჟიმს. ეკლესია კაცობრიობის ცხოვრებაზე გავლენას ჰკარგავს — აი, ესაა დევნილი, ჭეშმარიტი ეკლესიის ხვედრი. თვით ეკლესიას შიგნითაც გაუჩნდება მძიმე პრობლემები:

«არაჭეშმარიტი ეკლესიის წევრები შეიყვარებენ ფუფუნებას და კომფორტს, გამართავენ მდიდრულ ცერემონიებს ამა ქვეყნის ძლიერთათვის» (Апок. Сб. «СКИТ», М., 1993, გვ. 267).

ეკლესიის საელმწიფოსთან სიახლოვე არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ეს იყო საბჭოთა ათეიზმის პირობებში. კიდევ მეტიც: მაშინ ეკლესია დაპირისპირებისა და შევიწროების მიუხედავად, მტკიცედ იდგა, ფხიზლობდა, ეკლესია ხედავდა მტერსა და მტრობას. ახლა ეკლესიას გაცილებით უფრო უჭირს მოყვრულად შემოსეული, შემოპარული ერეტიკოსების, მწვალებლების მოგერიება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ახლა ეკლესიას გაცილებით მეტი საფრთხე აქვს, მრევლთან ერთად მისი გაქრობისა. საბჭოთა ათეიზმს ოფიციალურად სტალინიც ვერ უპირისპირდებოდა. მაგრამ არაოფიციალური, არაფორმალური გზებით მან გადაარჩინა ეკლესია, ეკლესიამ გადაარჩინა იგი. ეს ნათლად გამოვლინდა დიდი სამამული ომის დროს.

და მაინც ქრისტიანულ ეკლესიათაგან რომელი ითვლება ჭეშმარიტ ეკლესიად? ცხადია, პირდაპირ, კონკრეტულ პასუხს გავერიდები. მაგრამ უბოდიშოდ, პირდაპირ შეიძლება ითქვას შემდეგი: **ჭეშმარიტია ის ეკლესია, რომელიც ანტიქრისტესგან ჭეშმარიტ დევნას განიცდის.**

მართლმადიდებელი ეკლესიისა და მართლმადიდებელი ხალხისადმი დევნის დემონსტრაცია გახლდათ 1999 წლის მარტი. ნატომ, აშშ-ს ხელმძღვანელობით, სერბიაში დაბომბა 100-ზე მეტი ეკლესია-ტაძარი. არაფერს ვამბობთ საავადმყოფოს, ტელევიზიის და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის შესახებ. ასეთი მიზანსწრაფული ქმედებანი ჭეშმარიტი ქრისტიანობისადმი წინასწარწერილ არს აპოკალიფსში. ნატოს 19 ქვეყანა (ერთი მესულმანური ქვეყნის გამოკლებით) გულმოდგინედ ბომბავდა მართლმადიდებელ ტაძრებს. ამ დროს კი ნატოს 50 წლისთვის იუბილეს ზეიმობდნენ მეძავი კლინტონის თამადობით. ჰუმანიტარული მიზნით ბომბავდნენ ქალაქს, ტაძრებს... მეტი რაღაა საჭირო? განა ეს არ არის ცრუ ქრისტიანულ სახელმწიფოთა ანტიქრისტეს დროშის ქვეშ გაერთიანების ფაქტი? მათი ამგვარი ქმედება ხომ სულ მთლიანად ემთხვევა ნაწინასწარმეტყველევს?

შეხედეთ ბოლო 12 წელს რამდენი განადგურებული, მშობლიური კერებიდან დევნილი მართლმადიდებელია ცის ქვეშ – საქართველოდან, უკრაინიდან, რუსეთიდან...

წინასწარმეტყველნი ასეც ჭვრეტდნენ. ანტიქრისტეს ჟამს. სუსტდება რწმენა და არა ტაძრების მშენებლობა. მრავლდება ტაძრები, მცირდება და ნადგურდება მართლმორწმუნენი.

«...ყველგან ჩანს მისი ტაძრები და საეკლესიო მაღალჩინოსანნი, მაგრამ ეს ყოველივე სახილველად, შიგნით კი განდგომილებაა ნამდვილი»

ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას უფალი ეკლესიას აკისრებს, ეკლესიიდან იწყებს იგი განკითხვას:

«რადგან დროა ღვთის სახლიდან განკითხვის დაწყებისა და თუ ჩვენგან დაიწყება, რა აღსასრული ელით ღვთის სახარების ურჩებს?» (1 პეტრე, 4.17).

წმიდა მოწამე კოსმა აიტოლოსი (1779 წ.):

(წიგნიდან: Россия Перед Вторым Пришествисмю М., 1993 წ. გვ. 356)

«დადგება ჟამნი, როცა დაიკარგება თანხმობა მღვდელმსახურთა და მრევლს შორის. მღვდელთმსახურნი გახდებიან უარესნი, უფრო უნამუსონი, ვიდრე სხვები.»

«დადგება ჟამნი, როცა მართლმადიდებელნი დაემტერებიან ერთმანეთს, მე კი გირჩევდით შეინარჩუნოთ მშვიდობა და თანხმობა».

ის, რაც დღეს ხდება მართლმადიდებლებს შორის – ბელარუსიასა და რუსეთს შორის, უკრაინა-რუსეთსა და საქართველო-რუსეთს შორის – უბრალოდ სამარცხვნოა. ღვთის სასჯელია, მაგრამ, ვგონებ, მალე მოიხდიან სასჯელს. საქმეს ასეთი პირი უჩანს.

«...როდესაც კაცის ძე მოვა, ჰპოვებს ნეტა დედამიწაზე რწმენას?» (ლუკა, 18,8).

ქრისტეს და სტალინის ასკეტიზმი

თქვენ როგორ კადნიერდებით — ჩვენს მაცხოვარს, იესო ქრისტეს შედაროთ ეს დემონური არსება — სტალინი? — შესაძლოა ვინმეს აღეძრას აღშფოთებით ამგვარი კითხვა. ღმერთს შეიძლება შეადარ-შეაპირისპიროთ თვითონ სატანა, რომელიც უდაბნოში ცდიდა უფალ ღმერთს. მართალია მათ შორის დიალოგი სიტყვამცირე გახლდათ — უფალმა განდევნა იგი.

ქრისტე გაადამიანურდა და 33 წლის განმავლობაში იგი ცხოვრობდა ადამიანის ცხოვრებით. იგი სრულფასოვანი ადამიანია. სხვაგვარად იგი მესია არ იქნებოდა

«მოვიდა ძე კაცისა, ჭამს და სვამს, და ამბობენ:

აჰა, კაცი, რომელსაც უყვარს ჭამა და ღვინის სმა, მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი, და მისი სიბრძე საქმეებითაა გამართლებული» (მათე, 11,19).

ქრისტე მამაკაცია მთელი თავისი ღირსებებით, ის საჭურისი არაა. საჭურისებს არ შეუძლიათ გაუგონ ადამიანს, უთანაგრძნონ მას. თუმცა ქრისტეს მიერ ნაქადაგები ასკეტიზმი ძალზე მკაცრი იდეალიზმია, ძალზე იშვიათად განსახორციელებელი:

«...ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში.

თუ გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე, ვინაიდან უმჯობესია შენთვის, რომ ერთი ასოთაგანი დაგეღუპოს, ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს» (მათე, 5, 28-29).

მაცხოვრის ეს ნათქვამი რომ ნატურალური პირდაპირობით გავიგოთ, ქრისტიან მამაკაცთა მოდგმა უსინათლოთა საზოგადოებად გადაიქცეოდა. ადამიანის ბუნებაში არ არის გულისთქმის წამიერი იმპულსის გამომრიცხავი მექანიზმი. ეს არის ქრისტიანული სიწმინდის მკაცრი იდეალი. ამ იდეალისაკენ, თვით მიუწვდომელი სიწმინდისაკენ, უნდა ისწრაფოდეს ადამიანის სული და გონება, მისი ქმედებანი. ცოდვაწარწყმედის წამალი გულის ძირიდან წამოსული ლოცვა-

მონანიებაა. მონანიებისთვის არ კმარა რამდენიმეჯერ, ან ბევრგზის პირჯვრის გადაწერა და ღმერთს შეეხვეწო — მაპატიეო. მონანიება უმძიმესი სასჯელის მოხდაა. ადამიანის ბუნება არ არის ისე იდეალური, ქრისტე რომ მოითხოვს. მაგრამ არა არს უფრო წმიდა და უფრო მაღალი, ვიდრე სწრაფვა ქრისტიანული სულის სიმაღლეებისაკენ. ქრისტე, როგორც ღმერთი, ამ ქვეყნად მოსვლამდე არსებობდა ზეცის სასუფეველში. იგი მარადიული ალფა და მარადიული ომეგაა. იგია მარადიული დასაწყისი და მარადიული დასასრული. ქრისტე გადმოვიდა ადამიანში, განკაცდა იგი. ის რომ ყოფილიყო ადამიანის ბუნებისაგან ძალიან დაშორებული, განსხვავებული არსება, მაშინ იგი მესია არ იქნებოდა, მის განკაცებას აზრი არ ექნებოდა. ჩამოგვძახებდა შორიდან. ციდან ბრძანებას — როგორც მრისხანე ღმერთი მბრძანებელი და არა შენი ძმა, შვილი. ახლობელი, ამიტომ იესო გარკვეული აზრით ჩვეულებრივი ადამიანიცაა, ადამიანური ემოციებით. მან თავის თავზე მიიღო ადამიანური ცხოვრების ტკივილები და სისუსტეებიც. **მისი ძალა სისუსტეთა უქონლობაში კი არა, სისუსტეთა დაძლევაშია.** ამიტომაცაა იგი ჩვენი სული და გული. ამიტომაც იქცა იგი «ჩვენად». ის არის ყველაზე ახლობელი მეგობარი, დამამშვიდებელი, ყველაზე სასოწარკვეთილ ადამიანს რომ აღადგენს, შეიწყნარებს და აჩვენებს ნათელს. გზაბნეული შებრუნდეს ღვთისკენ.

ქრისტოლოგები ასეთ დელიკატურ საკითხსაც სვამდნენ: ჰქონდა თუ არა მას ქალისადმი სიყვარულის ბუნებრივი გრძნობა? ქრისტემ, როგორც მესიამ, ადამიანი ყველაზე კარგად იცის... იესო არამარტო თვითონ იყო იდეალური განსახიერება სიწმინდისა, ადამიანურისა, მან განანათლა სიცოცხლე და სიყვარული. **ქრისტემ გაათავისუფლა ადამიანი სულიერობაში და არა ცხოველურ სტიქიაში.** მან მოახდინა ქალის ნამდვილი ემანსიპაცია. ქრისტემ ახალი სიღრმე, სინატიფე და სულიერობა შესძინა სიყვარულს. მან გასწმინდა ადამიანის ბუნება ბუნებრივი სიტლანქისაგან და შთაუნერგა მას გრძნობა

შეწყნარებისა, თანაგრძნობისა. მკაცრია ასკეტიზმი მაცხოვარისა, მაგრამ ის არასოდეს უნდა დავიყვანოთ ცალმხრივობამდე.

«თუ გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე..» ამ სიტყვების ავტორმა სინამდვილე გვასწავლა. მეორე მხრიდანაც. სახარების ასო-ასოდ კითხვა შორს ვერ წაგვიყვანს. იგი უნდა შეიგრძნო სულით და გულით. იესო ქრისტე, **სიყვარულის ღმერთი, დაუნდობელი არ გახლავთ სუსტების მიმართ, ის სასტიკია ბოროტი თავხედობისადმი. როცა მისი მოძღვრებიდან ჭეშმარიტების ერთ მხარეს მოვიხმობთ, არ დაგვავიწყდეს მეორე მხარეც.**

მწიგნობრებმა და ფარისევლებმა იესოს მრუშობაზე წასწრებული ქალი მიუყვანეს. მოსეს რჯულით იგი უნდა ჩაექოლათ. სცდიდნენ იესოს, დაარღვევდა თუ არა კანონს. ქრისტემ შეიბრალა საწყალი ქალი და ჭეშმარიტი ღვთაებრივი ლოგიკით იხსნა იგი. ქალი გაამართლებინა მისსავე ბრალმდებლებს. იესომ კარგად უწყოდა, რომ ფარისევლებმა, მწიგნობრებმა იცოდნენ, თავიანთი არაუცოდველობის შესახებ, რომ უცოდველი არავინ იყო.

«ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა!» — თავაუღებლივ მიმართა იესომ.

ცოდვილმა ბრალმდებლებმა, სინდისმხილებულებმა, იგრძნეს და იცნეს თავიანთი შეცდომა და სათითაოდ გაეცალნენ იქაურობას:

«არც მე გდებ მსჯავრს, წადი და ამიერიდან ნუღარ სცოდავ!» — უთხრა იესომ ჩაქოლვის მომლოდინე ქალს (იოანე, 8, 7-11).

«ცრემლნი მაგდალინელისანი»

ქრისტე სიყვარულისა და სიკეთის ღმერთია. ცხოვრობდნენ ადამიანები ქრისტემდე, მაგრამ მან ადამიანი აიყვანა მანამდე უცნობ სიმაღლემდე. მსოფლიო ხელოვნება, პოეზია უმღეროდა ქალს. ქალი გახდა მიზეზი ტროის ათწლიანი ომისა, რომელ-

საც მარადიული ძეგლი აუგო ჰომეროსმა, მაგრამ ქალის სულიერი ამაღლება არსად ისე არ შემკულა, როგორც «სახარებაში», სახელდობრ, ქალს ხვდა წილად — ყოფილიყო პირველი, რომელსაც ჯვარცმის შემდეგ გამოეცხადა მაცხოვარი. ეს გახლდათ მარიამ მაგდალინელი.

სახარება, ცხადია, არაა ლირიკული ნაწარმოები. ესაა ღვთაებრივი სურათი «სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი», ზეიმი სიკვდილზე ზეამაღლებისა. მისი განსახიერება ჯვარცმული მაცხოვარია.მოწაფეებს უზომოდ უყვართ თავიანთი არაჩვეულებივი მასწავლებელი. ისინი როგორღაც გრძნობენ, რომ მათი მოძღვარი მათებრ ადამიანია, მაგრამ გრძნობენ იმასაც, რომ იგი ადამიანზე მეტია, ღვთაებრივია. ჭეშმარიტ ღმერთად ქრისტე ჯვართამაღლების შემდეგ ხდება. მაგრამ მოწაფეებს ადამიანურად უყვართ ადამიანი. თუმცა ცოცხალი სიახლოვე არ უწყობს ხელს სულიერ სიახლოვეს. მაგრამ მოწაფეებისთვის იგი, უწინარეს, ადამიანია, ადამიანური ცრემლებით დატირებული. უძველეს დროში დასტიროდნენ წარმართულ ღმერთებს (ადონისი, ატისი, ოსირისი, მითრა, დიონისე...) დასტიროდნენ ადამიანს მიმსგავსებულ არსებებად, მაგრამ არა როგორც ადამიანს.

«იესოს ჯვართან იდგნენ დედამისი, დედამისის და, მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდალელი» (19,25).

«ერთ შაბათს, გარიჟრაჟზე, როცა ჯერ ისევ ბნელოდა, მივიდა მარიამ მაგდალელი სამარხთან და ხედავს, რომ ლოდი გადაგორებულია სამარხიდან» (ი. 20,1).

მარიამ მაგდალინელი მაშინვე გარბის ქრისტეს მოწაფეებთან. აუწყებს მათ, რომ სამარხში აღარ არის იესოს სხეული. უსაზღვროა მარიამ მაგდალინელის მწუხარება ისევე უსაზღვროა, როგორც მისი თავგანწირვა. იესოს ლეგენდარულმა მოწაფეებმა, შემდგომში მოწამეობრივი სიკვდილით რომ დაასრულეს სიცოცხლე, ვერ გაბედეს ის, რაიც გაბედა ამ ცრემლებით სავსე დიდმა ქალბატონმა, დიდმა მოწამემ. მან არ დატოვა იესო წამების არცერთ წუთს. და აი, იგი ისევ

პირველი მივიდა იესოს სამარხთან, იგი ღვთისმშობელთან ერთადაა. ღვთისმშობელს შვილი გარდაეცვალა. მაგრამ ცრემლები მარიამ მაგდალინელისა შეუშრობელია.

«მარიამი კი იდგა სამარხის გარეთ და ტიროდა. მტირალი სამარხისაკენ დაიხარა. და დაინახა თეთრებში შემოსილი ორი ანგელოზი, მსხდომარენი ერთი თავთით და მეორე ფერხთით, სადაც იესოს გვამი ესვენა. უთხრეს მას: «დედაკაცო, რატომ სტირი?» მან მიუგო: «ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დაასვენეს.» ამის თქმისას მოტრიალდა და იხილა მდგომარე იესო. მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო. უთხრა მას იესომ: «დედაკაცო, რატომ სტირი, ვის ეძებ?» მას მეგონა ეგონა იგი და უთხრა: «ბატონო, თუ შენ წაიღე, მითხარი, სად დაასვენე, და მე წამოვიღებ.» უთხრა მას იესომ: «მარიამ!» მოტრიალდა და ებრაულად უთხრა: «რაბუნი!» (რაც ნიშნავს: მოძღვარო!)

საოცარია, სიმშვიდის ზეწიგნში, სახარებაში, ამდენი მწუხარების განცდის ჩვენება. მაგრამ იოანეს ამ თითოეულ სტრიქონს, თითოეულ სიტყვას გენიოსთა ტომები სჭირდებოდა. სულ რამდენიმე სტრიქონში გადაშლილია ადამიანის ტრაგედიის უღრმესი და უნატიფესი სამყარო. აბა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას. მწუხარებისაგან მარიამი ადგილს ვერ პოულობს. რა ქნას არ იცის. ტირის და ეძებს სამყაროში ერთადერთს, ყველაზე საყვარელ ღმერთკაცს. აქ სასწაულის სურათია სასწაულებრივ დამაჯერებლად. უკვე აკლდამიდან აღმდგარი ქრისტე, მიწა რომ დაუტოვა, მაგრამ ჯერ ზეცად არ ამაღლებულა, მარიამს ბაღში, საფლავთან გამოეცხადება, საუბარსაც გააბამს მასთან, მაგრამ ვერ იცნო ვერცა ხილვით, ვერცა ხმით. იცნო მაშინ, როცა მაცხოვარმა წარმოსთქვა ერთი სახელი, წარმოსთქვა ისე, რომლის იდუმალმა ტემბრმა სამყარო შეათრთოლა. ამ სიტყვაში იყო სასწაულებრივი სითბო და სიფაქიზე. ეს სახელი გახლდათ მაგდალინელისა — «მარიამ!» ამ ხმით წარ-

მოთქმულ სიტყვაზე მარიამმა მყისვე შეიცნო, ვისაც ასე წრესგადასული სევდით ეძებდა — «მოძღვაროს» რა სინატიფე ჩააქსოვა მწუხარე სიხარულით წარმოთქმულ სიტყვაში — «მოძღვაროს» მარიამი მყისვე მივარდა, რათა ფერხთ მთხვეოდა.

«არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან». ეს იყო უკვე ზეცად აღმავალი ქრისტეს ხმა.

«ცრემლნი მაგდალინელისანი» ყველაზე მშვენიერი ცრემლია მწუხარებისა და სიყვარულისა. მსგავსი სინატიფე არ განუცდია სამყაროს.

მარიამ მაგდალინელის ფენომენს ხშირად ეხება დიდი გერმანელი ფილოსოფოსი და თეოლოგი ჰეგელი. იგი მას «მშვენიერ ცოდვილს» უწოდებს. განიხილავს იმის ნიმუშად, რომ სიყვარული მორალზე მაღლა დგასო. «ღვთაებრივი სიყვარული ჰპატიობს ცოდვას, ყოფილს ხდის სულისათვის არყოფილად. მარიამ მაგდალინელს ეპატიება ბევრი, რადგან მას ბევრი უყვარდა. სიყვარული თვით მორალურ მოსაზრებებზეც მაღლა დგას. მარიამმა ნელსაცხებელი სცხო ქრისტეს, იმის ნაცვლად რომ ეს ნელსაცხებელი მიეცა ღარიბებისათვის. ქრისტემ მოიწონა მარიამის ეს საქციელი» (Гегель, Эстетика, т. IV. М., 1993, გვ. 161) [იუდა ისკარიოტელმა დაუწუნა მარიამს ამ ძვირფასი ნელსაცხებელის დახარჯვა — სჯობდა იგი ღარიბებისთვის გაეწილადებინაო? არაო. — ქრისტემ მოიწონა მარიამის საქციელი, რადგან მარიამმა შეიცნო ღვთებრივი, თაყვანი სცა ღვთაებრივს.]

ქრისტეს კვართი და სტალინის შინელი

მეტისმეტად შეზღუდული იქნებოდა ასკეტიზმის დაყვანა — სექსუალურ მოთხოვნათა შეზღუდვაზე. დიდი ასკეტები იმიტომ იყვნენ დიდნი, რომ უზენაეს იდეას უძღვნიდნენ სიყვარულს. თვითმიზნური, უაზრო თვითგვემა ვის რად სჭირდება? ქრისტე ამბობს — მე სიყვარული მინდა და არა მსხვერპლიო. ადამიანის გულის წადილთა დათრგუნვა რისთვის არის საჭირო?

სტალინის პირადი ცხოვრება ნიმუშია ტანჯული ტიტანისა, თვითშეზღუდვისა, პირადულ ვნებებს რომ უმორჩილებს კანონის უზენაესობას. აქ ლაპარაკი არ არის მის უშეცდომობასა და უცოდველობაზე. აქ მთავარია მთავარი. სიცოცხლისაკენ მიმართული, ეგოცენტრისტული ძალების ალაგმვა იშვიათად თუ ვინმეს შეუძლებელია დაუქვემდებაროს საკაცობრიო იდეალებს. ყველაზე მრისხანე ომის პიველ დღეებშივე სტალინმა ორთავე ვაჟი გაგზავნა ფრონტზე. პირველი შვილი, იაკობი, მალე ჩავარდა ტყვედ. იაკობმა გაამართლა ანდაზა: «კვიცი გვარზე ხტისო.» მაგრამ რატომ ჰგონიათ სტალინოფობებს, რომ სტალინს სიყვარულის უნარი არ ჰქონდა? შვილის სიყვარული თავის თავის სიყვარულზე მეტია. შვილი არის ჩემი «მე»-ს საუკეთესო ვარიანტი. როცა რეიხსა და სტალინს შორის ვაჭრობის გამართვა სურდათ, სტალინმა იმთავითვე შეაწყვეტინა ყველას: «მე ფელდმარშალს ჯარისკაცზე არ ვცვლი.» სტალინისათვის შვილი იყო მთელი ქვეყანა. მაგრამ რამდენად მძიმეა მამისათვის ღვიძლი შვილი, ამას ყველა ნორმალური მამა ხვდება: «იქ, ფრონტზე, ყველა ჩემი შვილია», ვინც ქვეყანას იცავსო. აი ეს იყო მართლა ზეკაცი. აბა ეს კაცუნები რომ ტკაცუნობენ. დიდი კაცის სიდიადე რომ ამწარებს საკუთარი სიპატარავის გამო. ეს არის ადამიანური ტრაგიკომედია დასაბამიდან დღემდე. სტალინური რეპრესიების არაერთ რაინდულ მსხვერპლს შევხვედროვართ ცხოვრებასა თუ წიგნებში, ტრაგედიას რომ ტრაგედიად სახავენ, მაგრამ სტალინის სიდიადეს რომ რაინდულად აღიარებენ. რამდენი ინადირა ქრისტეს ფეხის მკვნეტელმა, სატანის ნაშიერმა ხრუშჩოვმა. რამე ენახა ქაღალდის ნაგლეჯი — სტალინის განკარგულება რომ იქნებოდა ვინმეს თვითნებური დასჯის მითითებით. სტალინი მონა იყო კანონისა. მარხვა ასკეტური რეჟიმის სახეობაა. მარხვის, ასკეტიზმის წესი სასულიერო პირთათვის ან რიგითი სამოქალაქო ცხვრების მორწმუნეთათვის განსაზღვრულია ეკლესიურად, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ნორმალური ცხოვრებით ვერ ცხოვრობენ, იწვიან მსოფლიო ქარცეცხლში, მათთვის,

როგორც ჩანს, ტანჯვა-მოთმინების სხვა კანონს აწესებს უფალი. მთავარია ის დიადი იდეა, რომელიც ღვთისაგან მოდის. რომელიც ღვთისაკენ მიდის. რას მოიკლებ პირადი კეთილდღეობიდან, რას მოითმენ — რას აიტან სიტკბოების მოსაგერიებლად, რას აიტან ტანჯვით, წვალებით ეშსახურო ღმერთს, ხალხს, ქვეყანას. დასავლეთის ბურჟუა პრეზიდენტები, პირადი ბიზნესითაც რომ არიან დაკავებულნი, არ ჯობდა ფეხსაცმელი შეეკერათ? სტალინის მამა ფეხსაცმელს კერავდა, მისმა შვილმა მსოფლიო ისტორიას რომ არ ასსოვს ისეთი სახელმწიფო შეკერა. თვითონ კი გაცვეთილი ფეხსაცმელით წავიდა ამა ქვეყნიდან. ვინ რა იდეით, ვინ რამხელა იდეით იღვაწა ამ ქვეყნად, გამოჩნდება ყოველი, რამეთუ მაცხოვარი გვაფრთხილებს — განკითხვა შეეხება როგორც ცოცხალთა, ასევე მკვდართაც.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ ვადარებთ ქრისტეს კვართს, ქრისტეს სამოსელს სტალინის სამოსელს, ანუ მის მთელ ავლა-დიდებას? აი აქედან იწყება კაცის საღვთო რეჟიმი. აი, მატერიალურ კეთილდღეობასთან ურთიერთობის წესი მაცხოვარმა განსაზღვრა. მანამდე ორიოდე სიტყვით — მაინც რა ემოსა იესოს? მაცხოვრის ერთადერთი ქონება იყო სამოსელი. არ ჰქონდა ბინა, სად მიიდრიკოს თავი! სამოსელიდან კვართი იყო «ნაქსოვი ზემოდან», ხოლო რიზა და სხვა დანარჩენი ჯვარცმის აღმსრულებელმა მეომრებმა გაინაწილეს.

«კვართი — (პოდირი) ნაქსოვი ზემოდან, გრძელი და ფართო სამოსელი ფეხებამდე (კოჭებამდე) ეშვება. ქრისტე მოგვევლინა მეფის სამოსელში, თეთრსა და ბრწყინვალე სამოსელში (იხ. კრებ. «Апокалипсис», СКИТ, 1993, М., გვ. 33)

ქრისტეს პერანგი მისი დიდებულების სიმბოლოა. მაგრამ მისი სამოსელი, მთლიანობაში, არის სიმბოლო მატერიალურ სამყაროსთან მისი მიმართებისა. იგია სიმბოლო — მატერიალურზე ადამიანის სულიერი ამაღლებისა. აი, როგორ გამოხატა მაცხოვარმა თავისი დამოკიდებულება სიმდიდრისადმი:

«ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარ-

ავენ. დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ. ვინაიდან სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება» (მათე, 6, 19-21).

კაპიტალიზმი რომ ლეგალური ქურდობა და ძალმომრეობაა, ამაზე აღარც დაობენ. დამისახელეთ მსოფლიო ისტორიიდან მაგალითი, მეფეთა ცხოვრებიდან, მსგავსი ასკეტური თვითგვემისა, რაც სტალინმა გააკეთა. 30 წლის განმავლობაში კაცი იყო დიქტატორი, მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს მბრძანებელი, რომელმაც შექმნა ხალხის სახელმწიფო. ამ ქვეყანაში არ იყო დემოკრატიული სახალხო არჩევნები, მაგრამ არასოდეს ხალხს, უბრალო ადამიანს არ ღირსებია ისეთი უფლება ადამიანისა, რაც მშრომელ, გაჭირვებულ ადამიანს ჰქონდა. რათქმაუნდა, ეს სრულიადაც არ იყო სამოთხის სახელმწიფო და სამართლიანობით დაყურსული ქვეყანა. მე რომ 1937 წელს ჩემი სადოქტოროთი მივსულიყავი უნივერსიტეტში, კალიმა უკან დამრჩებოდა. სახელმწიფოთა ისტორია, ვიმეორებ, მიწიერ, ძალმომრეობათა, ბოროტებათა ისტორიაა, რომელთა შორის, ბოროტებათა ხარისხით — საბჭოთა კავშირი ყველაზე ნაკლები ბოროტება ყოფილა. მეტი და უკეთესი არ არის მიწაზე აშენებული ქვეყანა.

როდესაც ქრისტიანულ მოძღვრებას ვეხებით მატერიალური სიმდიდრისა და საკუთრების მიმართ, აქაც ცალმხრივად არ უნდა გავიგოთ ქრისტეს მოძღვრება... 1969 წლის სექტემერში უმშვენიერეს «იასნაია პოლიანაში» ტოლსტოის სახლკარს, მის სასახლეებს ვათვალიერებ, პირველი გადავიწერე და ერთი თანმხლები ქართველი მეგობრის გასაგონად ჩავიბურტყუნე: მადლობა ღმერთს, ტოლსტოიმ ეს სიმდიდრე რომ დაგვიტოვა და ესეც არ გააჩუქა (ტოლსტოიმ სიბერეში, რელიგიური მოსაზრებით დიდი სიმდიდრე ჩამოურიგა ღარიბ-ღატაკებს). მაგრამ ტოლსტოისეული დანატოვარი ნივთები იმდენად განსულიერებულია, რომ ამგვარი ქონების მიმართ არ უთქვამს ქრისტეს — ჩრჩილი შეჭამს, ან ქურდი მოგპარავსო.

«ამხანაგ სტალინის პირადი ქონების აღწერა

1953 წლის 5 მარტს 22 საათსა და 30 წუთზე მე, აგარაკ ბლიჟნიაია დაჩას კომენდანტმა ორლოვმა, უფროსმა მიმაგრებულმა სტაროსტინმა, თანაშემწემ ტუკოვმა, თანამშრომელმა ბუტუსოვამ ამხანაგ ბერიას განკარგულებით შევადგინეთ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პირადი ქონების აღწერა.

1. ბლოკნოტი ჩანაწერებისათვის, რუხი ფერის ტყავის ყდაში;

2. უბის წიგნაკი, ტყავის, წითელი ფერის;

3. პირადი ჩანაწერები, ცალკეულ ფურცლებსა და მოსახევ ფურცლებზე შედგენილი შენიშვნები, დანომრილია სულ 67 ფურცელი (სამოცდა შვიდი);

4. საერთო რვეული ჩანაწერებით, წითელი ფერის ყდაში;

5. ჩიბუხი — 5 ცალი. მასთან ერთად: 4 ყუთი და სპეც. მოწყობილობანი, თუთუნი. ამხანაგ სტალინის კაბინეტში: წიგნები, სამაგიდო ნივთები, სუვენირები სიაში შეტანილი არ არის.

საძინებელი და გარდერობი:

6. თეთრი ფერის კიტელი — 2 ცალი, (ორივეზე მიმაგრებულია სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი);

7. რუხი ფერის კიტელი, ყოველდღიური — 2 ცალი;

8. მუქი მწვანე ფერის კიტელი — 2 ცალი;

9. შარვალი — 10 ცალი;

10. თეთრეული ჩაწყობილია № 2-ე ყუთში. №3-ე ყუთში ჩაწყობილია: 6 კიტელი, 10 შარვალი, 4 შინელი, 4 ქუდი. № 1 ყუთში ჩაწყობილია ბლოკნოტები, უბის წიგნაკები, პირადი ჩანაწერები. სააბაზანო — საშხაპე ნივთები ჩაწყობილია №4-ე ყუთში.

სხვა ქონება, რომელიც ამხანაგ ი. ბ. სტალინს ეკუთვნოდა, აღწერაში შეტანილი არ არის.

აღწერის დასრულებისა და დოკუმენტის შედგენის დრო — 1953 წლის 6 მარტი, 00 საათი და 45 წუთი.

დამსწრენი: /ხელმოწერა/ ორლოვი

/ხელმოწერა/ სტაროსტინი
/ხელმოწერა/ ტუკოვი
/ხელმოწერა/ ბუტუსოვა

საძინებელ ოთახში აღმოჩენილია შენახული სალაროს წიგნაკი, რომელშიც შეტანილია 900 მანეთი. აი, სტალინის მთელი სიმდიდრე. ბინა – სახელმწიფოს კუთვნილია, მასში ამჟამად პრეზიდენტის არქივია მოთავსებული, აგარაკი – სახელმწიფოს კუთვნილია – გადაეცა ახალ მეპატრონეებს» (დოკუმენტი ამოღებულია ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან «გენერალისიმუსი»).

P.S. ვლადიმერ კარპოვის წიგნი «გენერალისიმუსი» ნამდვილად დიდებული წიგნია ეს მარტო მისი ტალანტისა და გმირული ბიოგრაფიის დამსახურება კი არ არის – ეს დროის ნაყოფიცაა. გამოჩნდა ღვთის ხელი. სტალინის მეორედ მოსვლას რომ მიგვანიშნებს, ოღონდ არა გენერალისიმუსის ფორმით, არამედ გენიალური პროკურორის ფორმით. ხომ ხედავთ მსოფლიო პროპაგანდის საშუალებით მეძავის ხელშია, რომელმაც ასვა ხალხებს მძვინვარე ღვინო მეძაობისა. ამიტომ ეს წიგნი არათუ ფართოდ და ღირსებისამებრ შუქდება, არამედ ფაქტიურად იდევნება, მაგრამ დევნა ხორციელდება არა აკრძალვის იურიდიული ფორმებით, არამედ გროსმეისტერულად, შექმნან გარემოცვა, სიმართლე რომ ვერ სუნთქავდეს. ასეთია საზოგადოდ ყოველი წიგნის ხვედრი, რომელიც მწარე სიმართლეს, ქვეყნისთვის, ხალხისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სიმართლეს თუ ეხება. მაგრამ **სანამდე დაიჭერს მუშტში მზის სხივებს ანტიქრისტე, სატანა?** არავის ეგონოს, მე სტალინს ვიცავდე. **სტალინს რად უნდა დაცვა!** რეპრესიების გამო ბრალდებას ვერ მოვუხსნით სტალინს, თუმცა იმასაც შეგახსენებთ, რომ არც მეორედ მოსვლა უფლისა იქნება ურეპრესიო. სამწუხაროდო, გვაფრთხილებენ უფლის სახელით, უდანაშაულონიც არ აღმოჩნდებიან მთლად კაი დღეში.

ახლა დავუბრუნდეთ ქრისტეს სამოსელეს აღწერასა და როგორ გაინაწილეს ივი ოთხმა მეომარმა. სხვათაშორის სტა-

ლინის ქონების აღწერის ოქმსაც ოთხი აწერს ხელს. თუმც მათ არაფერი მიუთვისებიათ და არც წილი უყრიათ შინელზე, ვით მაცხოვრის კვართზე. იმ მეომრებმა, ვინც ქრისტე ჯვარს აცვეს, ტანსაცმელი გაიყვეს ოთხ ნაწილად. კვართს ვერაფერი მოუხერხეს. მისი დაჭრა შეუძლებელი გახლდათ. იგი ისე იყო ნაქსოვი, რომ დაჭრის შემთხვევაში მთელი ნაქსოვი დაიშლებოდა. დანარჩენი ტანსაცმელი (რიზა და სხვ.) ვარაუდობენ, რომ ნაჭრებად გაინაწილეს. სახარებიდან მოსჩანს, რომ მეომრები სამოსელს მატერიალური ფასეულობის გამო კი არ დახარბდნენ, არამედ იგრძნეს მისი რელიკვიური მნიშვნელობა ამ «უცნაური» კაცის სამოსელისა. რას ერჩით ამ «კულტურულ» ჯალათებს?

ტანსაცმელი ეს მორალური სახეა ადამიანისა, ერისა (ეროვნული ტანსაცმელი), პროფესიისა, სამსახურისა. მაგრამ სახარების უმთავრესი აზრი იქეთკენაა მიმართული, რომ გარე სამოსელი კი არ არის მთავარი, მთავარია სული, შინაგანი სამყარო.

«სამოსელზე რაღას ზრუნავთ? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი» (მათე, 6, 28-29).

სამოსელი ადამისა და ევასი

პირველმა ბიბლიურმა ადამიანებმა პირველი «კოსტუმი» ლეღვის ფოთლებისაგან შეიკერეს. ეს მოხდა აღთქმის დარღვევის, პირველქმნილი ცოდვის შემდეგ:

«აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ. გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს» (დაბად. 3,7).

მართლაც-და უცნაური ბედი დაჰყვა ადამიანს. ამ ცოდვის გამო დაისაჯნენ პირველი «დისიდენტის», გველის, მიერ შეცდენილი ადამიანები. მაგრამ ამ ცოდვის წყალობით იქცნენ ისინი ნამდვილ ადამიანებად. მანამდე, სამოთხეში, როგორც ჰეგელი

ამბობს, ადამს და ევას ჰქონდათ პირუტყვული სიმშვიდე, სრულად უშინაარსო. რეალური ადამიანის რეალური ცნობიერება ცოდვის შემდეგ შეიქმნა. სიშიშვლის, როგორც სირცხვილის, განცდა ნიშნავს, რომ იწყება კულტურის ადამიანი, რომელმაც უკვე იცის, რა არის მისაღები, რა არის მდაბალი და სასირცხო. ამიერიდან გაემიჯნა სული ხორციელ თვითმყოფობას. დიდი ხნის შემდეგ, აი, ახლა, ჩვენს ეპოქაში ადამიანებმა კვლავ გაიხადეს, იციან, რომ სირცხვილია, მაგრამ თვით სირცხვილმა დაკარგა სირცხვილის გრძნობა და დედიშობილა ადამიანები მსოფლიო აუდიტორიის წინაშე, ტელეეკრანზე გარდმოაფენენ ყოველ სასირცხოს. მაგრამ ეს არ არის ცოდვამდელი ადამისა და ევას სიშიშვლე. ეს უკვე ორგზის დანაშაულია უფლის წინაშე, რის გამოც მეორედ მოსვლის ჟამს ადამის ძენი უფრო სასტიკად დაისჯებიან, ვიდრე პირველი, გამოუცდელი ცოდვილნი.

განათლებული ადამიანები ადამისა და ევას სამოსელს სწორედ ლელვის ფოთლებით წარმოიდგენენ. მაგრამ რატომღაც ოითქმის არ ახსოვთ, რომ ღმერთს შეეცოდა ცოდვილ-დასჯილნი პირმშონი და თვითონვე შეუკერა ბრწყინვალე «კოსტუმი».

«გაუკეთა უფალმა ადამს და მის დედაკაცს ტყავის სამოსელი და შემოსა» (დაბად. 3,21).

რა არ იწინასწარმეტყველების

დიდი თავები თავს იმტვრევდნენ, როგორ ამოეხსნათ ანტიქრისტეს სახელი ცნობილი რიცხვების მეშვეობით, გამოცანად რომ არის მოცემული აპოკალიფსში:

«აქ არის სიბრძნე, ვისაც გაგება აქვს, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, რადგან რიცხვი ადამიანისაა და მისი რიცხვია ექვსას სამოცდაექვსი» (13,18).

უკანასკნელი მეფე-ანტიქრისტეს სახელი, რომლის შემდეგ მოდის (ტრადიციული წარმოდგენით) ასო-ასო შეკრებით უნდა შეადგენდეს 666. მაგალითად, თუ ა=1, ი=10 და ა. შ. ასოთა კომბინაციის შემდეგ მივიღებთ იმ წყეული მეფის, ანტიქრისტე მეფის სახელს, რაც შეეფარდება 666-ს. ამიტომაცაა 666 სატანის რიხცვად წოდებული. ამ რიცხვთან დაკავშირებულია მრავალი ცრურწმენაც. მეორე და მესამე

ათასწლეულების საზღვარზე თეორიული პრაქტიკაც და პრაქტიკული პრაქტიკაც მოწმობს იმაზე, რომ თვით გენიოსნიც ამაოდ დაშვრენ. ყველაზე კარგი ეგზეგეტიკოსი, განმმარტებელი ბიბლიური გამოცანებისა — ესაა მისი აღმატებულება დრო. ახლა ჩვენ შეგვიძლია მოვუთხროთ იმაზე, რაზეც წინასწარმეტყველებდნენ. ბევრი რამ წარმოდგენითი წინასწარმეტყველებიდან საგნობრივად განხორციელდა.

დავუშვათ, რომ ქრისტიანობის მომავალი დამღუპველი დედამიწაზე არის «ტიტანი»-ს სახელწოდების მქონე მეფე-ანტიქრისტე. (ეს მაგალითი აღებულია წმიდა ირინეიდან. ბერძნ. თეუტან).

თ-300, ე-3, უ-10, ტ-300, ა-1, ნ-50 =666

ასეთი ინტერესი, რა ერქმევა მომავალ ანტიქრისტეს, რომელიც შეესატყვისება 666-ს, დღესაც არ წყდება. გთავაზობთ ჩვენს კონცეფციას: უფალმა თავის რჩეულს, წინასწარმეტყველს მისცა უნარი — განჭვრიტოს მომავალი მოვლენები — როგორი მოვლენა, როგორი ადამიანი, როგორი ხასიათი გამოჩნდება, მოვა. მაგრამ არ არის არცერთი შემთხვევა ბიბლიურ წინასწარმეტყველებათა ისტორიაში სახელობით იქნას დასახელებული რომელიმე მოვლენა ან საგანი. «ფსალმუნში», ისაია წინასწარმეტყველთან ნაწინასწარმეტყველებია მესიას მოსვლა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი კონკრეტული მოვლენა თუ ნიშანი, მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ მას ეწოდება იესო ქრისტე.

ბიბლიაში, «გამოცხადებაში» ვხედავთ მფრინავ მანქანებს, ბომბდამშენებს, ბირთვული იარაღის მოქმედებას, მაგრამ არსად არ არის ეს მოვლენები დასახელებული თანამედროვე სახელწოდებით. სახელს უფალი ისევე არ გაგვიმხელს, როგორც იმ საიდუმლოებას, როდის წავალთ ამ ქვეყნიდან. თუ ღმერთს იმდენი შეუძლია, რომ გაგვაჩინა, ის არ შეეძლო ჩვენი მივლინების ვადა გაემხილა? მაგრამ მაშინ ადამიანის არსებობა აზრს კარგავდა. ასე რომ ბევრი სიმბოლო აპოკალიპსისა საერთოდ გაუხსნელი დარჩება ან არ მოხდება მისი რეალიზა-

ცია. «წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებენ ნაწილობრივ». ხორციელებაში მოვლენილ არსებას ღმერთი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას არ უმხელს. იგი რჩება მხოლოდ ღმერთთან. ამდენად თავსატეხი – 666-სა არაფერსარ გვპირდება ანტიქრისტეს მოვლინების საიდუმლოების შესახებ. ამასთან ჩვენი კონცეფციით ანტიქრისტე მარტო მეფე-ანტიქრისტე, პიროვნება კი არ არის. ანტიქრისტე ნიშნავს ღვთისმგმობელ სამეფოს, ღვთიმგმობელ დედაქალაქს, კოლექტიურ ანტიქრისტეს და ა. შ. აპოკალიფსის მიხედვით საშინელი საშჯავრო მოდის ყველაზე დიდი მეძავის, ბაბილონის დასჯის შემდეგ.

წინასწარმეტყველი და დიაგნოსტიკოსი

წინასწარმეტყველი ეს ღვთისგან რჩეული ადამიანია განსაკუთრებული უნარით. დიაგნოსტიკოსიც ღვთის ქმნილებაა, მაგრამ არა გამორჩეული, როგორც წინასწარმეტყველი. წინასწარმეტყველი მომავალი დროის შესახებ ისე გვიამბობს, როგორც უკვე მომხდარ მოვლენაზე. ზოგჯერ პირდაპირადაცაა მოცემული, თუ რას დავინახავთ მომავალ დროში. ბიბლიური წინასწარმეტყველთა გარდა ამ უნარით დაჯილოებულნი არიან წმიდა მოწამე მამებიც, რომლებიც ხედავდნენ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც იმ დროს არ არსებობდა:

«ჩვენ დავინახავთ ადამიანებს, რომლებიც დაფრინავენ ჰაერში, ჩიტების მსგავსად, რომლებიც დედამიწაზე ჩამოყრიან ცეცხლს» (კოსმა აიტოლოს, 1779 წ.)

თუ ორნახევარი საუკუნის წინ წარმოდგენილი ეს საგნები თვითმხილველს, წარმომსახველს, არ შეეძლო დაესახელებინა – რა ჰქვია მათ, დღეს ნებისმიერი ადამიანი გეტყვით, რომ ესაა ბომბდამშენი თვითმფრინავი. კიდევ რამდენიმე ხილვაც წმიდა მოწამე კოსმა აიტოლოსის მიხედვით წიგნიდან: «Россия перед Вторым Пришествием». М., 1993 г. ст. 356)

«დადგება ჟამი, როდესაც ჩვენი მტრები ყველაფერს წაგვართმევენ, თვით ნაცარსაც კი არ დატოვებენ თქვენს

კერაზე. მაგრამ არ დაჰკარგოთ რწმენა სხვების მსგავსად.»

ამ წინასწარმეტყველების სრული რეალიზაცია (მრავალი სხვა მართლმადიდებელ ქვეყანათა შორის) გვაქვს საქართველოს სახით. 10-12 წლის წინათ უმდიდრესი, აყვავებული ქვეყანა დღეს უღატაკესთა შორისაა მთელ მსოფლიოში. ეს ხომ ბოროტი სასწაულია. მაგრამ არ ვკარგავთ რწმენას, ჩვენი გამნადგურებლები თვით განადგურდებიან, მძარცველნი განიძარცვებიან.

«სკოლებში ასწავლიან ისეთ საძაგლობებს, რომ მისი წარმოდგენაც კი არ შეგიძლიათ».

რატომ კლავდნენ წინასწარმეტყველთ?

უცნაურია ხვედრი წინასწარმეტველთა. ვინ არ ოცნებობს, ფლობდეს უნარს, გაიგოს ნება ღვთისა — რა მოხდება მომავალში. ყველას სურს ჰქონდეს ეს საუნჯე, მაგრამ უმეტესად ხომ არ უწყიან, რის საზღაურია ყოველივე ეს? ისინი ხომ არ არიან ტკბილი ცხოვრების ნებიერნი. წინასწარმეტყველთა უმაღლესი მიზანი, მათი ნეტარება მხოლოდ ტანჯვის გზით მიიღწევა. ასე რომ, იგი არ უნდა ინატროს მიწიერი ბედნიერების მოტრფიალე ადამიანებმა. უფალი ამბობს:

«ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი» (3,19).

«Кого я люблю, тех обличаю и наказываю» (3,19).

ალბათ, ქართული «ვწვრთნი» უფრო სწორი შესატყვისია, ვიდრე რუსული «наказываю» ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან, მოკვდავთაგან განსხვავებით, წინასწარმეტყველთა ამქვეყნიური ტვირთი უმძიმესია.

წინასწარმეტყველნი არიან ღვთისაგან ტანჯვაში გაწვრთნილ-მხილებულნი, განწმენდილნი. ისინი ამხილებენ და ნებაუნებლიეთ უპირისპირდებიან მიწიერ მორალს, ადამიანთა, საზოგადოების პატივმოყვარეობასა და ანგარებას. წინასწარმეტყველნი ხედავენ, როგორ იძირება, ილუპება საზოგადოება ამორალიზმის-

აგან, სულმდაბლობისაგან და ცდილობენ იხსნან თავისი ხალხი, ის ხალხი, რომელიც ხშირად ჩასაქოლად მიიწევს მათზე, ბოლოს მაინც ბევრ მათგანს ჩაჰქოლავენ. წინასწარმეტყველნი, როგორც ღვთის რწმუნებულნი, თავიანთი დამსჯელი საკუთარი ხალხის გადასარჩენად იბრძვიან. ხალხს კი არ უყვარს მწარე სიმართლე. ხალხს ურჩევნია ტკბილი სიცრუე, მაშინაც კი, როცა იცის — ატყუებენ, აბრუებენ. ხალხი ლანძღავს, ამცირებს იმ ადამიანს, რომელიც სწორედ მათი გულისთვის სწირავს თავს. ამის კლასიკური ნიმუში გვიჩვენა მაცხოვარმა ჩვენმა — იესო ქრისტემ. დიდება მის სახელს!

ისაია წინასწარმეტყველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VIII საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. «მისი მოღვაწეობა გაგრძელდა არანაკლებ 40 წლისა და შესაძლოა მეტიც». ისაია აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით იუდეველთა უწმინდური მეფის, მანასის ბრძანებით. დიდი წინასწარმეტყველი იერემია (VII ს. ქრისტემდე), რომელსაც ქრისტეს რელიეფურ წინასახედ სთვლიან, იცოცხლა 80 წლამდე, «არის გადმოცემა, რომ იგი ქვით ჩაქოლეს».

ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველი იეზეკილი «...მოკლული იქნა იმ თავადის მიერ, რომელიც მან ამხილა...»

ძველი აღთქმის არა მხოლოდ დიდი წინასწარმეტყველნი, მცირე წინასწარმეტყველნიც იშვიათად კვდებოდნენ ბუნებრივი სიკვდილით. ისინი ეწირებოდნენ ჭეშმარიტებას. თუმცა ისინი ხანგრძლივად ცოცხლობდნენ. საზოგადოდ, სიბერე და სიბრძნე ახლობელნი არიან.

რაც შეეხება იოანე ნათლისმცემელს, ქრისტეს მოწაფემოციქულებს, ისინი სულიერად დაბერებულნი არიან და ეწირებიან უზენაეს ჭეშმარიტებას. სამწუხაროდ, წუთისოფელი ბოროტების სამეუფოა. ღმერთმა ანტიქრისტეს ჟამს თვითვე დაუთმო სიბნელეს ქვეყანა. მაგრამ არ მიუტოვებია. მოვა განკითხვით. ვეევედროთ უფალს, მოვიდეს განკითხვით და არ დაუთმოს განუკითხაობას. «ღვთის სამსჯავრო» არის განკითხვა და არა განუკითხაობა. ამდენად «საშინელი სამსჯავრო» თუმცა სასტიკია, მაგრამ არ ნიშნავს ქვეყნის დაქცევას.

იუდა ისკარიოტელი და ანტიქრისტე

საწყალი იუდა ისკარიოტელი — იგი ანგელოსია ანტიქრისტესთან შედარებით. ის ბუნებით ბოროტი არ ყოფილა. მას უყვარდა იესო. მაგრამ ბოროტი სული გადმოვიდა მასზე. რატომ? ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ და კაცმა რომ თქვას, ვერც ერთ დიდ ღვთისმეტყველთანაც ვერ ვნახე პასუხი სრული. ეს, ალბათ, ერთ-ერთი აუხსნელ საიდუმლოებათაგანია. რომ არ ყოფილიყო იუდა, როგორი იქნებოდა ქრისტეს ზეცად ამაღლების მთელი ეს პროცესი, რომელიც მამისაგან იყო დაშვებული?

ამ პროვიდენციალური გეგმით ვიღაცას ეს როლი უნდა შეესრულებინა. იგი დაევალა იუდა ისკარიოტელს. მან შეასრულა ეს უდიდესი ბოროტება გასცა მოძღვარი, რომელიც თავის თავს ღმერთს არ უწოდებდა, 30 წლის შემდეგ, იორდანეში ნათლობის შემდეგ, მან მიიღო უწყება უფლისაგან, რომ ეს ჩვეულებრივი კაცი არ იყო, ეს გახლდა ძე ღვთისა იესოს სახით იუდამ გასცა, ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდა ღმერთ-კაცი. იუდა გონს მოეგო, რომ ჩაიდინა რაღაც არგაგონილი საშინელება. 30 ვერცხლი სინედრიონს მიუყარა და თავი ჩამოიხრჩო. ბოროტი სული გავიდა მისგან, მაგრამ იუდა დარჩა კაცობრიობას, როგორც სიმბოლო გაცემისა, როგორც ყველაზე შეურაცხმყოფელი სიტყვა ქრისტიანთათვის. თვით იუდას ბუნებაში კი არ იყო იმოდენა ბოროტება, რა მასშტაბიც მას შესძინა იმან, ვის წინაშეც ჩაიდინა ცოდვა. არათუ იესო ქრისტე მაცხოვარი, **ცოდვა ჩადენილი ჭეშმარიტი ღვთისნიერი კაცის მიმართ გაცილებით მძიმეა, ვიდრე იგივე ცოდვა ურწმუნო მილიონიანი მასის წინაშე.**

ანტიქრისტეები არ ჰპატიობენ იუდას იმ სისუსტეს, რაც მან ბოლო ჟამს გამოიჩინა, როცა გაიცნობიერა თავისი შეცდომა. ანტიქრისტეები დაუნდობლად ებრძვიან ქრისტეს, ქრისტიანს, აქვთ რა მოსსმული ქრისტიანის მანტია. ნამდვილი ანტიქრისტე არის ყველაზე ვერაგი იმიტომ, რომ იგი შეიპარა ქრისტიანულ სამყაროში ერესის სახით, ღალატის სახით გამოელრღნა გული და სული ქრისტიანობისა. ანტიქრისტე გველის გზას დაადგა,

თუმცა გველს რაღაც ღირსებები მაინც აქვს გარდა ბოროტი სიბრძნისა... უნდა ვირწმუნოთ, ვითარცა წერილ არს:

«ასევე იქნება წუთისოფელის აღსასრულის დროს: გამოვლენ ანგელოზები და გამოაცალკავებენ ბოროტებს მართლებისაგან» (მათე, 13,49).

წინასწარმეტყველის ხვედრი ხვდა ვაჟას ლიტერატურულ გმირს, ვაჟას სულიერ ორეულს «გველისმჭამელ» მინდიას. მინდიას საღვთო პრინციპები უპირისპირდება ცხოვრების პრინციპებს და ის ჰკარგავს საღვთო კავშირის ენას. მინდია ამ ტრაგედიის მსხვერპლია. მკითხველს შევახსენებ «გველისმჭამელის» უმოკლეს შინაარსს:

ქაჯთა ტყვეობაში 12 წელს იტანჯება მინდია. ტყვეობიდან თავის დახსნის იმედი რომ გადაეწურა, გადაწყვიტა თავი მოეკლა. ქაჯთა სამზარეულოში ქურდულად გველის ნაჭერი შეჭამა. სიკვდილის ნაცვლად მინდიას «ახალად სული ჩაედგა... გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუეს გაეხსნა... მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემაო, მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხია...» ერთი სიტყვით, მინდია ეზიარა ზეციურ ენას, ღვთის ენას, როგორც წინასწარმეტყველნი. მინდიაც განსაკუთრებული უნარით აღიჭურვა და წინააღმდეგობაში მოვიდა არაგანსაკუთრებული უნარის მქონე ადამიანების გარემოცვასთან. მინდიას გენიალობას დაუპირისპირდა ოჯახი, ცოლ-შვილი, რომელიც თავის პრინციპებს იცავს. ოჯახმა, ბავშვების სიბრალულმა, ცოლის განუწყვეტელმა წუწუნმა, მოუაროს ბავშვებს, ოჯახს, მინდიას საღმრთო უნარი დააკარგვინა. მინდიას საიდუმლოებას, ცხადია, ვერც ცოლი, მზია, და ვერც ვერვინ სწვდება. არადა, არაჩვეულებრივს გრძნობს საზოგადოება, მაგრამ მას გრძნობს მხოლოდ ნაწილობრივ, პრეტენზია კი აქვს რომ სრულად ესმის მას (საზოგადოებას) — რას ჰქვია არ ესმის?! აი, რას ამბობს ცხოვრება ჩალხიას პირით:

«ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას

სიცრუე მოუგონია.
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩვენც ყურები გვსხავ მგონია.»

აი, ტიპური პოზიცია, პრეტენზიულობა ცხოვრების სტანდარტული პოზიციისა არასტანდარტული, საღვთო კაცის მიმართ. აი, რატომ ეწირებიან ღვთის კაცები მიწის კაცებს, ცხოვრებას. მინდიას ტრაგედიას უქმნის არა ცუდი ცოლი, ცუდი ოჯახი, არამედ ჩვეულებრივი ოჯახი, რომელიც სწორია თავისი პოზიციიდან. მზია ბავშვების სიცოცხლისათვის იბრძვის, მინდიას საღმრთო სიბრძნის საიდუმლოებას, თუ რა მსხვერპლს ითხოვს მისგან ზეცა, — ამას ვერც ცოლი ხვდება, ვერც მის მიმართ კეთილად განწყობილი თემი. თავისი ქვეყანა მინდიას ამ განსაკუთრებულ უნარს იყენებს. მინდიამ არაერთხელ იხსნა თავისი ხალხი მტრისაგან. მინდიას გალაღებული ჰყავს ხალხი თავისი გენიის წყალობით. მაგრამ ხალხი ვერ ხვდება, ღმერთი სანაცვლოდ რას მოითხოვს ტანჯული გენიისაგან. აი, საზოგადოებისა და ზეცის პრინციპების პაექრობა, ჭიდილი... მინდიას მზიასადმი პასუხი, ჩვენ რასგვერჩითო — მინდია პასუხობს:

«იმიტომ, უჭკო დიაცო,
რომ სწუწუნებდი, სჩიოდი:
«სიცივე ბალღებს მილევსო», —
შვილმამაკვდარივით ჰკიოდი,
ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორს ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი»,
ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.
გულზე მოსაყვანს ქართულსა
ჩემს გასაგონად ამბობდი,
გეწადა კაი ცხოვრება,
მოწამლულს ქადას აცხობდი
და მეც დღეს ხვალეობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა»...

დასთმო ცხოვრებასთან ჭიდილში მინდიამ. მან მსხვერპლად ვერ მიიტანა თავისი ცოლ-შვილი, მაგრამ ემსხვერპლა თავისი ქვეყნის ლაშქარი. სიბრძნისგან დაცარიელებული მინდია ეხვეწება თანამემამულეებს, მოეშვან, მას აღარ ძალუძს გაძღოლა ხალხის. მინდიაც მარცხდება, ხალხიც მარცხდება. ცხოვრებამ იგი აღარ გაუშვა ზევით, ეს არის უაღრესად ორიგინალურად გაშუქებული ტრაგედია, საღმრთო კაცისა, მე ვიტყოდი ესაა ნამდვილი ქართული ტრაგედია. ქართულ გენიას ხშირად ამარცხებდა წუთისოფელი. აქ ვერავინ განსჯის მტყუან-მართალს. აქ სინანული ითქმება მხოლოდ.

ცხოვრების წესი, კაცობრიობის არსებობის წესი, ეფუძნება ოჯახს. ოჯახი არის — საყოველთაო და სავალდებულო სტანდარტი. აი, აქ არის ტრაგედია არა თითო-ოროლასი, არამედ ძირითადად შემოქმედი ადამიანებისა — გენიისა თუ ტალანტისა. ეს არ ნიშნავს, რომ თუ ვისმეს პირად ცხოვრებაში გაუმართლა, გენიალობა ჩამოვართვათ. მაგრამ ეს საკაცობრიო პრობლემაა: მარტო ერთი ეპოქის ტიტანები ნახეთ, იტალიური რენესანსის წარმომადგენლები, რომელთაც ცოლი არ შეურთავთ: ბრუნელესკი, დონატელო, მაზაჩო, ლეონ ბატისტა, ლუკა დელა რობია, პიერო დელა ფრანჩესკა, ვეროკიო, ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი.

შემოქმედ-გენიალურ ადამიანებს იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუდამ ჰქონდათ ჯანყი საკაცობრიო სტანდარტთან, რის წყალობითაც არსებობს მასის კაცობრიობა. ასეთია რეალობა. ცხოვრება ნორმირებული მასის გარეშე არ არსებობს. მაგრამ გენიოსების სხვაგვარ ნორმებსაც ზეცა აწესებს. სასულიერო-რელიგიური ცხოვრება წმიდანებისა ნახეთ. ოჯახის სიწმინდე დალოცა მაცხოვარმა, მაგრამ მისთვის და მისი უპირველესი საღვთო მრევლისთვის, მოწაფეებისათვის ეს სიწმინდე არასაკმარისია. ისინი ცოლის შერთვის ნაცვლად უდაბნოში ილტვიან და ღმერთსა სწირავენ თავის სიწმინდეს. მე თვალწინ მიდგას ერთი არასერიოზული სუფრული დიალოგი, რომელშიც პრიმიტიულად, უხეშად გამოიხატა ცხოვრების ერთი საგულისხმო

მომენტი. თამადამ ქორწილში «სახარების» მთელი სიბრძნე აფრქვია. ბოლოს ერთ უცოლო (40 წლის) კაცს აუხირდა, რატომ არ ირთავ ცოლსო. უცოლო კაცი გამწარდა: შენ, ძამიკო მეტი საქმე არ გაქვს? ქრისტეს სახელს ყველაფერზე ნუ აწუხებ. ცოლი რომ კაი ყოფილიყო, შენ მოასწრებდი ქრისტეს ცოლის შერთვას?!.

ცხადია, ოჯახის შექმნა ადამიანური ბედნიერების საძირკველია. ზოგი მას ვერ ქმნის სხვადასხვა მიზეზით, ზოგჯერ მაღალი სიწმიდის მიზეზით, ზოგიც თავისი უგერგილობით, მაგრამ თუ დღეს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ვერ იქმნება ოჯახები სწორედ მატერიალური ვითარების გამო, ეს სწორედ ანტიქრისტეს იდეოლოგების მიერ შექმნილი სინამდვილის დამსახურებაა. გადახედეთ საქართველოს ისტორიას, თბილისის ისტორიას. რამდენჯერ შელებილა მტკვარი ჩვენი ხალხის სისხლით. მაგრამ ოჯახი იქმნებოდა ყოველთვის. მებატონისაგან შევიწროებული უსახლ-კარო გოგობიჭი გომურშიც ქმიდნენ ოჯახს. ისტორიკოსებო, სოციოლოგებო, შეადარეთ ტრაგედიები ტრაგედიებს, ბოროტებანი ბოროტებებს! დამეთანხმებით, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს მსგავსი ვითარება ოჯახის ვერშესაქმნელად. დღეს საქართველოში საზოგადოების 10%-ზე მეტს არა აქვს ქორწინების უფლება. — რაო, ვინ აუკრძალა ქორწინება ვინმეს?! ინტყვიან მავანნი. რად გინდათ სახლ-კარი, რად გინდათ ლოგინი, იქორწინეთ, რამდენიც გინდათ. იქორწინეთ და ისეირნეთ რუსთაველის პროსპექტზე. ვინ გიშლით?.. რად გინდათ ხელფასი, სამუშაო. თანამემამულეებს ვხოცავთ. თანამემამულეებს არ ვამრავლებინებთ მამულს, ის რომ გადამთიელს დარჩეს. ყველას რომ ყველაფერი ოხრად გვრჩება, რატომ არ ვფიქრობთ?!. მაგრამ რად უნდა ამას წინასწარმეტყველება, აპოკალიფსი, ან ცაში ყურება. საგანი, მოვლენა რომ დალპება, თვითონ დაიშლება, ქრება რამდენიც გინდათ მოუწოდეთ — ნუ შვრებით ამას, ღმერთი დაგვსჯისო; ღმერთს ნუ ვმტრობთო, გაიცინებენ და გამოჩნდებიან მგმობელნი.

«...იცოდეთ, რომ უკანასკნელ დღეებში მოვლენ მგმობელნი, თავიანთი გულისთქმისაებრ მავალნი, და იტყვიან: სად არის აღთქმა მისი მოსვლისა? ვინაიდან მას შემდეგ, რაც მამებმა მიიძინეს, ყველაფერი უცვლელად რჩება, შექმნის დასაბამიდან...

...მაშინდელი სამყარო წყლით წაირღვნა და დაიღუპა. ხოლო აწ ცანი და მიწა იმავე სიტყვით დაუნჯებულნი არიან, ცეცხლისთვის განკუთვნილნი განკითხვის დღისა და უკეთურ კაცთა წარწყმედისათვის» (მეორე პეტრესი, 3,4-7).

ღია წერილი

აშშ-ს პრეზიდენტს	რუსეთის პრეზიდენტს	საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ	ბატონ	ბატონ
ჯორჯ ბუშს	*ვლადიმერ პუტინს*	*ედუარდ შევარდნაძეს*

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა შედეგია მსოფლიო პოლიტიკისა, რომელიც ძირითადად განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მიერ ბოლო 10-15 წლის მანძილზე. თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ე. ი. ხელისუფლებაში ბატონი პუტინისა და ბატონი ჯორჯ ბუშის მოსვლის შემდეგ დამაიმედებელი შუქი გამოჩნდა. საქართველოს ტერიტორიაზე პანკისის ერთ მტკაველა ხეობაში თავი მოიყარა საერთაშორისო ტერორისტების ჯგრომ. ხეობისაკენ მიპჰრობილია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. პანკისი გახდა არა მარტო საქართველოს, არამედ პრეზიდენტების პუტინისა და ბუშის ყოველდღიური ზრუნვის საგანი. ანტიტერორისტულ ქმედებათა თვალთახედვის ცენტრში საქართველოს პრეზიდენტის მოქმედება ერთგვარ გაურკვევლობას იწვევდა, რადგან არ აწარმოებდა ტერორისტების აგრესიის წინააღმდეგ სათანადო ბრძოლას, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ბატონი შევარდნაძის სიდინჯემ იხსნა საქართველო კავკასიურ ომში (შესაძლოა

არა მხოლოდ კავკასიურ!) ომში ჩათრევისაგან. ამ ხეობიდან გავარდნილი ნაპერწკალი შეიძლება ატომურ ცეცხლად იქცეს. მსოფლიო პოლიტიკაში ინტერესთა ახლანდელი დაპირისპირება და დაძაბულობა ზესახელმწიფოთა მხრიდან დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში მსოფლიო შეიძლება მიიყვანოს სავალალო აპოკალიასურ ფინალამდე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტები სავსებით რეალისტურად და პრაგმატულად აფასებენ მდგომარეობას და მათ მიერ გამოვლენილი კეთილგონივრული კომპრომისები გვაიმედებს, რომ მიღწეული იქნება მშვიდობა და პროგრესი.

პრეზიდენტ ბუშის ამასწინანდელმა განცხადებამ, დაინტერესებამ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისადმი, ჩვენ სიხარული მოგვგვარა, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა უშუალო მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, რადგან თითოეული სოფლის ბედიც განსაკუთრებით მწვავე სიტუაციებში ბოლო წლებში წყდებოდა ვაშინგტონში. ამიტომ ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს თქვენს შორის, თქვენს მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას, ზესახელმწიფოთა პატივცემულო პრეზიდენტებო.

ბუნებრივია, ჩვენ გვსურს ვიყოთ აშშ-ს არა მეზობელი, არამედ მეგობარი ქვეყანა. მეზობლობა ჩვენ ბედმა გვარგუნა ჩვენს ნათესავსა და ერთმორწმუნე რუსეთთან. მრავალეროვანმა და მრავალკოფესიურმა ხალხებმა რუსეთსა და საქართველოში საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავეს საერთო, ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცხოვრების წესი. მხოლოდ ჩვენი ხალხების მტერს შეუძლია ისწრაფოდეს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ამღვრევისათვის.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი ტრიბუნაა მსოფლიო პილიტიკისათვის მრავალი ფაქტორის გამო. აქ ჩვენს პატარა საქართველოში გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სამწუხაროა, რომ ბოლო ათეულ წლის მანძილზე საქართველო

გახდა ხილული თუ უხილავი მტრების საპარპაშოდ, რომლებმაც უმდიდრესი და აყვავებული რესპუბლიკა მიიყვანეს მათხოვრულ მდგომარეობამდე. მაგრამ საქართველოსა და მისი პრეზიდენტის ავტორიტეტი, თქვენივე აღიარებით, საკმარისად მაღალია. ახლა საქართველოს მოსახლეობის მზერა მიპყრობილია კიშინიოვის მომავალი სამატისაკენ, კერძოდ, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრისადმი.

ჩვენ, საქართველოს საზოგადოებრიობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, გთხოვთ სძლიოთ ამ გაჭიანურებულ ნახევრულობის პოლიტიკას, გადაჭრათ გორდიას კვანძი. ჩვენ ვიმედოვნებთ აშშ-ს მხარდაჭერას და ბოლოს და ბოლოს გადალახული იქნება ბუნების საწინააღმდეგო, არაბუნებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. გვწამს, რომ ჩვენს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური სტრატეგიული პარტნიორობა აღსდგება.

ახლა ნება გვიბოძეთ გულწრფელად მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 50 წელი (7.X.02) დიდი რუსეთის პრეზიდენტს – ვლადიმერ პუტინს. დეე გზას გინათებდეს თქვენი სათაყვანებელი ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი თქვენი დიადი გამარჯვების გზაზე, მთელი მსოფლიოს სასიკეთოდ.

ვახტანგ გოგუაძე
საქართველო-რუსეთის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის
ექს-სპიკერი (1992095 წწ.), პროფესორი
გრიგოლ ჟვანია
საქართველოს სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა
აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი
გელარი ბაქრაძე
სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის ფედერაციის
მეტროლოგიის აკადემიის აკადემიკოსი
/გაზეთ «Свободная Грузия», ოქტომბერი, 2002

P.S. წარმოდგენილ მიმართვაში უფრო მეტი პოლიტიკაა, ვინემ პროგნოზ-ანალიზი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ უშეცდომონი არც პროგნოზისტები არიან და არც პრეზიდენტები. **უშეცდომონი ნეტარებენ ზეციურ სასუფეველში.** თანამედროვე ადამიანისეული აღქმა იმ პლანეტისა, რომელზედაც ის ცხოვრობს, დღეს საოცრად შეიცვალა. ლამის უახლოვდება იმ კომიკურ სურათს — ჩარლი ჩაპლინი რომ ათამაშებს გლობუსს — დედამიწას. ასეთი პატარა დედამიწა არასოდეს ყოფილა მისი მკვიდრის თვალში. ფანტასტიკა და რეალობა რაღაცნაირად დაემთხვა კიდეც. იცვლება მანძილის აღქმა დროში. მორალური კავშირი ქმნის «აქვე მყოფ» აშშ-სთანაც მეზობლობის ილუზიას. ამიტომაც სურთ ქართველ პოლიტიკოსებს ამერიკასთან მეზობლობა და რუსეთთან სათანამგზავრო კავშირი.

დღეს ყოველ ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ აშშ-ს და რუსეთს აქვს იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ საათში ააფეთქონ დედამიწა, ცხადია თვითგანადგურების ხარჯზე. ასეთი დაპირისპირება დროებით მაინც გაწონასწორებულია, რადგან გამარჯვების შანსი არავის აქვს. გარანტირებული აქვთ ორმხრივი ყოველმხრივი კატასტროფა. ეს შიში, სიცოცხლის თვითშენარჩუნების მსოფლიო ინსტიქტი ჯერ-ჯერობით აჩერებს ნერვებს, მაგრამ დაძაბულობას, ცხადია, ვერ მოხსნის. ბევრი რომ იფიქროს ჩვეულებრივმა ადამიანმა, თუ რა მოუვა მსოფლიოს რომელიმე პრეზიდენტს რომ ხელი წასცდეს იმ ღილაკზე პატარა, ჯადოსნურ ღილაკზე, ყველგან რომ დააქვთ, სასთუამლთანაც რომ უდევთ. რა სათამაშო ყოფილა პატარა კაცობრიობა. «ღმერთები იცინიან» თოჯინების მორიგ სპექტაკლზე ათასწლეულები რომ ჰქვია ჩვენს თვალწინ, სამყაროს მარადისობაში კი წუთებია, ალბათ.

«ათასი წელი — ვითარცა გუშინდელი დღე» (ფს. 89,4).

პრეზიდენტებისადმი ჩვენს ამ მიმართვაში არ არის ძნელი თვალი გავადევნოთ ბოლო 10-15 წლის მოვლენებს. თუ როგორ დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. აქ აპოკალიპტურ სიბრტყეზე პრობლემის დასმა იმითაა გამოწვეული,

რომ საოცარი დაბნელებაა ცნობიერებისა. საოცრად პარადოქსულია. არანორმალურია ცნობიერება. პოლიტიკას აკეთებენ და აშუქებენ უკულმა, რაც შეიძლება შორს ჭეშმარიტებისაგან. დამნგრეველებს გვირგვინებით ამკობენ, ხოლო, ვინც თავი გასწირა, გასწირა ამაოდ. ესაა ამქვეყნიური ცხოვრების აბსურდი, იმქვეყნიურის დაკრჩით იმედზე. მოცებულ მიმართვაში არც ისე უეშმაკოდ არის მინიშნებული თუ როგორი სათამაშოა პატარა ქვეყნები დიდ სახელმწიფოთა ხელში. ერთობიან რაღა? ქმნიან სუვერენულ და სუვერენულ სოფლისოდენა «სახელმწიფოებს» დიდგულა მეფუკებით. მეფეებით აივსო დედამიწა და სინამდვილეში ვინ მეფობს კაცი ვერ გაიგებს. ზესახელმწიფოები კი პატარა ქვეყნებით ისევე ერთობიან, როგორც ეზოს მოზრდილი ბიჭები რომ აჩხუბებენ პატარა ბიჭუნებს. აქეზებენ ტაშის ცემით, შეძახილებით, ვიდრე პატარა ცხვირებიდან სისხლის არ ადენენ ერთმანეთს და მერე მოზრდილები გულიანად იცინიან. «ყოჩაღთ, ქართველებო, მიდით ბიჭებო, ვინ არიან ეს რუსები, რით ხართ ნაკლები, მიდით, დასცხეთ. ჩვენ აქა ვართ, ოლონდა ჩვენ ნუ გვახსენებთ...» ასეთნაირად გვიჩურჩულებენ ყურებში პირველი კლასის არამზადები, ალენ დალესის პირმშონი, მსოფლიო წესრიგის არქიტექტორ-აფერისტები. რის მორალი, რა მორალი!

მსოფლიოს ყაჩაღმა «ჰუმანიტარულმა» მზრუნველებმა ასე გვაომეს რუსეთთან. ახლა კი იმას ჰკვირობენ მზაკვრები — რა გინდოდათ, რას ჩხუბობდითო. ეს ფსევდორუსები ყველაზე მეტად მოსკოვშია — რუსი და ქართველი რომ ერთნაირად ეჯავრებათ. მათ ეროვნება არა აქვთ. ესენი არიან შავი კოსმოპოლიტები — ადამიანებს რომ ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულობას, მეობას, ადამიანობას. ამ რუსეთ-საქართველოს ომის პაროდიაში — ვინ მართალი იყო, ვინ მტყუანი, ამას აპოკალიფსის ინსპექტორი თუ გაარკვევს ზეცად.

მე ვერ გეტყვით, რომ პრეზიდენტ ბუშზე მზე და მთვარე ამომდის-მეთქი, მაგრამ მისი მოსვლა დიდმა პოლიტიკურმა ძვრებმა გამოიწვია. იმ ხორხოცა კლინტონმა ხომ მთელ მსოფლიოს შეაძულა ამერიკა. სარეკორდო იყო აშშ-ს დროშების დაწვა ყველა კონტინენტზე. პრეზიდენტმა ბუშმა სწორი

კურსი აიღო — რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. მოხარული ვართ იმითაც, რომ ჩვენი პროგნოზი ბუშის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილში გამართლდა. ზუსტად ორი წლის წინ, 2000 წლის დეკემბერში ბატონ ბუშს მივულოცეთ პრეზიდენტის პოსტზე არჩევა (იხ. გაზეთი «2000») გთავაზობთ ფრაგმენტს იმ მიმართვიდან:

«საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი ტრიბუნაა ნებისმიერი იმპერიის შესახებ მითის გასაფანტად. გთხოვთ, დაავალოთ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს განაახლოს თქვენი საელჩოს შემადგენლობა საქართველოში, გაიწვიოთ აქედან მთელი აგენტურული ქსელი, მოუწოდოთ საქართველოს ხელისუფლებას შეწყვიტონ ანტიქართული პოლიტიკა და აღადგინოს ნორმალური, სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან. ქართველი და რუსი ხალხები იყვნენ და იქნებიან მოძმე ხალხები. პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, ხალხები კი რჩებიან საერთო ცის ქვეშ, საერთო მიწაზე, ღვთის შეწევნით ისინი კვლავ იპოვნიან საერთო ენას...

ბატონო ბუშ,

დღეს უკვე თვითონ რუსები მართავენ რუსეთს, პუტინის ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში მოვიდნენ ნამდვილი პატრიოტები. პუტინი მინიმალური შესაძლებლობიდან მაქსიმუმს აღწევს, პრობლემის გადასაწყვეტად ყოველთვის პოულობს სწორს, კონსტრუქციულსა და ურთიერხელსაყრელ გზას. ღმერთმა ნუ ჰქნას თქვენს შორის ურთიერთობის გამწვავება. მაშინ მივიღებთ ესქატალოგიურ შედეგს — «მსოფლიო დასასრულს».

ამერიკის შეერთებულ შტატებს ვუსურვებთ დიდ გამარჯვებებს ქვეყნად მშვიდობისა და ზნეობის დამკვიდრების საქმეში»

ხომ არ დადგა კრწანისის გაკვეთილის დრო?!

საერთაშორისო ტერორიზმმა ერთი კარგი და დიდი საქმე გააკეთა. მან აიძულა კავშირები შეკრან სახელმწიფოებმა სახელმწიფოებრიობის ისეთი დაავადების წინააღმდეგ, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი. როგორც ჩანს, ქალბატონი

ევროპა ორმაგი სტანდარტით პრანჭვას თავს გაანებებს და შეიმოიღებს სიკვდილით დასჯის კანონს. ტერორიზმი არის ომი. ომში არ შეიძლება ერთი მხარე ისროდეს, მეორე მხარე კი ტყვიას სიტყვებით პასუხობდეს. ეს დიდი უგნურებაა. დასავლეთი ერთობოდა, როცა ომებს ჩვენ გვიგზავნიდა. თვითონ კი ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ; «ჩაქრობაში» დახმარებას გვთავაზობდნენ და თავიანთ გაჩაღებულ ცეცხლზე წყლის ნაცვლად ნავთს გვისხამდნენ. ასეთია გულჩვილი დასავლეთის პოლიტიკოსები. თავისი გულისამაჩუყებელი «ჰუმანიზმით» — «ადამიანის უფლებების დაცვის საფარველქვეშ ერების გენოციდი! ბუმერანგი საინტერესო მოვლენაა. მაგრამ ახლა შურისძიების დრო აღარ არის. ერთ ცეცხლწაკიდებულ გემზე ვართ შუაგულ ოკეანეში. ახლა მსოფლიო და სოფელი ერთადაა გადასარჩენი...

60 წლის განმავლობაში (XVIII საუკუნეში) მეფე ერეკლეს ხმალს არ დაუსვენია ქარქაშში. მისი ბოლო ომიც და ბრძოლაც შედგა კრწანისში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. ხმლით ხელში იბრძოდა თავგანწირული მეფე. ლეგენდარულმა მეომარმა თავისი მკლავის ძალითაც ბევრჯერ იხსნა ქვეყნის ლაშქარი. ვერ დათვალეს მის სხეულზე ნაჭრილობევი. და მაინც ბრძენმა მეფემ არა ხმლითა, არამედ კალმით იხსნა საქართველო. კრწანისში განსაკუთრებით წითელი ყაყაჩოები აყვავდებიან ხოლმე. ეს ჩვენი წინაპრების სისხლითაა შეფერილი. ახლა კრწანისში საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციაა. ხომ არ არის დრო სისხლისაგან კვლავ დაცლილმა საქართველომ გაიხსენოს კრწანისის გაკვეთილი?!

რა მოხდება ხვალ?
«მე მწამს პუტინის რწმენისა!»

– რა მოხდება ხვალ? –ეკითხება რუსი თავადი მისანს.
– ხვალ მე სასწაულებს მოვახდენ! –უპასუხა მისანმა.
თავადმა ამოიღო ხმალი, თავი მოაჭრა მისანს:
– აჰა, ჩაიდინე სასწაულები!
მე არ ვაპირებ გულთმისნობას, ხვალისა ხვალემ იცის,

იცის მხოლოდ უფალმა და თუ მაინც და მაინც მზერა გაგვექცევა მომავლისაკენ, ვეცადოთ მხოლოდ წმინდა წერილს მივყვეთ: «ის დღე და ის საათი არავინ იცის; არც ციურმა ანგელოზებმა, არამედ მხოლოდ მამამ» (მათე, 24,36).

აპოკალიპსის წინასწარმეტყველების დიადი აზრი ისაა, რომ ადამიანს და კაცობრიობას მუდამ ახსოვდეს ღმერთი. კაცობრიობას არ ეპატიება უღმერთობა, ღმერთის ღალატი. გვეშინოდეს უფლისა, სხვაგვარად დაღუპვაა – აი უფლისაგან მკაცრი გაფრთხილება.

მუხლმოდრეკით გევედრები, უფალო, ნებით თუ უნებლიეთ, წმინდა წინასწარმეტყველების განმარტებაში თუ რაიმე ჩემეული სურვილი ან წარმოდგენა შეერია, მომიტევე, ვერ დავამშვიდებ ვერც თავს და ვერც სხვას, რომ «საშინელი სამჯავრო» მხოლოდ წიგნებშია ან სხვისთვისაა მხოლოდ, მის სიმკაცრეს ველოდები, ველოდოთ ყველამ, ზოგის ცოდვას სასწორის არანაირი გირები არ ეყოფა, ზოგიც კიდევ შეიძლება შეიწყალოს ღმერთმა. ვილოცოთ ქვეყნის გადარჩენისათვის და განწმენდისათვის. მომზადებული უნდა შევხვდეთ ღვთის სასამართლოს.

ქრისტიანობის ღერძი რუსეთია. ცივილიზაციის გადარჩენის ერთადერთი შანსია რუსეთის აღორძინება. განათლებული კაცისათვის სრულიადაც არ არის საიდუმლო, რომ ანტიქრისტეს პირველი სამიზნე რუსეთია, როგორც ქრისტეს ყველაზე ჭეშმარიტი და ძლიერი დამცველი. ესაა ჭეშმარიტი და არა ვითომ ქრისტიანობის ბურჯი.

ნებას მივცემ ჩემს თავს, რომ ამ მიმავალი უჟმური ჟამის დროს, როცა რუსეთი კვნესოდა უცხოეთის კაპიტალის უღლის ქვეშ, როცა ანტირუსული ძალები თვით რუსეთში სულში აფურთხებდნენ და დასცინოდნენ რუსეთს, ურყევად ვიძახდი ამ უდაბნოში: «რუსეთი წამოდგება, დადგება ფეხზე ვით გოლიათი!» რა თქმა უნდა, ჯერ რუსეთი ნამდვილი თავისუფლებისაგან არც ისე შორსაა. მაგრამ ეს ორი წელია მაინც აიდგა ფეხი ვით გოლიათმა. სხვაგვარად მარლთმადიდებლობა ვერ გადარჩებოდა. ქრის-

ტეს მტრებს მართლმადიდებლობის, ქართველებისა და რუსების მტრებს ნამეტნავად არ ახარებს ეს გარემოება.

გავრისკავ ერთ სუბიექტურ მოსაზრებას. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რაღაც სიღრმისეულად შეიგრძნო ივერიის სასწაულმოქმედი ხატის ძალა, ამ ხატმა მრავალგზის იხსნა რუსეთი. თვალთაგან როგორ ამომივა შარშანდელი ტელეკადრები — რა მოწიწებით შეიტანა ივერიის სასწაულმოქმედი ხატი (ცხადია, ერთ-ერთი ასლი) საჩუქრად იმ ტაძარში, რომელიც რუსეთის იმ პატრიარქმა ააშენა, რომელიც ლამის ჭკუას კარგავდა ამ ხატის სიყვარულით. ეს პატრიარქი ნიკონი გახლდათ, რომელმაც 1655 წელს (თარიღი ცოტა სადაოა) ნოვგოროდში, ვალდაის ტბაზე, ააშენა ივერიის სასწაულმოქმედი ხატის სახელობის ტაძარი. პუტინმა არც ასტრახანში დაივიწყა ქართველთა (ვახტანგ მეექვსის) საძვალე.

ვისაც ჩემი ერის სული უყვარს, მე მიყვარს ყველა – შინაური თუ გარეული. მაგრამ პუტინის ეს საქციელი პოლიტიკაზე მეტია, იგი რწმენაა, ამიტომაც მე მწამს ეს რწმენა პუტინისა.

მე საქართველო ღმერთზე ნაკლებად მიყვარს. მაგრამ მიყვარს იგი ყველაზე და ყველაფერზე მეტად. ამიტომაც მწამს და ძლიერ მსურს, ერთმორწმუნე რუსეთთან ძმობის ურღვევობა! არ გაიხაროს წუნკალმა გამთიშველმა სატანამ! დიდება ღვთისმშობლის კურთხევას. ერთმორწმუნეობა ძმობა-ნათესაობაა. იგი სრულიადაც არ ნიშნავს მოძმე მუსულმანი ხალხებისადმი, იუდაიზმისა თუ ბუდისტური რელიგიებისადმი დაპირისპირებას. იგი უპირისპირდება სატანის რელიგიებს, პროზელიტურ სექტებს.

«რუსეთი ღმერთს ელოდება!!!

რუს ხალხს სჭირდება მხოლოდ ბელადი, მწყემსმთავარი, მეფე ღვთივრჩეული და ის წავა მასთან ერთად ნებისმიერ გმირობაზე! მხოლოდ ღვთივმირონცხებული

მისცემს რუს ხალხს უზენაესსა და უძლიერეს ერთიანობას»
(Россия перед Вторым Пришествием. Пророчества русских святых, М., 1998, стр. 65)

ოცდაჩვიდმეტი წელი – წელი დიდი რეპრესიებისა!

...მაგრამ აქ ლაპარაკია არა 1937 წელზე, არამედ ზუსტად 37-ე წელზე ქრისტეს დაბადებიდან. ასე რომ, ამჯერად მთავარი რეპრესიონისტი გახლდათ არა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, არამედ უდიდესი ქრისტიანი, მოციქული საულე-პავლე. 37 წელს ის იყო 30 წლისა. თეოლოგები იმაზეც ბჭობდნენ, ხომ არ შეხვედრია იგი იესო ნაზარეველს. ალბათ, არა, რადგან ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ჟამს, იგი ჯერ ისევ პავლე მწვალებელი იყო, მდევარი და მტერი ქრისტიანობისა. იგი 7 წლით უმცროსია ქრისტეზე. ქრისტეს ჯვართამაღლებიდან 4 წლის შემდეგ მოიქცა იგი დიდ პავლე მოციქულად. აი, იმ საბედისწერო 37-ში მან განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა 2000 წმინდა მორწმუნეთა წამებაში. აი, მაშინ მოხდა ეს სასწაული, როცა მას გამოეცხადა მაცხოვრის სული და თვალი აეხილა დამასკოს მიმავალს ფიზიკურადაც (დროებით, სამი დღით დაბრმავებულს) და სულიერადაც. ბოროტი საულესგან იშვა ქრისტიანობის უდიდესი სიკეთის მოძღვარ-გამავრცელებელი პავლე მოციქული, დიდება მის სახელს! დიდია ამ საღმთო იდუმალების აზრი.

რაც შეეხება სტალინურ რეპრესიებს, ეს მართლაც ეპოქალური თემაა. მე სრულიადაც არ ვაპირებ შევათეთრო, განვასპეტაკო სტალინი და იგი ფრთიან ანგელოზად წარმოგიდგინოთ. იგი რევოლუციის სისხლიან ტალღაზე მოვიდა. მშრალი წყლიდანაც არავინ ამოსულა. მაგრამ ალაპარაკდა თვით სინამდვილე: უდიდესია ღვაწლი სტალინისა მართლ-

მადიდებელი ეკლესიის გადარჩენის საქმეში. «სავლე აწამებდა ეკლესიას», მაგრამ იგივე პავლემ გადაარჩინა და განავრცო იგი. სტალინი არ იყო წმინდანი, იგი სახელმწიფოს მეთაური გახლდათ თუმცა ზოგიერთ მეფეს სიკვდილის შემდეგ წმინდანადაც შერაცხდნენ, იმ ადამიანებს, რომლებიც დემონიურთან იყვნენ წილნაყარნი და სისხლიც ბევრი ეცხოთ ხელზე, ყოველ შემთხვევაში, ისტორიოგრაფიას მაინც სჭირდება დროის დისტანცია. მიწიერი ცხოვრება ცოდვებშია, მიწიერი ღვაწლი ცოდვილია.

მცირეოდენი გადახვევა: როგორც კი კომუნისტური ცენზურის ჭანჭიკები მოფანფალდა, გაზეთში «თბილისი», საქ.კპ. თბილისის ორგანო, გამოვაქვეყნე სტატია «სავლე და პავლე» (5. II. 1989წ.). რა დაგიმალოთ, სტატიას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მაგრამ ეს არაა მთავარი. მალე, როგორც კი კომუნისტურმა პარტიამ მიატოვა კომუნისტები, მედროვეებმა გვიან იყნოსეს დროის ნიავი და დაიწყეს კომპარტიიდან «გმირული» გასვლის ყიჟინი. მართლაც ბევრნი აღმოჩდნენ უკვე არარსებული პარტიიდან «გმირული» გამოსვლის მსურველნი. განსაკუთრებით კომუნისტ ფუნქციონერთა ზედა ეშელონის ქამელეონებმა დაწყებული კრემლიდან, თხუთმეტივე ყოფილი რესპუბლიკის ხელმძღვანელები უცბად იქცნენ დისიდენტებად – საოცარი კარიკატურული გარდასახვით; აქაოდა თუ სავლე იქცა პავლედო... აქტიური კომუნისტები უცბად გახდნენ აქტიური ანტიკომუნისტები. სად იყო მოლიერი, გოგოლი, სალტიკოვ-შჩედრინი, ილია ჭავჭავაძე?! ძალიან მომინდა რომელიმე სატირულ თეატრში დამენახა აფიშა- «სავლეები სავლეებად დარჩნენ!»

დღეს უკვე ბევრი რამ სინათლეზე გამოდის. მათ შორის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საიდუმლოება. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემზადებოდნენ ბნელი ძალები-რუსეთის მეფის ჩამოგდებით მოესპოთ მართლმადიდებლობის ბურჯი. უნდა ამოეძირკვათ ერი და ეროვნულობა, რაც დღეს ხდება.

მაგრამ სტალინმა, რომელიც თავს დიდად უქნევდა ლენინს, გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, წინააღმდეგ ლენინისა, ქრისტიანობის გადარჩენის მისიით აღჭურვილ მეფეს. რუსეთიდან ემიგრაციაში სტალინის შიშით გაქცეული ზოგიერთი მონარქისტი გვიან მიხვდა, რომ სტალინი მეფე იყო. თურმე მეფე გარდაიცვალაო.

სტალინი აშენებდა მსხვერპლით, გულჩვილი დემოკრატები კი ანგრევენ მსხვერპლით.

ხომ არ შეცდა პუტინი?

2001 წლის 22 ივნისს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გამოდის ტელევიზიით დიდი სამამულო ომის დაწყების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით. მან განაცხადა დაახლოებით შემდეგი: ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, საშწუხაროდ, მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ ომისათვის. მან გამოიჩინა არაშორსმჭვრეტელობა, ვერ სძლია თავის ამბიციებს; ვერ გაითვალისწინა საინფორმაციო მონაცემები, რის გამოც ქვეყანამ განიცადა დიდი მსხვერპლი... ბუნებრივია, პრეზიდენტმა ღირსეული პატივი მიაგო გმირ საბჭოთა ხალხს.

პუტინის ამ გამოსვლამ სტალინის და პუტინის მომხრეები გაანაწყენა. მეც დამირეკეს ზოგიერთებმა. ქვეყანამ იქრძნო, რომ პუტინი ამ შემთხვევაში არ ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა. სტალინსაც ხშირად უხდებოდა, ნათქვამით დაეფარა ის, რასაც ფიქრობდა. პუტინს არ აწუხებს კომპლექსები სტალინის მიმართ. პირიქით, იგი მისთვის გარკვეული ორიენტირია და ჩვენზე უკეთ იცის მისი ფასი. დიდი ადამიანები ამშვენებენ ეპოქას. სრულიადაც არ მსიამოვნებს, რომ ვცხოვრობ არა დიდი ადამიანების, არამედ გაბერილი ოლიგარქების ეპოქაში. თუმცა, ჯერ ეპოქას თავისი სიტყვა ბოლომდე არ უთქვამს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, მე რომ 1937-ში მეცხოვრა,

რეპრესიებს, ალბათ, ვერ გადავურჩებოდი.

მე მახსოვს 1956 წლის 9 მარტს თუ როგორ ხვრეტდა პირველი ანტისტალინელი-დემოკრატი დესპოტ სტალინის სახელის დასაცავად თბილისში გამოსულ ახალგაზრდობას. დიდი ადამიანები ენატრება ახალგაზრდობას...

«ნაპოლეონის მაგალითი – თქვა გოეთემ, – განსაკუთრებით აღძრავს ეგოიზმს საფრანგეთის ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ამ გმირის დროს გაიზარდნენ. ისინი არ დამშვიდდებიან მანამ, სანამ არ გამოჩნდება დიდი დესპოტი, რომელშიც დაინახავენ იმის განსახიერებას, რანაირიც სურთ ყოველ მათგანს თავისი თავი» (Эккерман, «Разговоры с Гете», М.-Л. 1934. გვ. 576)

სტალინის მაგალითი აღელვებს ახალგაზრდობასაც და ძველგაზრდობასაც. ეს პრობლემა, ცხადია, პირველ რიგში აღელვებს იმ კაცს, ვინც მის კაბინეტში ზის, სულით ხორცამდე პატრიოტი თავის ხალხისა, ოცნებობს, აღუდგინოს რუსეთს მსოფლიო დიდება. ხრუშჩოვს სძულდა რუსი ხალხი და მის წიაღში აღზრდილი მისი დიდი შვილი-სტალინი. ესაა ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლის კანონი.

სასწაულებრივი პარადოქსია: საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს მემკვიდრეებმა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ უარყო. კომუნისტები ჩამოაგდეს დემოკრატებმა, ანტიკომუნისტებმა. პუტინს დახვდა ორმხრივი მემკვიდრეობა საბჭოურ-ანტისტალინური და დემოკრატიულ-ანტისტალინური. არადა, შეიქმნა აბსურდული სიტუაცია. სისულელე პატარაც შეიძლება იყოს და დიდიც. სტალინს მიაწერენ არამარტო თავის ცოდვებს, პირველყოვლისა იმ ცოდვებს, რის წინააღმდეგ იგი იბრძოდა და თავი გასწირა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი აბსურდია საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ამ საკითხში საქმე გვაქვს კოლოსალურ სისულელესთან.

უისტორიო ისტორიოგრაფია თუ უისტორიოგრაფიო ისტორია?

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მსგავსი კურიოზი. 70 წელიწადი სამყარო ორად გაყოფილი იყო. ერთ მხარეს კაპიტალიზმი, მეორე მხარეს სოციალისტური ბანაკი, საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირი დაინგრა, მაგრამ ისტორიოგრაფია დგას დოყლაპიასავით და თითქოს უყურებს ცირკს-როგორ აორთქლდა საბჭოთა კავშირი. არსებობდა თუ არა ასეთი ქვეყანა? ამ სამყაროში ცხოვრობდნენ. როგორ ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ თუ არა... საბჭოთა კავშირში დაბადებულ-გაზრდილ ადამიანებს დღეს მარტო მეტრიკა გვაკავშირებს მასთან. საბჭოთა კავშირმა დაამარცხა მსოფლიო ბოროტება – ფაშიზმი. მეორე მსოფლიო ომი მოიგო ქვეყანამ, რომლის მხედართმთავარს არ ახსენებენ ან თუ ახსენებენ, როგორც დამარცხებულზე უფრო დაგლახებულად. აქედან დასკვნა: მთელი საზოგადოებრივი ისტორიოგრაფიული ცნობიერება გაბითურდა. ეს კაცობრიობა ვეღარ აზროვნებს, რადგან «დროთა კავშირი დაირღვა» (შექსპირი). ეს აზროვნება არის ანტიქრისტეში დაბნელებული და გასარეცხად გამზადებული. მეორე მსოფლიო ომი თურმე მოიგო რუსმა «სალდათმა» რუზველტისა და ჩერჩილის მხედართმთავრობით. ასეთი აბსურდული ისტორიოგრაფიული აზროვნების ფონზე, ცხადია, ქვეყანას არ გააჩნია არანაირი მოქმედი იდეოლოგია. ასე სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გაჭირდება. ის, რაც ისტორიის სახელმძღვანელოებში წერია რუსეთსა და საქართველოზე, ასე მხოლოდ გამოქვაბულისაკენ თუ გავიკვლევთ გზას. მე დაგიჯერებთ საბჭოთა საქართველოს ლანძღვას, თუ მანამ მინიმუმ ათჯერ მაინც გალანძღავთ ახლანდელი საქართველოს უბედურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში თვალთმაქცობთ, ისტორიული აზრის მასხრად ამგდებნო.

პრეზიდენტ პუტინისადმი მიმართვის ნაცვლად

თუ იმ ლოგიკით ვიმსჯელებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა აღადგინა საბჭოთა კავშირის შესანიშნავი ჰიმნი, დიდებულად ჩაატარა ფაშიზმზე დიდი გამარჯვების ღონისძიება და პარადი, ეს არის პიროვნება, რომელიც გრძნობს ეპოქის პულსს და შეიძლება ვივარაუდოთ მისი ზოგიერთი ნაბიჯი უახლოეს პერიოდში.

ბატონი ვლადიმერ პუტინი, ალბათ, მიმართავს პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, საზოგადოებათმცოდნეებს, ისტორიკოსებს, სამხედრო მეთაურებს, მართლმადიდებლებს, მუსულმანური, იუდაისტური და ბუდისტური რელიგიების წარმომადგენლებს, შემოქმედებით ინტელიგენციას-მონაწილეობა მიიღონ იმ კონცეპციის შემუშავებაში, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა ხელისუფლების სამართლებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის ობიექტურ შეფასებას, კერძოდ კი, უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის როლის შეფასებას დიდ სამამულო ომში.

დარწმუნებული ვარ, რუსეთის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც უნიკალურად ფლობს დროის პულსს, შეისწავლის და გაშიფრავს იმ ისტორიულ მემკვიდრეობას, რისი გარკვეული მეწილე დიდ რუსეთთან ერთად საქართველოც არის.

380007, თბილისი, პაოლო იაშვილის ქ. № 18, ტელ:99 68 38, ფაქსი: 93 55 32